არც მწამებია, არცა მრწამს შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოწამეთა

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის სადროშოს ყოველთვიური გაზეთი ● ნოემბერი, № 10-11, 1990 წ.



საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოს მიერ გამოცხადებული საკათედრო ტაძრის კონკურსზე არქიტექტორ გივი გოგრიჭიანის, მხატვარ გურამ ჭარბაძისა და ინჟინერ დავით რეხვიაშვილის მიერ წარდგენილი პროექტი.

კონკურსის შედეგებსა და საკათედრო ტაძრის ამ პროექტის ბედის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

## ნომერშია:

**რევოლუციონერი — ტერორისტი...**

**„როგორ გაგდო ბერიამ სტალინის მძახალი საქართველოდან"**

**რობერტ კონკვესტი — „დიდი ტერორი"**

**არავინ უწყის, რა განუზრახავს გორბაჩოვს**

**გამოუცხადებელი ომი**

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ბატონო ზვიად!

გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას. ეროვნულ მოძრაობაში თქვენი ხანგრძლივი გმირული ბრძოლა, შემართება და ენთუზიაზმი მუდამ საქართველოს კეთილდღეობისაკენ, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ იყო მიმართული. ამიტომ ქართველმა ერმა თქვენ მოგანდოთ თავისი ბედ-იღბალი.

გისურვებთ საქართველოსთვის უმძიმეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში ჭეშმარიტი, თქვენთვის ჩვეული მესიის როლი შეგესრულებინოთ. გამოგეყვანოთ ერი უდაბნოდან, შეგექმნათ აღთქმული. ნანატრი თავისუფალი საქართველო.

ღმერთი იყოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ მიმავალ გზაზე თქვენი და თქვენი ხელმძღვანელობით მოფიქრალი და მოქმედი ქართველი ერის მფარველი.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება

### საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას

ბატონო თენგიზ!

გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნას. გისურვებთ მრავალტანჯული საქართველოს იკონომიურ მოღონიერებასა და ფეხზე დაყენებას. დაე, თქვენი ხელმძღვანელობით აყვავებულიყოს გავერანებული, გაპარტახებული საქართველოს სოფლის მეურნეობა და დაღუპვის პირას მისული მრეწველობა.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი ამ საქმეში.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **ბატონ ზვიად გამსახურდიას.**

მცხ. ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის პროსპ. № 37, ბინა 36
**პიმენ პორფილეს ძე ვახტანგაძის**

# თხოვნა

დიდად პატივცემულო, ბატონო ზვიად! გილოცავთ წლების მანძილზე ბრძოლით მიღწეულ გამარჯვებას. მუხლმოდრეკილი ვთხოვ უფალს თქვენი და თქვენი წამებული ოჯახის ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენნაირ დევნილსა და წამებულს, 80 წლის მოხუც ქართველს მომაქციოთ ( ყურადღება, ისმინოთ ჩემი გასაჭირი და დამეხმაროთ.

მე, ღარიბი გლეხის შვილი, კომუნისტების წყალობით კულაკად მონათლული, 14 წლის ვიყავი 1924 წლის აჯანყებაში რომ ჩავები. 1927 წელს კი 17 წლის ბიჭს ბრალი დამდეს მოწამეთის კირის ქარხნის მშენებლობაზე მომუშავე 80 მუშის აჯანყების ცდაში. თქვენთვის გასაგები იქნება, თუ რა მკაცრი სასჯელი მელოდა ამისათვის, მაგრამ ღმერთმა დამიფარა და მოვახერხე გაქცევა, თავი შევაფარე სტამბოლში არსებულ ქართულ მონასტერს. ოთხი თვის შემდეგ მივაღწიე პარიზს და 12 წლის მანძილზე ვცხოვრობდი ჩემს ნათესავთანა. დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრ რაჟდენ მათეს ძე არსენიძესთან, რომელმაც 1937 წელს შვილად მიმიღო, მაგრამ მის ოჯახს საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმამ დამაშორა. გამიწვიეს ფრანგულ ჯარში. დავიჭერი ბელგიის საზღვარზე. ომის დამთავრების შემდეგ, გერმანიაში ცხოვრების დროს, საბჭოთა დაზვერვამ უკანონოდ დამაპატიმრა, ფრანგების ოფიცერ ტყვეთა ბანაკში მოწყალების მისიით მუშაობის დროს. 6 თვე ვიყავი მოსკოვის ლეფორტოვის საპყრობილეში გაუთავებელი დაკითხვების ქვეშ. ამის შემდეგ 10 წლით გამისტუმრეს ურალის პოლიტდამნაშავეთა სპეცბანაკში.

1963 წლიდან სპეციალური მოწვევით ოჯახით ჩამომიყვანეს ქუთაისში, როგორც — მსხვილპანელიანი სახლების მშენებლობის სპეციალისტი. ჩემი ხელმძღვანელობით აშენდა ქუთაისში უამრავი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მე, რომ პარტიული ვყოფილიყავი და ასეთი ბიოგრაფია არ მქონოდა, ახლა ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და შეიძლება ყველასათვის ცნობილი პიროვნება ვყოფილიყავი. ახლა კი, 80 წლის ასაკში, 35 წლის მძიმე შრომისათვის მაქვს 104 მანეთი პენსია. ამიტომ იძულებული ვარ იქვე კომბინატში რაღაც 120 მანეთად ვიმუშაო.

საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე მოქმედი კანონის მიხედვით დიდი უფლებები აქვთ ომის მონაწილეებს. გაიზარდა მათი პენსიები, მე, როგორც ომის მონაწილეს, აქ არც საბუთი მაქვს და არც რაიმე პრივილეგიებით ვსარგებლობ. რამდენჯერმე მოვითხოვე საფრანგეთში წასვლა, რათა იქიდან საბუთი ჩამომეტანა, მაგრამ არ გამიშვეს, რა თქმა უნდა, არც საბუთების გამოსაგზავნად რაიმე მიმართვის წარდგენით შეუწუხებიათ თავი. არადა, მეც ხომ ვიბრძოდი ომში, მაქვს ორი ჭრილობა, თუმცა საბჭოთა „სამოთხის" დასაცავად არა. იმ ქვეყნის დამცველთა რიცხვში ვიყავი, რომელმაც ქართველებს მოგვცა თავშესაფარი, შვილად მიგვიღო, ნაკურთხი მიწა გამოგვიყო ლევილის სასაფლაოზე. იქ ხომ ბევრი ქართველი განისვენებს და მათ შორის ჩემი აღმზრდელი, მეორე მამა რაჟდენ არსენიძე.

დღეისათვის ომის მონაწილეებს უფასოდ, კერძო საკუთრებაში გადაეცათ საცხოვრებელი ბინები, მე კი რამდენიმე თვის წინ შევისყიდე ბინა, გადავიხადე 7 ათასი მანეთი, რომელიც ვალად მადევს. ბინა იმის შიშით შევისყიდე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ, ჩემი მეუღლე იქიდან არ გამოაგდონ. დღეს ომის მონაწილეებზე გავრცელებული ახალი კანონი ამ თანხის უკან დაბრუნებას გულისხმობს, მაგრამ მე დამიბრუნდება კი?

მე ხომ სამშობლოს მოღალატედ ვიყავი მონათლული და ამის გამო უდანაშაულოდ მდევნიდნენ. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ დავალებული ვარ ქართველი ემიგრანტებისაგან, ფიცი მქონდა დადებული, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი, მათ საფლავზე ერთი მუჭა ქართული ნაკურთხი მიწა ჩამეტანა, მაგრამ ამის უფლება დღემდე არავინ მომცა.

მე მწამს და მჯერა თქვენი, როგორც სიმართლისათვის მებრძოლი რაინდისა, ამიტომ გთხოვთ დამეხმაროთ:

1. დამრთოთ ნება, უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II წყალობით მივიღო ნებართვა — დახმარება — წავიდე საფრანგეთში. ლევილის ქართველთა სასაფლაოზე მივიტანო ნაკურთხი ქართული მიწა, 100 ცალი სანთელი, თუ მოვახერხე ორი პატარა ნაკურთხი ხე, რათა მოვიხადო ჩემი ვალი ლევილში ქართველთა საფლავების წინაშე და იქაურებს ვაუწყო, რომ საქართველომ რუსეთის მონობას თავი დააღწია, მისი ახალი პარლამენტი მე ამ მისიით იქ ჩასვლაზე დამეხმარა.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი ამინისტიის შესახებ, რაც დიდად სასიხარულოა ამისათვის, როგორც ყოფილი პოლიტპატიმარი, დიდ მადლობას მოგახსენებთ. თქვენივე ინიციატივით სპეციალური კომისია იკვლევს თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებულ საქმეს, რაც კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება უკანონობასთან ბრძოლაში. აქედან გამომდინარე გთხოვთ მოხდეს ჩემი საქმის გამორკვევაც, ცხოვრების იმ მძიმე პირობების ხელოვნურად შექმნის შესახებ, რაც გამოიხატება შემდეგში: 14 წლის ასაკში ჩემი დაპატიმრების განზრახვამ მაიძულა მეძებნა თავშესაფარი; ლეფორტოვის საპყრობილეში ჩემი უდანაშაულო წამება; ურალში უდანაშაულოდ 10 წელი პატიმრობა, სადაც ჭინჭრის სუპით ვცხოვრობდი და მძიმე შრომას ვეწეოდი. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა, სამართლიანი იქნებოდა კანონი ომის მონაწილეთა მიმართ პრივილეგიების შესახებ ჩემზედაც ვრცელდებოდეს.

რაც შეეხება ჩემს რეაბილიტაციას და საბუთებს, რომლის მიხედვითაც მე თითქოს ნასამართლევი არასოდეს ვყოფილვარ, ეს მხოლოდ ადამიანის აბუჩად აგდებისა და დამცირების ტოლფასია. ასეთი რამ მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეიძლება მოხდეს.

**მინაწერი:**

იმედს გამოვთქვამთ, რომ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია გულისხმიერებით მოეკიდება პიმენ ვახტანგაძის თხოვნას. ჩვენის მხრით კი უნდა განვაცხადოთ: პ. ვახტანგაძის საფრანგეთში გამგზავრება დღეისათვის ალბათ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს და მეორეც, თუ ეს კაცი საბჭოთა კავშირს არ იცავდა (თუმცა რა დაცვაზეა ლაპარაკი, სადაც წაეწეოდნენ ციხეში უკრავდნენ თავს) საფრანგეთის ჯარისკაცი ხომ ნაღდად იყო და სასურველი და მიზანშეწონილია საქართველოს უზენაესმა საბჭომ აღძრას შუამდგომლობა საფრანგეთის მთავრობის წინაშე მათი ქვეყნის დამცველისათვის დახმარებისა და პენსიის დანიშვნის შესახებ. პიმენ ვახტანგაძის, როგორც ჭეშმარიტად პატრიოტი, ქართველის, მიერ განვლილი ცხოვრების გზა სწორედ ასეთ მამულიშვილურ დამოკიდებულებას საჭიროებს.

# ღმერთო დაგვიფარე შინაურისაგან

შუადღეა. მთავარი გზიდან მოწამეთას გადასახვევთან ხალხი ზიმზიმებს. არის მანქანების ჭყლეტა, კარების ჯახა-ჯუხი, ჩასხდომა-გადმოსხდომა, კრიახი ქათმებისა, პეტელი ცხვრების. ე, ბიჭო, გამიშვი — ვერ გაგიშობს ყვირილ-ძახილი და ბოლოს, წითელქუდიანი, ლურჯტანსაცმელიანი კაცი, რის ვაი-ვაგლახით, გვერდზე ხწევს ზოლა-ზოლა შეღებილ გარდიგარდმო გზის გადამკეტ რკინის გრძელ ჭოკს და ზოგს უშვებს, ზოგს არა, ერთი სიტყვით: „გამორჩევით მქმნელია!" რა ნიშნის მიხედვით ახარისხებს ვერა და ვერ გამიგია, მაგრამ, არამგონია, რომელიმე თქვენგანი მაინც ვერ მიხვდეს და ძალიან გთხოვთ, შეგვატყობინოთ, მოგვწეროთ, ძვირფასო მკითხველო. მაინც რა ნიშნის მიხედვით აატარ-არატარებდნენ მანქანებს ჩვენი მილიციის მუშაკები მონასტრისაკენ?! სჯობდა, არცერთი არ გაეშვათ თუკი თამარ-მეფე თბილისიდან ფეხშიშველი მიეახლა ვარძიის ღვთიშობელს, ღვთისმოსავმა ადამიანმა, წელიწადში ერთხელ, რაღაც ათი წუთის გზა ფეხით არ უნდა გაიაროს? ეს ისე, სხვათაშორის... თუმცა, ნეტავ, ზედ მონასტრის კარიბჭესთან მიდიოდნენ მანქანებით; ნეტა, შვეულმფრენებით სხდებოდნენ მონასტრის ეზოში; ნეტა პიოდაპირ მატარებლიდან გადადიოდნენ საკანდელესთან; ნეტა, იმ დროს (ღმერთო შემინდე), როცა იშვიათად, კანტი-კუნტად შეხვდებოდი აქ ადამიანს! რატომ, შე ღმერთგამწყრალოო, იკითხავთ: რატომ და მაშინ ჰგავდა თუ ჰგავდა სამოთხეს, ახლა... დღეს ამ გაგანია შუადღეზე, ამ თბილ და წყნარ ამინდში ჭრელაჭრულა ნაკუწებით, ნიფივის ტოტების ხაკუწებით ყელწაჭერილი ბზისა და ბროწეულის ბუჩქები, რცხილის ხეები ველარ სუნთქავს — რკინისგზის გადასასვლელიდან კარიბჭემდე (მიგნით?!) ჭინჭების ამაზრზენი ღრუბლები მიგაცილებს; ნაირფეროვანი ცელოფანის, ქაღალდის ნაფლეთების, სანოვაგის ნარჩენების ნაგავში მიიკვლევ გზას; დიდი და პატარა შესევია: შეუბრალებლად, დაუზოგავად ლეწავენ, ამტვრევენ, პუტავენ მშვენიერ ბზას (ასე თუ გაგრძელდა, ეს დიდებული მცენარე უახლოეს მომავალში სამუდამოდ დასტოვებს მოწამეთას მიდამოებს). არა, რას ბრძანებთ, პაპუასებთან, პაპუასებში ასეთ სურათს როგორ იხილავდა მიკლუხო-მაკლაი, განა თავად არ ჩაიტანა ნაირ-ნაირი ჭრელა-ჭრულა, ბრჭყვიალები და სატყუარები? ესეიგი ნაგავი. მაგრამ ამგვარი დაუზოგაობით?! ამგვარი შეუბრალებლობით ქართველი რომ საქართველოს ექცევა, ამ შემთხვევაში „ღვთისმოსავი" ქართველი ღვთისავე სავანეს მოწამეთას, ბადალი არ მოეძებნება.

ხალხნო, რა ისეთი სურვილი აგტეხიათ, რომ გულგვამში აღარ გეტევათ და ნაკუწებში განსახოვნებული ცაზე უნდა გამოჰკიდოთ; განა რა ისეთი მოუთოკავი ნატვრის ვნება გიჭრით არსებას რომ მოწამეთას მშვენიერება, მისი უმანკო ბუნება უნდა შეეწიროს — მოისპოს და გაუდაბურდეს მაინცდამაინც?! ნუთუ მხოლოდ ეს არის ოცერთთან თქვენი ამოსვლის მიზეზიცა და შედეგიც, — ეს უბადრუკი ჭინჭები ძონძები [illegible]?!

„აქა არს მონასტერი უგუმბათო შუენიერი, კეთილს ადგილოს. სხინან აქ ტაძრუცთა შინა მოწამენი ქრისტესნი (დავითი და კონსტანტინე, მდებარენი აწცა) ხორცითვე, რომელნი აწამნა მურვან ყრუმ...

მურვან ყრუ!

ყრუ... სიყრუე... სირეგვნე...

ნეტავი ასე რამ დაგაყრუა, ძმაო ნეტავი ასე რამ დაგაყრუათ მეთქი, ძმაო, დაო, შვილო, და მშობელო, რამ დაგაყრუათ მეთქი, ასე ულმობლად.

ღმერთო, დაგვიფარე!

15 ოქტომბერი, მოწამეთობა, ანუ ორწიფობა, 1990 წ.

ავთანდილ ყურაშვილი.

# დამღა თუ რეგალია?!

## ანუ ზოგიერთი მოსაზრება სახელმწიფო ჯილდოების შესახებ

...მოდიან მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებული ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლები... მტრედისფერ ცაში მაღლა მიიწევს დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა..."

ეს სიტყვები სულ ახლო წარსულშია ნათქვამი. აგერ ახლახან, საპირველმაისო და საშვიდნოემბრო დემონსტრაციის რეპორტაჟებში.

რას იზამ, ისტორიულ რეალობას ვერ გაექცევი და რა საწყენია, რომ ველარც ნათქვამ სიტყვას დაიბრუნებ.

ცხოვრებამ, ჩვენმა დღევანდელობამ, მკაცრი მსჯავრი გამოუტანა ყალბ პათეტიკას, გადააფასა, ჩვენ რომ გვეგონა, ჭეშმარიტი ღირებულებანი, თვალი აგვიხილა „კევილეჭია" გოგო-ბიჭების გულუბრყვილო შეძახილმა „მეფე შიშველიაო" — და გავოცდით — მეფე თურმე მართლაც შიშველი ყოფილა და ჩვენ სამეფო მანტიითა და სკიპტრით ვხატავდით.

დღახ, ისევ მოდიან მედლებითა და ორდენებით მკერდდამშვენებული ჩვენი თანამედროვენი და აწ უკვე ირონიაგარეული ღიმილით შევყურებთ მათ არცთუ მთლად წელგამართულ საზეიმო სვლას, რადგან თითოეულს, ამ საპარადო განწყობილების იქით ათასი საზრუნავ-საფიქრალი უწეწავს ნერვებს, გაბმული ხველებით აქრობს ტალონით შეძენილი „ასტრას" უკანასკნელ ღერს და...

— ეჰ, არიეს ცხოვრება!

რა საოცარიც არ უნდა იყოს, არავის არ უნდა წილი დაიდოს დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების „მიღწევაში", არავის არ უნდა, თვალი გაუსწოროს სინამდვილეს, რომ არათუ სხვამ, სწორედ მან და ერთადერთმა „არია ცხოვრება".

არცერთ დროს, არცერთ სახელმწიფოში, არცერთი წყობილების დროს ასე მუქთად და ასე განუზომლად არ ურიგებიათ სახელმწიფო ჯილდოები — მედლები, ორდენები, საპატიო სიგელები, ლაურეატის წოდებები...

მერედა რა! რით წაიწია, თუნდაც ერთი გოჯითაც კი წინ ჩვენი ცხოვრება? არაფერს ვამბობთ ერთეულებზე, რომელთაც ჩვენთან—უმედლოებთან და უსიგელოებთან შედარებით ცოტათი მართლაც გაიუმჯობესეს ცხოვრების პირობები, მაგრამ მედალოსანთა შორის ამ 70 წლის მანძილზე არ გამოჩენილა კაცი, რომელიც იტყოდა, რომ ყოველივე ეს იყო „ოცდაათი ვერცხლის" ფასი.

არადა, ცხადზე უცხადესია, რომ ყოველი ჯილდო „დამჯილდოებლებთან გარიგებაა" — როგორი — პატიოსანი თუ უპატიოსნო — ეს ცალკე საუბრის თემაა, რამეთუ ახლა მხოლოდ „ოცდაათ ვერცხლზე" გვაქვს ლაპარაკი.

სავსებით გასაგებია, რომ აჯილდოებენ ადამიანებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, კულტურისა და ხელოვნების სფეროში, მაგრამ სავსებით გაუგებარია თუ რა „დააშავეს" იმ ადამიანებმა, რომლებიც ასევე კარგად მუშაობენ, მაგრამ არ აჯილდოებენ.

ვინ დაიჯერებს, რომ ქუთაისში, 250 ათასიან ქალაქში, მხოლოდ ოთხი ადამიანი (უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ჩვენ მაინც უნდა ჩამოვთვალოთ ისინი — იოსებ ხაზარაძე, ბორის ვაშაკიძე, ალექსანდრა გამყრელიძე, ელგუჯა ოშხერელი) იყო ყველაზე კარგი მუშა. თუ ეს ასეა, დაღუპული ყოფილა ჩვენი საქმე და ესაა, მაგრამ ასე რომ არაა? განა ან ოთხმა პატივცემულმა სოციალისტური შრომის გმირმა არ იცის, რომ მათ თანაქალაქელთაგან ათასობით კაცს ეკუთვნოდა იგივე ჯილდო? იცის, მაგრამ დაშვებული იყო ლიმიტი — ვთქვათ, ავტოქარხანაში ერთი, აბრეშუმკომბინატში ერთი და ა. შ. სხვა შედარებით დაბალი რანგის ჯილდოები უფრო მრავლად, თავდაპირველი ამბიციის გასაღვიძებლად.

მერე, ეს ხალხი, ორდენოსნები და მედალოსნები (უკვე ზემონახსენებ პიროვნებებზე აღარაა ლაპარაკი), შეჰყავთ რაიკომების, ალმასკომების, ცეკასა და უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, სათვალავისათვის, ნომენკლატურისათვის, იმისათვის ალბათ, რომ საზღვარგარეთ თვალები დაეთხარათ — იქ, საბჭოეთში, მუშები, მართავენ ქვეყანას, ჩვენ კი ნახეთ, რა დაჩაგრულები ვართო!

არაფერი მოგვცა მუშათა პარლამენტარიზმმა, დაკნინდა იურისტების, ეკონომისტების სოციოლოგების როლი, ახალგაზრდობამ ალმაცერად შეხედა სწავლა-განათლებას: — წავალ ერთი-ორი წლით ქარხანაში, დეპუტატად ამირჩევენ, მანქანა და ბინა მაინც მექნება განაღდებულიო.

უნაღდებდნენ.

ერთეულებს, უკეთეს შემთხვევაში — ათეულებს!

ცხოვრების დონე კი ერთობ დაღმავალ გრაფიკზე მისრიალებდა.

1044 სამრეწველო საქონლის დეფიციტს 1045-ე დაემატა — საბჭოთა პასპორტის დასაბეჭდი ქაღალდის დეფიციტი.

აღარც ძვირფასი ლითონის ორდენებს არიგებენ ჰაიჰარად, ეტყობა, ამ პროდუქციის დეფიციტი დეფიციტთა პირველ ათეულში გადის და ხომ არ შეგვევსო ის თუნდაც...

ვშიშობ, ცუდად არ გამიგონ: ხომ არ დაგვებრუნებინა სახელმწიფოსათვის უკან ჯილდოთა ერთი ნაწილი?

ძალზე ძნელი იქნება შეეგუო ამ აზრს, როდესაც პარტიულ ბილეთს ვერ შელევიხარ, რომელიც არც ოქროა და არც პლატინა და ეს მაშინ, როცა უკვე აღარ ასრულებ პარტიის წესდების მოთხოვნას — არ ასრულებ პარტიის გადაწყვეტილებებს, არ მუშაობ ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში და არ იხდი საწევრო შენატანს.

რაა მიზეზი პარტიიდან გაუსვლელობისა? მარტოოდენ შიში — რა იცი, რა მოხდება!

და ეს პარტიას აწყობს. ახლა ის ბევრად არ ნაღვლობს იხდი თუ არა საწევროს, არ ნაღვლობს — ასრულებ თუ არა მის გადაწყვეტილებას (თუმცა სადღაა გადაწყვეტილებანი), მთავარია სათვალავში ხარ, ხარ ერთი აგური უზარმაზარი შენობისა, რომელსაც შენობა აღარ ერქმევა, თუ ფასადსა და საძირკველში ათ ან ოც აგურს გამოაცლი.

დაახლოებით ასეთივე შიში და მოკრძალებაა „ოცდაათ ვერცხლად" ბოძებული რეგალიისა, უფრო სწორად დამღისა, რომელიც კარადის რომელიღაც მიუგნებელ უჯრაში ჩაგიკეტავს და დღის სინათლესა და მკერდის სითბოს დაგინატრებია.

გიორგი ცხადაძე

# რევოლუციონერი-ტერორისტი, კაცთამკვლელი...

1919 წლის 13 სექტემბერს თბილისში, მოხდა თავდასხმა დენიკინის მოხალისეთა არმიის გენერალ ბარათოვზე და გენერალ ოდიშელიძეზე, რომელიც თან ახლდა ჩამოსულ სტუმარს. ყუმბარების აფეთქების შედეგად გენერალი ბარათოვი დაიჭრა, დაიღუპნენ ავტომანქანის მძღოლი და მისი თანაშემწე. ეს ტერორისტული აქტი განახორციელეს ქართველმა ბოლშევიკებმა ა. ელბაქიძემ, პ. მარდალეიშვილმა და სხვ.

საერთოდ, საქართველოს მთავრობა უარყოფითად იყო განწყობილი რუსული იმპერიული იდეის მატარებელი ორივე ძალის — ბოლშევიზმისა და დენიკინშჩინას მიმართ; მიუხედავად იმისა, რომ ისინი ურთიერთდაპირისპირებულ მოძრაობას წარმოადგინდნენ, ორივენი მეტ-ნაკლებად წალეკვით ემუქრებოდნენ საქართველოს.

„ბოლშევიკებს მუდამ ჰქონდათ ყაჩაღური ტენდენციები. მათი ანარქისტული სული ინათესავებოდა თავდასხმა-გაძარცვის მოწყობას. დენიკინელებისათვის ყველა საშუალება კარგია, რომელიც კი საქართველოს დემოკრატიას ავნებს.“ („ერთობა“, 18,9.19).

ასეთი იყო საქართველოს მთავრობის პოზიცია.

დენიკინის მოხალისეთა არმიისათვის კი იმ დროისათვის, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა საქართველოს მთავრობასთან კონტაქტის დამყარება, მოხალისეთა არმიისათვის ერთგვარი პლაცდარმის შექმნით საქართველოში ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. გენერალი ბარათოვიც, მოლაპარაკების მიზნით იყო ჩამოსული თბილისში. მოლაპარაკების წარმატება კი საფრთხეს შეუქმნიდა ბოლშევიკურ რუსეთს და იგი ყოველნაირად ცდილობდა მის ჩაშლას ნებისმიერი საშუალებით. მოგვიანებით, 1920 წლის რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულებაში, ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, მანამდე კი, რუსეთის სამსახურში ჩამდგარმა გზასაცდენილმა ქართველებმა კაცისკვლას მიჰყვეს ხელი.

„ეს მათი (ბოლშევიკების მ. ლ.) ღვარძლიანობით გამოგზავნილი აგენტები თესავენ ანარქიის თესლებს“ — წერდა „ერთობა“.

დავუბრუნდეთ თავდასხმის ფაქტს.

ელბაქიძე შეტაკების დროს იქნა მოკლული. სხვები, მათ შორის ტერორისტი მარდალეიშვილი, კი დააპატიმრეს, მაგრამ 7 მაისის ხელშეკრულების მეათე მუხლის ძალით გათავისუფლებული იქნა. მუხლში აღნიშნული იყო „საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სფსრ ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ მიმართული ქმედებისთვის (იგულისხმებოდა ყველა სახის დანაშაული. მ. ლ.) დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივი გათავისუფლება.“

ამ მუხლით რუსეთი აკანონებდა თავის ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში, ამიტომ საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს იხმარდა რუსეთის აგენტურის კანონიერი გზებით იზოლირებისათვის.

23 ივნისს მარდალეიშვილის დაპატიმრება მოხერხდა.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების შემდეგ, ბუნებრივია, მარდალეიშვილი და მისთანანი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნებოდნენ მოქცეული ისინი მეტეხიდან ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს და 10 მარტს საღორიის ტყეში გუსწორდნენ.

ნიკ. ივანოვის შესახებ მონაცემები ძალზე მცირეა. იგი, თბილისელი რუსი, მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ჩვენთან კონტრდაზვერვაში მუშაობდა, „და მხოლოდ უკანასკნელი (1921 წლის რუსეთ-საქართველოს მ. ლ.) ომის დროს, თბილისი რომ მივატოვეთ, მაშინ გამოარკვიეს, რომ მუდამ რუსების დაქირავებული ჯაშუშები ყოფილან და... სადღაც ტყეში... ნავთი გადაასხეს და დაწვეს“-ო ლაპარაკობდა ხალხი“... ალბათ ირონიულად — უბრალოდ ფანტაზიორებს შეეძლო კიდევ... სხვა რისამე გაცემა“. (რ. გაბაშვილი, „რაც მახსოვს“, გვ. 300).

თუ ივანოვისაგან ხსენებული ამბავი ჩვეულებრივად აღიქმება, 34 წლის იმერელი გლეხის პავლია მარდალეიშვილის „მოღვაწეობას“ გზააბნეული კაცის ნიშანი ატყვია. იგი ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო და საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში იარაღით ამარაგებდა საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ ბოლშევიკთა ბანდებს.

საქართველოს გასაბჭოების დღიდან ხელისუფლებამ ივანოვი და მარდალეიშვილი მენშევიკების მიერ წამებულ გმირებად გამოაცხადა, ისინი აქციეს რუსი და ქართველი ხალხის „ძმობის“ ცრუ სიმბოლოდ, მათი სახელები უწოდეს ქუჩას.

მთავარი კი — ივანოვისა და მარდალეიშვილის მოღალატური და ტერორისტული საქმიანობა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ ხალხისათვის უცნობი გახდა.

მამუკა ლორთქიფანიძე

# წვავენ ლენინის შრომებს

ავტორიტეტების დაცემამ სსრკ-ში საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელსაც უწია. თითქმის ნორმალურად იქცა ლენინის ძეგლების დემონტაჟი. ცეცხლგამჩენი ნივთიერებიანი ბოთლი შეაგდეს მავზოლეუმში, ბაქოში სახალხოდ დაწვეს ულიანოვ-ლენინის რჩეული თხზულებანი.

ბაქოში, 29 წლის ელმარ აბასოვმა, ლოზუნგით „ლენინს, კომუნიზმს უარი“ სახალხოდ დაწვა ლენინის თხზულებათა მეოთხე ტომი. ბოლოს ცეცხლს შეუკეთა ლენინის პორტრეტი წარწერით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

კორესპონდენტის შეკითხვაზე — ნორმალურია თუ არა წიგნის დაწვით გამოხატული პროტესტი, აბასოვმა უპასუხა. ეს უკიდურესობაა, მაგრამ იგი გამოწვეულია ბაქოში საგანგებო მდგომარეობით. ამას გარდა, მან განაცხადა, რომ მსოფლიოში ყველა უბედურებას კომუნიზმი იწვევს.

გამვლელები, ნებსით თუ უნებლიეთ, იძულებულნი გახდნენ შეეფასებინათ აბასოვის მოქმედება. ათი მოქალაქიდან რვამ მხარი დაუჭირა აბასოვს, თუმცა თქვეს რომ აუტოდაფე პროტესტის გამოხატვის საუკეთესო ფორმა არ არის, მილიციის სერჟანტი ალაშფოთა აბასოვის მოქმედებამ. საქართველოდან ჩასულმა მამაკაცმა უარი თქვა შეეფასებინა ეს მოქმედება.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა მილიციის მუშაკებმა აბასოვი 26 ბაქოელთა კომისრის რაიგანყოფილებაში მიიყვანეს.

რამდენიმე საათის შემდეგ აბასოვი ჩაიხანაში იჯდა და ნაცნობებს უყვებოდა, რომ ოქმში ჩაწერეს თითქოს მან სტალინისა და ბრეჟნევის ტომები დაწვა. სასურველი ოქმის ხელში ჩაგდების შემდეგ კანონის დამცველებმა საქმე მოგვარებულად ჩათვალეს.

„კომერსანტი“

მინაწერი:

ბაქოში აბასოვი რას და როგორ წვავს რა თქვენი საქმეაო — იტყვის მკითხველი და მართალიც იქნება

ჩვენ ერთი რამ გვაინტერესებს — რა ეშველება ჩვენს ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში მილიონიანი ტირაჟებით თავმოყრილ „პროლეტარიატის ბელადის ნალოლიავებ ნაშრომებსა და უკვდავ ქმნილებებს?!“ ყველამ იცის როგორი დეფიციტიცაა ჩვენში, ამიტომ დროა ვიფიქროთ დახარჯული ქაღალდის რეალიზაციაზე. ლენინის შრომებზე დახარჯული ქაღალდით გამოსაცემი წიგნებიც მოიძებნება.

# 1917 წლის ქუთაისური „ანტილენინიანა“

უკანასკნელი იმპერატორი რუსეთისა „ნიკოლოზი“ თებერვალ-მარტში „ხალხთა მასების“ არაერთგზისი მოთხოვნის საფუძველზე ჩამობრძანდა ტახტიდან და... ნევისპირა ქალაქიდან შუა ციმბირში, — ტობოლსკში, გრიშა რასპუტინის მშობლიურ ქალაქში, ამოჰყო თავი.

საქართველოში და კერძოდ, ქუთაისში ყოფილი სატახტო ქალაქის ამბები ხუთი-ექვსი დღის დაგვიანებით თუ აღწევდა, მაგრამ ყველაზე სწრაფად, როგორც ახლა, იმ დროსაც ჭორი ვრცელდებოდა... ვინაიდან მაშინდელი ჭორები და ანეკდოტები „ოქტომბრის რევოლუციის“ შესახებ არავის შეუგროვებია და ვერც დაიმახსოვრებდა, ცნობილ გარემოებათა გამო, ჩვენც იძულებული ვართ დავჭერდეთ ქუთაისში გამომავალ გაზეთების იმ პუბლიკაციებს, რომლებიც უშუალოდ „ოქტომბერ-ნოემბრის“ ამბებს შეეხება.

ჭერჭერობით, ზუსტად დადგენილი არ არის, ყოველ შემთხვევაში „მარქსისტმა“ ისტორიკოსებმა ვერ დაადგინეს, თუ ვერ დააზუსტეს, როდის და რომელ რიცხვში შეიტყვეს ქუთაისში ოქტომბრის გადატრიალების თარიღი.

ადგილობრივი გაზეთების პოლიტიკური მიმომხილველები დიდ ყურადღებას იჩენდნენ „ბოლშევიკური“ პარტიის მიმართ და სამწუხაროდ ძალიანაც აგრესიულად იყვნენ განწყობილი მაინცდამაინც ამ პარტიის წინააღმდეგ. სამწუხაროდ-მეთქი, იმიტომ აღვნიშნეთ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შემდგომში ბევრმა მათგანმა „მარჩენალ კალამს“ მოაზროვნე თავიც ზედ გადააყოლა. სწორედ იმ „ბოლშევიკების“ წყალობით.

1917 წლის 25 ოქტომბერს (ძველი სტილით) მენშევიკების ორგანო „ერთობა“ იუწყებოდა: „სულ სხვანაირად ფიქრობენ ბალშევიკები. დამფუძნებელი კრების მოწვევა მათ ავანტიურისტულ პოლიტიკას დასამარებას უქადის... ამიტომაც არის, რომ ისინი ჩქარობენ, რომ ისარგებლონ ქვეყნის არევ-დარევით და დიდ უმრავლესობას ერთი მუჭა ბლანკისტების სურვილები თავს მოახვიონ. ხვალ პეტროგრადში ბალშევიკების მეთაურობით მუშათა და ჯარისკაცთა გამოსვლას ელიან“.

ცნობას ოქტომბრის აჯანყების „წარმატებითი“ მოხდენის შესახებ მოუთმენლად მოელოდა ცნობილი ბოლშევიკი კოტე ცინცაძე, რომელიც იმ დღეებში ქუთაისის საგუბერნიო ციხეში იმყოფებოდა: „მოახლოვდა... 25 ოქტომბერი. ძარღვებდაჭიმული ველოდებით ცნობებს, საკმარისია პატარა ნაპერწკალი, რომ ცეცხლი დაინთოს... გავიდა 25 ოქტომბერი, ცნობები არ არის, ან უკეთ რომ ვთქვათ, არ იძლევიან მთავრობის განკარგულებით (ალბათ ადგილობრივი მთავრობა ჰყავს მხედველობაში გ. ტ), ისმის კანტი-კუნტად რომ ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს“...

ბოლშევიკური პარტიის მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალება ნოე ჟორჟოლიანს არ მიაჩნია რევოლუციად, რადგან „ის მოხთა ჩუმათ, ღამით, იგი შედეგია შეთქმულებისა, ბოლშევიკებმა მოახთინეს გადატრიალება, არა მარქსის არამედ ბლანკის მეთოდით.“

ალბათ ზემოთქმულიდან გამომდინარე არის, რომ მაშინდელ საგაზეთო ფელეტონებში, ბოლშევიკური სულისკვეთება საქართველოსათვის უცხოდ და მიუღებლად მიაჩნიათ, ვინაიდან ქართველი კაცის ზომიერი ხასიათი ვერ იგუებს ასეთ „ნახტომებს“ ვერც სოციალურ და ვერც პოლიტიკურ სფეროში. ამიტომაც არის ლენინ-ტროცკის პარტია ანარქო — სინდიკალისტებად და ბლანკისტებად მონათლული.

ურთიერთსაპირისპირო ცნობები, დეპეშები იბეჭდება გაზეთების ფურცლებზე, ზოგი მათგანი ბოლშევიკების გამოსვლის დამარცხებას იუწყება, ზოგი კიდევ პირიქით.

ქართულ სინამდვილეში ვლადიმერ ლენინის პიროვნების მოღვაწეობის შესახებ 1921 წლის 25 თებერვლამდე უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი, ვიტყოდით, რომ ერთგვარად აგრესიული დამოკიდებულება შეიმჩნევა, ფართო მკითხველისათვის უკვე ხელმისაწვდომია მიხ. წერეთლის „ერი და კაცობრიობა“, რომელშიც საკმაოდ სუსხიანად არის ლენინის პოლიტიკური პორტრეტი დახატული.

ამ მხრივ იმ 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერშიც გამოირჩეოდა ქუთაისური პრესა, პირველად სწორედ აქაურ გაზეთში, სამსონ ყიფიანის ლექსში „აღსდგა მკვდრეთით საქართველო“, მოიხსენიებოდა ვლადიმერ ლენინის სახელი:

მხოლოდ მაშინ მოისპობა
ლენინების „სოციალი“.
ავაზაკის მცნებათქმნელი,
მისი ჩვენში წოწიალი.

იმპერია ირღვეოდა, სულ უფრო მეტ ძალებს იკრებდა ანარქია, განუკითხაობა. მაქსიმ გორკი, როგორც ერთ სტატიაში ვკითხულობთ, სანამ გარევოლუციონერდებოდა, სწერდა: „რუსი ხალხი ორგანულად მიისწრაფვის ანარქიისაკენ. ის პასიური არ არის, მაგრამ სასტიკია, როდესაც მის ხელში ძალაუფლება ჩავარდება. მისი განთქმული გულკეთილობა კარამაზოვის სენტიმენტალიზმია, ჰუმანიზმი და კულტურა მის გულში ნიადაგს სრულებით ვერ პოულობს!“

რუსი ხალხის ამგვარ მდგომარეობაში ყიფნას ფელეტონისტი ბოლშევიკებს აბრალებდა რადგან „ისე გარყვნეს ხალხი, რომ დღეიდან ძნელია რაიმე კანონიერი წესრიგის დამყარება“, საერთოდ იმდროინდელი ქუთაისური „ანტილენინია“ პოლიტიკური გონებამახვილობითა და რეალისტური ხელწერით გამოირჩევა.

„ახლა გათავადდა მუშტით ლენინი!“... (ჩვენს თაობას ლენინის ოქტომბერ-ნოემბრის დროინდელი მუშტის სიმწარე არ ახსოვს, მაგრამ კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული „დიადი იდეალებისაკენ“ კვარცხლბეკებიდან მიმართულ-მომართული მუშტის სიმწვავე).

„ლენინის თავადობა არ არის თავადობა დემოკრატიისა — თავადობა გონებრივი და ზნეობრივი. თავადობა ლენინისა არის ფიზიკური თავადობა ერთი ჯგუფისა მეორეზე. იგი ჯგუფიც დაეცემა, ვით დაეცა კერენსკი“ — წერდა ცნობილი ქართველი მწერალი ია ეკალაძე.

მაშინდელი ქუთაისის პრესა აშფოთებულია „რევოლუციის“ მეორე ბელადის ლ. ტროცკის განცხადების გამო: „ტროცკის განუცხადებია უცხოელ ელჩებს რუსეთიდან არ გაუშვებთო“.

უკეთეს წინამორბედს, რა თქმა უნდა, ამ ფაქტის მიხედვით სადამ ჰუსეინი ვერც ინატრებდა..

რუსეთში ოქტომბერ-ნოემბრის ამბების შედეგად დემოკრატია კი შეიცვალა ოხლოკრატიით, მაგრამ ქართველი კაცის გულისნადებს, მის საუკუნოვან ბრძოლას მეფის რუსეთისა და დროებითი მთავრობის („კერენსკიმ მუშტი უჩვენა წვრილ ერებს“) წინააღმდეგ ამგვარ არეულობის დროს უნდა დასდგომოდა საშველი „страна, где символ рицарь белый повергший в бездну трупь дракона поидешь ты радастна и смело к вратамь заветпым рубикона“. წერდა რუსი პოეტი ბორის კორნეევი საქართველოსადმი მიძღვნილ შესანიშნავ ლექსში „თეთრი გიორგი“, მართლაც, მოდიოდა დრო, რათა გადაელახა ქართველ ერს საუკუნოვანი რუბიკონი: მითუმეტეს რომ დეკრეტი ეროვნებათა შესახებ მეუმრავლესეთა სახალხო კომისრებმა“ გამოაქვეყნეს. ამიტომ ერები— წერს სტატიის ავტორი — უკიდურესი რეალისტები უნდა იყვნენ, ძვირფას სიტყვებს გულუბრყვილოდ ვერ გაჰყვებიან.

...ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ დღეს მეუმრავლესენი, რომლებიც პატარა ერებს საკუთარ სახელმწიფოს დაარსების ნებას ანიჭებენ, განზრახ არ სჩადიან ამას, რათა მცირე ერთა სიმპათია მათკენ იყოს... ნდობა ახლანდელ დროში ძნელია.

მეუმრავლესენი ამას წინათ ამბობდნენ, რომ ერები, რომლებიც განცალკავდებიან, ეკონომიკურად ცენტრთან უნდა იყვნენ მიჯაჭვულიო, როგორი ლოგიკაა“.

იმდროინდელი ქუთაისის საზოგადოება კარგად იყო ინფორმირებული რუსეთის ამბებით. სტატიაში „ბოლშევიკები და ჩვენ“ ინ-ხანი (ფსევდონიმია ი. დიდიძისა) შენიშნავს: „წაქცეულ სახელმწიფოს ლენინი და ტროცკი დაადგა ფეხებით გულზე და „გამარჯვებულნი“ ზეიმობდნენ, დღე-დღეზე ხაჭაპურებივით აცხობენ დეკრეტებს... სიკვდილის პირზე მიგვიყვანა ძველმა რუსეთმა, მოგვატყუილა კოალიციამ და ყინულზე გაგაცურებს ბოლშევიკებიც. შეიძლება ბოლშევიკებმა ჩვენ სუვერენობა აღიარონ, (რაც კიდევაც დადასტურდა შემდგომში ფაქტიურადაც და ფიქტიურადაც — გ. ტ.) მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავთანხმდეთ ისეთ მოწყობას ჩვენის ცხოვრებისას, როგორც ბოლშევიკები თავს გვახვევდნენ.

შემდგომში ეს მოსაზრებანი ისტორიამ დაადასტურა, ამასთანავე აღსრულდა ი. დიდიძის ის ავი წინათგრძნობაც, რაც შეიძლება მოჰყოლოდა საქართველოში ბოლშევიკების არსებობით გამოწვეულ „პროლეტარული რუსეთის“ ინტერესებს ჩვენი ქვეყნისადმი:

გივი ტყეშელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოუარეთ უვარგისს

სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა მისამართით ვამბობ, მაგრამ შეიძლება სხვასაც გამოადგეს სახელმძღვანელოდ ის მწარე გაკვეთილი, რაც მე მივიღე.

საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდი ქართული ეროვნული სულის გამოღვიძების ხანაა. ამ მხრივ ბევრი საქმე ძალიან სწრაფად და კარგად გაკეთდა. დიდ ეროვნულ საქმედ მიმაჩნია ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხებისადმი ასეთი ყურადღება. ეს ახლო მომავალში გამოიღებს შედეგს — უფრო განათლებულ მომავალ თაობას მივიღებთ, რადგან განათლებული უპირველესად, ისეთ პიროვნებას ჰქვია, რომელიც კარგადაა გარკვეული თავისი ერის ისტორიაში, იცნობს მის ლიტერატურას და ცხოვრობს მისი ინტერესებისათვის. ამის მიღწევისათვის კი საქართველოში ყველამ და განსაკუთრებით სკოლამ უნდა იზრუნოს. სკოლაში მაქსიმალურად უნდა შეიქმნას პირობები აღნიშნული საგნების უკეთ სწავლებისათვის. ამისათვის აუცილებელია სკოლის მაღალხარისხოვანი პედაგოგიური კადრებით შევსება. მაგრამ რა ვუყოთ ძველს, თუ იგი ისე ვერ ასწავლის, როგორც საჭიროა?

1987 წ. ჩვენს სკოლაში მოვიდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკმაო პედაგოგიური სტაჟის მქონე 52 წლის მასწავლებელი (სკოლასთან შეთანხმების გარეშე), მალე გაირკვა, რომ იგი იყო უაღრესად ცუდი პედაგოგი. საერთოდ ვერ ახერხებდა გაკვეთილის ჩატარებას. უშვებდა უხეშ მეცნიერულ და მეთოდურ შეცდომებს.

სკოლის მეთოდსამსახური შეეცადა, დახმარებოდა მას, მაგრამ იგი ყურად არ იღებდა შენიშვნებს. ამის შემდეგ მოსწავლეებმა და მშობლებმაც კი მიმართეს ხელმძღვანელ ორგანოებს და ითხოვდნენ მასწავლებლის შეცვლას.

სკოლამ გაითვალისწინა რა, რომ იგი ხანდაზმული, მარტოხელა ადამიანია, შესთავაზა სხვა სამსახური, პედაგოგი არ დაეთანხმა ამას. ყოველივე ამის შემდეგ ის სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მისი სარჩელი ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის სახალხო მოსამართლემ ქალბატონმა ლუარა ჭუმბურიძემ არ დააკმაყოფილა. მან გაასაჩივრა უმაღლეს სასამართლოში, აქ კი კოლეგია არ გაეცნო საქმის არსს, ერთი ყალბი დოკუმენტი აიღო სახელმძღვანელოდ, არ მოისმინა ჩემი განმარტებები. მითხრეს: ეს რომ ასე გავაკეთოთ, ჩვენ აქ არავინ გაგვაჩერებსო (?), და დაადგინეს: განაჩენი გაუქმდეს ხელახალი განხილვისათვის.

იმ დღეს უმაღლეს სასამართლოში სხვა მრავალი სამოქალაქო საქმე გაარჩიეს. ოჯახური დავა, ეზოს თუ სარკმლის მიკუთვნება გულდასმით განსაჯეს, დროც ბევრი დაუთმეს. მოზარდი თაობის აღზრდის დიდად ეროვნული საქმის განხილვას კი ზერელედ მოეკიდნენ. კოლეგიის გადაწყვეტილება სამ გვერდზეა გაფორმებული. ორიოდ წუთში როგორ შეძლეს ფორმულირება, ან სათათბიროდ გასულებმა მოთათბირება როდის მოასწრეს. თუ წინასწარ იყვნენ შეთანხმებული და ეს ყველაფერი სასამართლო პროცესი კი არა ფარსი იყო მხოლოდ? საპროტესტოდ მივმართეთ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მაგრამ პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს.

ამის შემდეგ საქმე ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლეს კილასონიას გადაეცა. ბუნებრივია, მან გამოასწორა კოლეგის „შეცდომა" — ეს პიროვნება აღადგინა სამსახურში და მე მის სასარგებლოდ 600 მან-მდე თანხის გადახდა დამაკისრა. ეს უსამართლობა იმ მოსამართლემ საქართველოს რესპუბლიკის სახელით წაიკითხა და იმ ქართული ენისა და ლიტერატურის ვაიმასწავლებელს საშუალება მისცა, კიდევ მრავალი წლის მანძილზე დაამახინჯოს საქართველოს მოზარდი თაობა.

ეს პიროვნება ამის შემდეგ კვლავ აგრძელებს საჩივრებს. ახლა მოისურვა განაცდურის სრულად მიღება. საქმე ავტოქარხნის რაიონის მოსამართლე გ. თილიპაშვილს გადაეცა. მან სამართლიანობისა და აღზრდილობის ნორმების დარღვევით „მოახერხა" ჩემს დაუსწრებლად წარემართა პროცესი და დააკმაყოფილა იმ პიროვნების სარჩელი, ამჯერად 2675 მან. გადახდა დამეკისრა.

ჩემო კოლეგებო, ასეთი უსამართლობა ეგებ ჯერ არ გადაგხდენიათ და თუ კიდევ ოდნავ მაინც გჯერათ, რომ ამქვეყნად სიმართლეს გაიტანთ, მწარედ ცდებით. გარწმუნებთ, თავი რომ მოიკლათ, ვერაფერს გახდებით. დღეს ყველას ეშინია მომჩივნის და ეს იმიტომ, რომ საკუთარ სკამს უფრთხილდებიან, სიმართლე არავის სჭირდება, ამ ვაიპედაგოგს უბრალო განცხადების დაწერაც კი არ შეუძლია უშეცდომოდ, მაგრამ ეს ვის სჭირდება, მთავარია, მომჩივანი არ იყოს, არავინ შეწუხდეს ამით.

კანონი ერთნაირად ჭრის სამართალს ქუჩის დამგველისათვის და პედაგოგისათვისაც. იმას არავინ ითვალისწინებს, რომ ცუდ ქუჩის დამგველს მხოლოდ ცუდად დაგვა შეუძლია, ხოლო ცუდ პედაგოგს შეუძლია თაობები დაამახინჯოს: ცუდად ნასწავლი მშობლიური ენითა და ლიტერატურით, მის გაკვეთილებზე დანაშაულამდე მისული უპასუხისმგებლობით, თვით იმ ფაქტით, რომ ცუდი მუშაკი ისეთსავე ანაზღაურებას იღებს, როგორსაც კარგი და ა. შ.

იმასაც არავინ ითვალისწინებს, რომ თუ სკოლის დირექტორმა ცუდი პედაგოგის განთავისუფლების წესი ვერ დაიცვა, ეს არ ნიშნავს, რომ ის კარგი პედაგოგია და უნდა აღდგეს თანამდებობაზე. მით უფრო, რომ სასამართლო პროცესზე მოსამართლე, ბრალმდებელი და თვით ადვოკატიც კი აღიარებენ, რომ ასეთი პიროვნების პედაგოგობა დაუშვებელია (ერთ-ერთ საჩივარში ის თვითონ წერს: „მე გამანთავისუფლეს დაკისრებული მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობის მოტივით, მასალები კი მოწმობენ, რომ არ შეეფერები დაკავებულ თანამდებობას ე. ი. პარაგრაფებშია დაშვებული შეცდომა და ამიტომ უნდა აღმადგინოთ თანამდებობაზე". სასამართლომ მიიღო ეს არგუმენტი).

თუ დირექტორია დამნაშავე უღირსი მუშაკის განთავისუფლებისას საჭირო ფორმალობის დაუცველობისათვის, ის უნდა დაისაჯოს, მაგრამ ბავშვებს რაღას ვემართლებით, რატომ უნდა დავამახინჯოთ ისინი? მით უმეტეს, რომ ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ შეგვეცვალა მათი უვარგისი მასწავლებელი, რომელიც არც არაფერს ასწავლიდა და ქცევითაც სასაცილო იყო. მე სამართლიანი სამართალი ვერ ვნახე. ამიტომ პროტესტის ნიშნად განცხადება დავწერე გადადგომის შესახებ. სკოლის კოლექტივმა მაიძულა, დავბრუნებულიყავი. ვცდილობ შევებრძოლო ჩვენი საზოგადოების დამყაყებულ ყოფას, არაფერი გამოდის... შეეცადეთ, სინდისის კარნახს ყური არ ათხოვოთ, მერე რა, რომ ცუდი მასწავლებელი ეყოლება მომავალ თაობას, სანაცვლოდ მათ კარგად ეცოდინებათ, სად რამდენჯერ იჩივლონ და თავისი გაიტანონ. ცუდი პედაგოგი ვერ დააინტერესებს მათ გაკვეთილზე, ისინი არ ისწავლიან არაფერს, რომ მოწყინდებათ, ქუჩაში გავლენ, დანაშაულს ჩაიდენენ, მერე რა, ეს არაფერია, მთავარია მომჩივანი არ გვყავდეს.

დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს განათლებული, მაღალკვალიფიციური მამულიშვილები სჭირდებათ. არაფრით არ შეიძლება, ისინი უვარგისმა პედაგოგებმა აღზარდონ, მაგრამ ეს არავის აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები საერთოდ არ ფიქრობენ ამაზე. (გამონაკლისი ამინდს ვერ ქმნის).

ასე რომ, ჩემო პატივცემულო კოლეგებო, ჩვენი ხელფასი ცუდი არაა, შეირგეთ იგი, თუ კი მისით რაიმეს შეიძენთ შესარგებს. ნურავისაგან მოითხოვთ სწავლისა და აღზრდის სწორად წარმართვას, ნუ შეავიწროვებთ ცუდს. მართალია, ამით განათლებულ, შრომისმოყვარე მომავალ თაობას ვერ აღზრდით, მაგრამ ეს არაფერია. მთავარია, განაწყენებული უღირსი მუშაკი არ გვყავდეს, თუგინდ მას ნორმალურად აზროვნებაც კი არ შეეძლოს.

ი. ჭურაძე,
36-ე საშუალო სკოლის დირექტორი

### მინაწერი:

თქმა არ უნდა, წერილის ავტორს, ქუთაისის 36-ე საშუალო სკოლის დირექტორს ბ-ნ იაზ ჭურაძეს, როგორც თავადაც აღიარებს, მართლაც ვერ დაუცავს თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების წესი. სასამართლოს საქმეებშიც ვერ ჩავერევით, ეგ ჩვენი კომპეტენცია არაა. ჩვენდა საუბედუროდ კანონს არ აინტერესებს, იმსახურებდა თუ არა გათავისუფლებას ესა თუ ის მუშაკი, მისთვის მთავარია, რომ გათავისუფლების წესი დაირღვა და მორჩა... შეიძლებოდა ეს წერილი არც დაგვებეჭდა...

სხვა რამე უფრო გვაწუხებს. ჩვენ არ ვიცით, როგორი მასწავლებელია ის ქალბატონი, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ: მის მიმართ გამოცხადებული პროტესტი უსაფუძვლო არ იქნებოდა, ის კი ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ჩვენი სკოლები სავსეა იმგვარი მასწავლებლებით, ამ წერილში რომაა დახატული და მათ უბოდიშოდ ბუზსაც ვერავინ აუფრენს... საზოგადოებას მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ძალა არ შესწევს, ხელები აქვს წაკვეთილი, კანონი ნებას არ რთავს...

რამდენიმე წლის წინ მასწავლებელთა ატესტაცია შემოიღეს... ამან მხოლოდ გამოუსწორებელ ოპტიმისტებს გაუჩინა იმედი... ფუჭი იმედი... ატესტაციამაც უაღრესად ფორმალურად ჩაიარა...

არადა, ამასობაში მახინჯდებიან ჩვენი შვილები, პატარა ქართველები...

ახლახანს, ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეები და მშობლები დაუპირისპირდნენ კლასის ახალ ხელმძღვანელს... საქმე დირექტორამდე მივიდა, ჩვენი ყოფილი მასწავლებელი დაგვიტოვეთ, მოითხოვდნენ, მაგრამ ეგეც ამაოდ — დირექტორმა ხელები დაიბანა, ეგ საქმე მე არ მეხებაო (მაშ რა ეხება, საკითხავია!) და სასწავლო ნაწილის გამგეს გადაულოცა...

ვერა და ვერ მორიგდა ერთმანეთში კლასი (ათი წლის ბავშვები არიან!) და კლასის ხელმძღვანელი... როგორც გვითხრეს ამას წინათ გაკვეთილზე სხვა მასწავლებელი მოუწვევია ამ თითისტოლა ბალღების დასაწყნარებლად... ვიცით, ამ მასწავლებელს დამცველიც გამოუჩნდება და მოწინააღმდეგეც, ისევე, როგორც მის მოსწავლეებს, ამ ძიძგილაობაში გავა დრო და ხელთ უფროსების, კანონის, საზოგადოების უმწეობით გულგატეხილი ახალი თაობა შეგვრჩება...

სხვა სკოლებშიც ასეა...

მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ეს ზოგადი მსჯელობა, რასაც წერილის მინაწერის ჟურნალისტური ჩარჩოები ითვალისწინებს, მეტს არაფერს მისცემს მკითხველს...

ჩვენ მხოლოდ ჩვენს საზოგადო ჭირზე გავამახვილეთ თქვენი ყურადღება...

კონკრეტული, დასაბუთებული წინადადებებია საჭირო, ისეთი, ხვალ საქმედ რომ იქცევა...

ალბათ ეს ის შემთხვევაა, როცა არც მწვადი უნდა დავწვათ და არც შამფური. მასწავლებელსაც უნდა მოვუფრთხილდეთ, ცხადია, ადამიანს გული არ უნდა ვატკინოთ, მაგრამ, რაც მთავარია, ბავშვები არ უნდა დარჩნენ სუსტი მასწავლებლის ხელში...

რა ვქნათ?

## ტრიფონ ჯაფარიძე

# რა ვსთქვათ 19 ნოემბერს?

ტრიფონ ჯაფარიძე ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების სუსხმა შეიწირა. ქუთაისში ცხოვრობდა, ფართო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. 38 წელს კი, ხალხის მტრად შერაცხვისა და განადგურების შემდეგ, დავიწყებას მიეცა მისი ღვაწლი და ამაგი. არადა, იმ დროისათვის არ ყოფილა პრობლემა, საკითხი, რომელთა განხილვა-განსჯასა თუ განხორციელებაში ტრიფონ ჯაფარიძეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. თავისი ღრმადეროვნული პოზიცია არ გაემჟღავნებინოს, ერისათვის არ დაენახვებინოს სოციალ-დემოკრატიის მიერ არჩეული გზის უნაყოფობა, და სოციალიზმის, როგორც მიმდინარეობის ქართველთათვის დამღუპველი, გამანადგურებელი ხასიათი.

მზის სინათლეს ელის ტრიფონ ჯაფარიძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ვაქვეყნებთ ერთ პატარა წერილს, რომელსაც (ისე როგორც სხვებს) ვფიქრობთ დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და აქტუალურობა.

დიდის ლოდინის შემდეგ გადაწყდა, რომ 19 ნოემბერს თბილისში უნდა მოხდეს ქართველთა ეროვნული კრება, ჩვენი მოუმზადებლობის და მოუწყობლობის მიზეზია, რომ ცხრა თვეს რევოლუციის ალში ვართ გახვეული და მხოლოდ დღეს ვახერხებთ ამ კრების მოწვევას. რაც იყო იმაზე ლაპარაკი ზედმეტია და რა უნდა ყოფილიყო, იმაზე დარდი დღეს უნაყოფო იქნება, უმჯობესია დღეს ისა ვსთქვათ რა უნდა გააკეთოს 19-მა ნოემბერმა, საჭიროა დღეს ნათლათ და ცხადათ აღინიშნოს 19 ნოემბრის პროგრამა.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ სახელმწიფო დიდ განსაცდელშია, დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თუ ყველამ თვალი არ გამოვახილეთ და საჩქაროთ არ ვიზრუნეთ, ცოტა ხნის შემდეგ ან სისხლის მორევში დავიხრჩობით ან ვეებერთელა ყოფილ სახელმწიფოს ნანგრევებში ჩავიმტვრევით. ჭეშმარიტად ბაბილონის გოდოლი უშენებია რუსეთის რევოლუციას. დღეს ენათ შერევა მოხდა და ერთს მეორის აღარ ესმის. გერმანელები იტყვიან: „ორ იურისტს სამი აზრი აქვსო" და თუ ეს იურისტებზე ითქმის, დღეს რუსეთში ორ რევოლუციონერს ოთხმოცი აზრი ექნება. დღევანდელი დეპეშები და გაზეთის ფურცლებზე ამოკითხული ამბები რომ ერთად ავკინძოთ სწორედ ვეგონებათ, რომ ყველგან სიცხიანი ავადმყოფები მოქმედებენ და მათი დეკრეტები ანთებიანის ბოდვას მოგაგონებს, ასეთ პირობებში რომ სახელმწიფოს საქმე დაეწყოს ,ასეთ მეთაურთა წყალობით რომ წესიერება დამყარდეს, ყოვლად შეუძლებელია. მერწმუნე მკითხველო ,რომ მთა გადალმა საქმე ისე აინგრა, რომ იქითკენ იმედით მზერა არავისთვის დამაკმაყოფილებელი არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც იქით ვიყურებით. ამბობენ ნაპოლეონი რომ მოკვდა, დარაჯმა ხუთჯერ ხელით შეაქან-შემოაქანა და ბოლოს დარწმუნდა, რომ ალბათ მოკვდაო. საცოდავ დარაჯს თურმე ნაპოლეონი უკვდავი ეგონა და ვერ წარმოედგინა, რომ ის ოდესმე მოკვდებოდა, ასეა ჩვენი საქმეც. დიდი რუსეთი თუ შეჩერდება და იქიდან „უქაზები" არ მოგვივა— ჩვენ ეს არა გვგონია. დეპეშები და წერილები ველარ მოაქვს ფოსტას და ჩვენ თეთრი პურის ფქვილი კიდევ იქიდან გვინდა მოგვივიდეს, აი რა ძნელია დაჩვევა. დიახ ,დიახ, დავეჩვიეთ და რომ ველარ გადავეჩვიეთ?!!!

დავრწმუნდეთ, რომ ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ, თუ რამე შეგვიძლია, 19 ნოემბერს გადავწყვიტოთ ჩვენი საქმე და თუ არაფერი შეგვიძლია, ჩვენც ჩვენი მფლობელი რუსეთივით მარტო ხმა ვყოფილვართ და მეტი არაფერი.

19 ნოემბერს განზრახულმა კრებამ უნდა დანიშნოს საბჭო, რომელიც მოაწყობს საქართველოს ცხოვრებას, ქართველ ერს უნდა ეყოლოს საკუთარი გამგეობა ,რომელიც მოაწყობს ჩვენს ცხოვრებას და გაუძღვება წინ. ასეთი გამგეობის გაჩენა აუცილებლობით არის ნაკარნახევი და ამიტომაც არც რუსეთი და არც რომელიმე ჩვენი მეზობელი ერი ამის წინააღმდეგი არ იქნება პოლიტიკური შეგნება და დღევანდელი მდგომარეობა ყველას დაარწმუნებს, რომ რაც მალე მოეწყობა სხვადასხვა ერის ცხოვრება, რაც მალე დამყარდება წესიერება სახელმწიფოს ნაწილებში, მით უფრო მალე და უფრო მჭიდროდ დალაგდება თვით სახელმწიფოს ცხოვრება. ახლად შემდგარი საქართველოს მმართველი ორგანო —საბჭო იქნება იგი თუ პარლამენტი — უცებ აიღებს ალღოს შეიგნებს ქართველი ერის სულისკვეთებას, აღიჭურვება ხალხის საერთო ნდობით და მოკლე დროში მოაწესრიგებს საზოგადო ცხოვრებას, ასეთ დიდად საჭირო და სასიცოცხლო საქმეში, სხვებით შეერთდება ყველა პარტია, ყველა წოდება ,სარწმუნოება და ერთ საერთო პოლიტიკურ ფერხულში ჩაებმება, თავადაზნაურობამ შეგნებული ნაბიჯი გადადგა ასეთი გზისკენ და თავისი წოდებრივი ქონება მთელი ქართველი ერის საკუთრებათ გამოაცხადა. ასეთ გზას დაადგება საქართველოს ეკლესია, ბანკები, სახაზინო მამულების სამმართველო, ჩვენი ყოფილ მეფეთა მემკვიდრენი და სხვა, თავადაზნაურობამ თავისი გონიერი ნაბიჯით ჩაუდგა საძირკველი საქართველოს ფინანსებს და ამაზე აშენდება ის შენობა ,რომელიც შეინახავს საქართველოს. საქართველოს პარლამენტი ააყვავებს ჩვენს მეურნეობას, მოაწყობს ეროვნულ სკოლას, გაიყვანს საჭირო გზებს, გააცოცხლებს მრეწველობას, გაანაწილებს გადასახადს, გააჩენს ნამდვილ სამართალს და აამუშავებს მთელი ერის ძალღონეს.

დროა ვეღირსოთ ასეთ წუთს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპლიკა

## „როგორ გაგდო ბერიამ სტალინის მძახალი საქართველოდან“

ამ ქვესათაურით გაზეთ „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომერში (1990 წ. II) გამოქვეყნდა ბატონ ლადო იყალთოელის უურმოკრული და ამოკითხული მცირე მოგონებანი კომუნისტური პარტიის ლიდერებზე: სტალინზე, ხრუშჩოვზე, ბერიაზე და სხვებზეც. აი რა წერია ერთგან: „....ბერიამ თავის შეფს, სტალინის მძახალს, ცოლის დის ქმარს, რედანსს პროვოკაცია მოუწყო“.., მართალი ბრძანებაა. ეგრე მოხდა, მაგრამ, ბატონო ლადო, ცოლისდის ქმარს ქართულად ქვისლი ჰქვია; მძახალი სხვაა, სიძე სხვაა და ასე შემდეგ. ეგ ერთი.

მეორეც: ნიკიტა ხრუშჩოვი არც ისეთი დეგენერატი იყო, როგორც თქვენი მახვილგონივრული ჩანაწერებიდან ჩანს. ხრუშჩოვმა დაიწყო (მართალია, ბოლომდე ვერ მიიყვანა) სტალინური საპყრობილის დემონტაჟი, ხრუშჩოვმა, თქვენ რომ დებილი გგონიათ, ერთმანეთის მიყოლებით გზიდან ჩამოიშორა სტალინის თანამოაზრენი: ბერია, მოლოტოვი, მალენკოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ჟუკოვი, სხვები და სხვები. გაათავისუფლა უდანაშაულო პოლიტპატიმრები, აღუდგინა მოქალაქის სახელი მილიონობით ადამიანს, გახსნა გზა ცივილიზებული კაცობრიობისაკენ, როცა კრემლიდან გაძევებული ხროვის წარმომადგენელმა კაგანოვიჩმა ტელეფონით ჰკითხა, რას გვიპირებო, თქვენ ჩემს ადგილზე, როგორ მოიქცევითო, კითხვა შეუბრუნა ხრუშჩოვმა; კაგანოვიჩს ენა დაება, წიდით იქო... ყურმილი დაუდო ხრუშჩოვმა. სად იქ წადითო? ქართულად არ ითარგმნება, რუსულად უხერხულად ჟღერს ნამეტანი. ამ ჰუმანურობამ ძალაუფლება დააკარგვინა ბოლო — ბოლო, სიცოცხლე შეუნარჩუნა სამაგიეროდ, პრესტიჟულ სასაფლაოზე დაიმარხა, კრემლის კედელშიც არ გაკვებნული ფერფლად და ნაგვად.

ეს სხვათა შორის.

ისე კი: ცოლისდის ქმარს ქვისლი ჰქვია, მძახალი სხვაა, სიძე სხვა, რძალი სხვა, შილი?.., შეიძლება ლექსიკონშიც მოგიწიოთ ჩახედვა.

პატივისცემით

ანატოლი კრუიჟანოვსკი

სსრკ პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე განაცხადა.

„უკვე ვიღებ ინფორმაციას საქართველოდან, თუ რა აღელვება გამოუწვევია, იქ განცხადებას, რომ წყვეტენ საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული კავშირ-ურთიერთობას“.

საუბარი საქართველოს რესპუბლიკის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს საქმიანობის პირველ ნაბიჯებს, უფრო სწორად განზრახვასა და გადაწყვეტილებას შეეხებოდა. მათ შესახებ კი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა აკაკი ასათიანმა იმავე სესიაზე სავსებით დამაჯერებლად ისაუბრა. მაგრამ ამჯერად მოდით, პრეზიდენტის ნათქვამს დავუკვირდეთ. ნებისმიერ ჭკუათმყოფელს მისი განცხადების წაკითხვისას სულ მცირე სამი კითხვა უნდა გაუჩნდეს: 1. ვისგან ღებულობს სსრკ პრეზიდენტი ინფორმაციას, 2. არის თუ არა ზუსტი ეს ინფორმაცია და 3. რამდენადაა დაინტერესებული პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი მიიღოს ზუსტი ინფორმაცია?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. არა მგონია საქართველოში დღესდღეობით იყოს ვინმე ასეთ ინფორმაციას რომ აწვდიდეს პრეზიდენტს. ბოლოს-

## მელას რაც ელანდებოდა

დაბოლოს ასეთ კაცს იმის შიში მაინც ექნებოდა, რომ ეს ამბავი გამჟღავნდებოდა, ქართველი ერი ამ ფაქტს სააშკარაოზე გამოიტანდა და... ამიტომ ამგვარი პიროვნება ან ინფორმაციის მიმწოდებელი უწყება დასაჯერებელია, რომ საქართველოში არ არსებობს.

მეორე კითხვის პასუხი ნათელი და ერთმნიშვნელოვანია — ინფორმაცია აბსოლუტურად ყალბია.

მესამე — პრეზიდენტი გორბაჩოვი არაა დაინტერესებული საქართველოდან მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, რაც მან თქვა, ყველაფერი ტყუილია, „ჩიპუხაა“ — ეს სიტყვა, თუ არ ვცდები, უყვარს. საქართველოში საქმე პირიქითაა — არავინ აღელვებულა და არც საუკუნოვანი კავშირ-ურთიერთობის გაწყვეტაზე დაცდენია ვინმეს სიტყვა. თუმცა მთავარი სულ სხვა რამაა, და, აი რაა მთავარი:

პრეზიდენტს უნდა საქართველოში ისე იყოს საქმე, როგორც ამბობს, მისთვის ხელსაყრელი და სასურველი იქნება ასეთი სიტუაცია — გამზავებლად ჩადგება ქართველსა და ქართველს შორის. მართალია, ქართველები ახალი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებების გამო აღელვებულნი არ არიან, არც საუკუნოვან ურთიერთობათა გაწყვეტაზე ფიქრობს ვინმე, მაგრამ რა მოხდა მერე? გორბაჩო ხელს აძლევს პირიქით იყოს და რა გასაკვირია, რაც აწყობს იმას ამბობდეს. ერთი სიტყვით, რაც ელანდება ის ესიზმრება. მორჩა და გათავდა.

ე. თ.

რეპლიკა

## ამბავი ავთანდილისა

წმინდა დავით და კონსტანტინე მხეიძეებმა თავიანთი მოწამებრივი სიკვდილით თითქოს ყველასმაგიერი წამება გადაიტანეს, მაგრამ სულაც არ ყოფილა საკმარისი, მერეც მრავალმა გატკეპნა გზა გოლგოთისაკენ. ერთერთი მათგანი წმინდანი ძმების თანამოგვარე, ავთანდილ მხეიძე გახლავთ. ავთო ოცდათექვსმეტის შესრულდებოდა წელს, ნოემბერში, მაგრამ... მის ბედისწერას გამუქება აღარ ჭირდება. სიმართლე თუ გინდათ, ამ კაცმა სულ თხუთმეტი წელი იცოცხლა, დანარჩენ ოცს თუ ოცდაერთს სიცოცხლე არ ერქვა.

მისი დაკრძალვის დღეს ვილაცამ თქვა: „ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ოჯახიო“. ვერაფრით ვერ დავეთანხმე იმ ვიღაცას. არ შეიძლება შემთხვევას ბრმა დაერქვას, რომელსაც და მის მსგავს სხვა შემთხვევებს, სულ ცოტა, მილიონი თვალი და ყური მაინც დარაჯობდა.

ავთანდილი ქუთაისის იმ სკოლაში სწავლობდა, სადაც იმდენი გამოჩენილი მამულიშვილი აღზრდილა. ქართველების გარდა, ნებისმიერი ერი იამაყებდა მათით, მაგრამ მომიტევოს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია პირველი საშუალო სკოლის სახელი. რამეთუ, ეს ამბავი, სწორედ პირველ საშუალო სკოლაში გადახდა თავს ავთანდილ მხეიძეს. დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ანალოგიური შეიძლებოდა მომხდარიყო სხვა სკოლებშიც, შეიძლება მომხდარა კიდეც, და არა ერთი. აქ სკოლა იმდენად არაა დამნაშავე, რამდენადაც დრო და იდეოლოგიური სამსახური. მაშინ არც დღე ეძინათ და არც ღამე. ვერც იმას ვიტყვით, რომ ახლა დაეძინათ სალათას ძილით, მაგრამ მაშინ კერპის ხელისშეხება კი არა, სახელის ცუდად ხსენებაც არ შეიძლებოდა.

ეს ამბავი 1969 წელს მოხდა. ავთანდილი, პირველი საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე, ისტორიის გაკვეთილზე გაუძახნიათ. ავთო პირდაპირი ბიჭი იყო, წამომდგარა და უთქვამს: გაკვეთილი არ ვიცი და ამ გაკვეთილს არ ვისწავლიო (გაკვეთილის თემა ლენინის ბიოგრაფია თუ რაღაც ამგვარი იყო). მასწავლებელს მიზეზი უკითხავს, რატომო „რატომ და ამოვიდა ყელში ძალით რომ ნვატენით, არ მიყვარს ეგ თქვენი ბელადი, ხომ შეიძლება ამის უფლება მქონდესო“ ავთო ბავშვი იყო და არ ესმოდა, რომ ამის უფლება არც მას და არც სხვას არ ჰქონდა „ჩვენს უსაზღვროდ დიდ ქვეყანაში“. სამაგიეროდ ეს იცოდა ისტორიის მასწავლებელმა. მოსწავლის გულახდილი პასუხის შემდეგ, რაც დაემართებოდა პედაგოგს ამის აღწერა აღარაა საჭირო. როგორც ამხანაგებს ახსოვთ, მეორე დღეს ავთო სკოლაში არ ყოფილა. სკოლის დირექტორს ერთსაათიანი საუბარი ჩაუტარებია მერვეკლასელებისათვის. საუბარი ლენინს ეხებოდა. დირექტორს ერთხელ კიდევ შეუხსენებია მოსწავლეებისათვის, რომ ეს საამური ცხოვრება, სწორედ ლენინმა მოუტანათ, უფასო სწავლა, უფასო მკურნალობა, უფასო, უფასო, უფასო... არა და მერვეკლასელებმა კარგად იცოდნენ, რა უჯდებოდათ თვითეულ მათგანს „უფასო სიკეთეები“. საუბრის დასასრულს დირექტორს სხვათაშორის ისიც უთქვამს, რომ ავთანდილ მხეიძის გამო წინა ღამით ისეთ დაწესებულებაში გამოუძახნიათ, აღარც იყო დარწმუნებული ცოცხალი გამოვიდოდა თუ არა იქედან. რამდენიმე დღის მერე მოსწავლეების მშობლები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ ავთოს თაობაზე, უშიშროებაში ყოლიათ დაძახებულიო. თვითონ ავთანდილს ამის შესახებ სიტყვა არავისთან დასცდენია. არც შინაურებთან, არც ამხანაგებთან. ეს კი იყო, გულჩათხრობილობა დასჩემდა, მიჯდებოდა კუთხეში და ჩააშტერდებოდა ერთ წერტილს. მანამდე სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო. კარგი სპორტსმენი, ნიჭიერი მუსიკოსი. თითქოს ერთ დღეში გადააკეთესო.

ოჯახს ავთოს ასეთი მდგომარეობა არ გამოპარვია. ექიმთან მიიყვანეს, ფსიქიატრის ჩარევა შეიქმნა საჭირო. თვეობით უწევდა მკურნალობა. მშობლებმა მოგვიანებით გაიგეს შვილის უშიშროების განყოფილებაში ყოფნის შესახებ, ხმაც ვერ ამოიღეს. სამსახურიდან არ დამითხოვონო. სამსახურს ვინ ჩიოდა, სხვა ფარცაგიც იყო მოსალოდნელი.

შვილის მდგომარეობით ყველაზე მეტად დედა იტანჯებოდა, წუთითაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. ველარ გაუძლო, უკურნებელი სენი შეეყარა და 1975 წელს 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთი წლის მერე მამასაც გაუსკდა გული. დარჩა ოთხი შვილი უდედმამოდ. სულით ავადმყოფ ძმას მშობლების მაგივრობას დედმამიშვილები უწევდნენ. მკურნალობის შემდეგ ერთხანს შამობრუნდებოდა, ესწრებოდა კონცერტებს, სპორტულ თამაშებს. მერე ისევ შეუტევდა შეჩენილი სენი.

ბოლო ხანებში კარგად იყო, მეზობლებისთვის უთქვამს პოლიტიკაზე ლაპარაკს შევეშვითო და ხელი ჩაუქნევია.

ამან დამღუპაო, გაუმხელია ძმისთვის, ქალაქის ბულვარში ლენინის ძეგლის ნარჩენებს რომ ჩაუარეს.

ფეხბურთის აბონემენტი შეუძენია. თამაშს არ აცდენდა, „რას მოვესწარიო“. ეროვნულ ჩემპიონატზე იძახდა. არადა ჩემპიონატის დაწყებას მოესწრო მხოლოდ... ისევ მიეძალა ავადმყოფობა. ოცი წლის განმავლობაში წამლების სმამ ღვიძლი დაუშალა. ავთოს ცოდვა მიეცა იმ ცოდვილიან და იმ ცოდვილიანის სახელი და საქმის დამცველ ცოდვილიანებს.

გ. ჟორჟიშვილი.



□ □ □

## აბანო ეკლესიაში

არ გეგონოს, მკითხველო, ოცდაათიანი წლების“ ულმერთოთა კავშირის“ საქმიანო ბაზე ვამბობდეთ რაიმეს. არა! დღემდე, ქუთაისში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩაზე სამხედრო ნაწილს აბანო ეკლესიაში აქვს მოწყობილი. აბანოს ფუნქცია იცით — რუსის ოფიცრები და ჯარისკაცები იბანენ, ჭუჭყს იშორებენ...

□ □ □

## რობერტ კონკვესტი

# დიდი ტერორი

**რობერტ კონკვესტის წიგნი „დიდი ტერორი“ 30-იანი წლების ხოცვა-ჟლეტას ეძღვნება. 1989 წლამდე ამ ავტორის ხსენება სსრკ-ში აკრძალული იყო. კონკვესტი უცხოეთში საბჭოთა ისტორიის ყველაზე კარგ მცოდნედაა აღიარებული და მისი წიგნიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს. გთავაზობთ ერთი თავის ნაწყვეტს „დიდი ტერორიდან“*. სრულად, მთელი წიგნი ჟურნალ „განთიადში“ დაისტამბება.**

□ □ □

პირველი ნაბიჯები ახალი ტიპის ტერორისაკენ, მოგვიანებით მთელი ქვეყანა რომ მოიცვა, სტალინმა სწორედ სოფლად გამარჯვებისათვის ბრძოლაში გადადგა. იმ დროს, როცა ოპოზიციის ლიდერებმა საკუთარი შეხედულებანი მერყეობის ქვიშაში ჩამარხეს, პარტიის ნაკლებმნიშვნელოვანი ფიგურები გაცილებით გაბედული და მიმხვედრნი იყვნენ. 1930-1933 წლებში სტალინის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა სამ გამოსვლას. პირველი 1930 წელს მოეწყო, მისი ადრინდელი თანამოაზრეებიბის — სირცოვის, სტალინმა იმდროისათვის ბაუმანის ადგილზე რომ გაიყვანა პოლიტბიუროში და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ აქცია და, ცენტრალური კომიტეტის წევრის ლომინაძის ხელმძღვანელობით, თავიანთი მცდელობით — შეეზღუდათ სტალინის ხელისუფლება, ისინი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების რამდენიმე მდივნის მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ. მათ შორის იყვნენ კომკავშირელთა ბელადი შაცკინი და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი ქართველიშვილი. სირცოვი და ლომინაძე პარტიასა და სახელმწიფოში ერთმმართველობისა და სახიფათო ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგი იყვნენ. მათ გამოსცეს მიმართვა, რომელშიაც გაკრიტიკებული იყო ეკონომიკური ავანტიურიზმის რეჟიმი, მშრომელთა ინიციატივების ჩახშობის მცდელობა, პარტიასა და ხალხისადმი უხეში დამოკიდებულება, ლაპარაკი იყო აგრეთვე მუშებისა და გლეხებისადმი აზნაურულ-ფეოდალურ დამოკიდებულებაზე, მათი მოთხოვნებ ი ს, საჭიროებებისა და ინტერესების უგულებელყოფაზე. საბჭოთა აღმშენებლობის წარმატებებს ისინი „თვალისახვევას“ უწოდებდნენ, ხოლო ისეთ დიდ სამრეწველო გიგანტს, როგორიც სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაა, „პოტიომკინის სოფელს“.

სტალინმა ამ ჯგუფის გეგმების შესახებ ჯერ კიდევ მანამდე გაიგო, სანამ სირცოვი და ლომინაძე გამოსვლისათვის მზადებას მორჩებოდნენ. 1930 წლის დეკემბერში ორივენი გარიცხეს პარტიიდან. 1935 წელს ლომინაძემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. დანარჩენები კი დიდი ტერორის დროს გაუჩინარდნენ.

უკვე მივუახლოვდით ტერორის განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტს — ეგრეთწოდებულ რიუტინის საქმეს. მომდევნო წლებში არა ერთხელ მოიხსენიებენ მას, როგორც მთავარ შეთქმულს და ყველა ოპოზიციონერს ერთმანეთის მიყოლებით დასდებენ ბრალს რიუტინის „შეთქმულებაში“ მონაწილეობისათვის.

აი, რა მოხდა სინამდვილეში.

რიუტინი და სლეპკოვი მემარჯვენეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ და პარტიულ იერარქიაში არც ისე მაღალი ადგილი ეჭირათ. მათ არ მიიღეს ბუხარინის მიერ რეკომენდირებული უმოქმედობის პოლიტიკა და 1932 წლის დასასრულს შეადგინეს ცნობილი „რიუტინის პლატფორმა“. ეს ორასგვერდიანი დოკუმენტი ჯგუფის წევრებმა ფართოდ გაავრცელეს პარტიის ხელმძღვანელ წრეებში.

პლატფორმის ძირითადი პუნქტები დღეისათვის სხვადასხვა წყაროებიდანაა ცნობილი. დოკუმენტის დედააზრი ასე იყო გამოხატული: „მემარჯვენენი მართალი აღმოჩნდნენ ეკონომიკის სფეროში, ტროცკი კი მართალი გამოვიდა პარტიის რეჟიმის კრიტიკაში“. „რიუტინის პლატფორმის“ ავტორები კაპიტულაციაში (უმოქმედობაში) ადანაშაულებდნენ ბუხარინს, რიკოვს. ტომსკის და გვთავაზობდნენ ეკონომიკურ უკანდახევას. მოითხოვდნენ კაპიტალდაბანდებათა შემცირებას წარმოებაში და გლეხების ვათავისუფლებას კოლმეურნეობებიდან თავისუფალი გასვლის უფლებით. პარტიული დემოკრატიის აღდგენის გზაზე პირველ ნაბიჯად „პლატფორმა“ მიიჩნევდა პარტიაში ყველა გარიცხულთა, მათ შორის ტროცკის, აღდგენას.

ამასთან ეს დოკუმენტი აღსანიშნავია, არა იმდენად მემარჯვენეთა პროგრამის ასე აშკარად გამოცხადებით, რამდენადაც პირადად სტალინის მიმართ მკაცრი ბრალდებებით. „პლატფორმის“ ორასი გვერდიდან ორმოცდაათი ამ თემას ეძღვნება და მასში გაცხადებულია ძირითადი მოთხოვნა — ჩამოეშორებინათ სტალინი ხელისუფლებისათვის. „პლატფორმაში“ სტალინი წარმოდგენილი იყო, როგორც რუსული რევოლუციის თავისებური ბოროტი გენია, რომელმაც „მოქმედებდა რა ხელისუფლების მოყვარულობისა და შურისძიების პირადი ინტერესებით, უფსკრულის პირას მიიყვანა რევოლუცია.“ რიუტინი ოპოზიციის ხნიერ წევრებზე უფრო ნათლად ხედავდა, რომ სტალინის გაკონტროლების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. საკითხი უბრალოდ იდგა, ასე: ან უნდა დაემორჩილო, ან აჯანყდე.

სტალინმა საქმე ისე წარმოადგინა თითქოს „პლატფორმა“ მისი მკვლელობისაკენ მოწოდება იყო. ბუხარინ-რიკოვის პროცესზე, 1938 წელს, ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ „რიუტინის პლატფორმაში“ დაფიქსირებულია საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამხობის ტაქტიკაზე გადასვლა. მის არსს წარმოადგენდა „სასახლის გადატრიალება, ტერორი...“ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სიცრუე გახლდათ, მაგრამ „პლატფორმის“ ამგვარი დახასიათება, პროცესზე ხელისუფალნი პირში რომ სჩრიდნენ ბრალდებულებს, მიგვანიშნებს რიუტინის საქმისადმი სტალინურ მიდგომაზე, მასში სტალინი ხედავდა საბაბს იმისას, რომ ბრალი დაედო ოპოზიციონერთათვის მძიმე სისხლის სამართლებრივ დანაშაულობებში.

სჩანს, სტალინი იმედოვნებდა, რომ საქმეში პოლიტიკური ხელისუფლების ჩარევის გარეშე, დახვრეტდა რიუტინს, მაგრამ განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ საქმეთა სამმართველომ საკითხი განსახილველად ცენტრალურ მაკონტროლებელ კომისიას გადასცა. ეს იყო ორგანო, ფორმალურად რომ არ შედიოდა პარტიულ იერარქიაში და დამოუკიდებლად წყვეტდა დისციპლინალურ საკითხებს, ცენტრალური მაკონტროლებელი ბიუროს თავმჯდომარედ ჩვეულებრივ იყო პოლიტბიუროს ერთ-ერთი მაღალი რანგის ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც დროებით გასული იყო მისი შემადგენლობიდან. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ამ პოსტზე სტალინელთა მთელი წყება — კუიბიშევი, ორჯონიკიძე, ანდრეევი, ხოლო იმ მომენტში, რომელზედაც ამჟამად გვაქვს საუბარი — რუძუტაკი იყო. იგრძნო რა, რომ რიუტინის საქმე იყო პოლიტიკური და საკმაოდ შორდებოდა უბრალო დისციპლინარულ საკითხს, რუძუტაკმა თავის მხრივ საქმე განსახილველად პოლიტბიუროს გადასცა. ნიკოლაევსკის ეტიუდში — „როგორ მზადდებოდა მოსკოვის პროცესი, მოხუცი ბოლშევიკის წერილიდან“ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ განიხილებოდა რიუტინის საქმე პოლიტბიუროში, კერძოდ: „განსაკუთრებით დასაბუთებულად რიუტინის დასჯის წინააღმდეგ ლაპარაკობდა კიროვი. მან შეძლო კიდეც მიემხრო პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობა“. სხვა წყაროდან ამავე სხდომის შესახებ ცნობილია, რომ კიროვთან ერთად სტალინის წინააღმდეგ გამოვიდნენ ორჯონიკიძე, კუიბიშევი, კოსიორი, კალინინი და რუძუტაკი, სტალინს მხარი დაუჭირა მხოლოდ კაგანოვიჩმა, მოლოტოვი და ანდრეევი — მერყეობდნენ.

1964 წელს, „პრავდაში“ გამოქვეყნდა სტატია, საიდანაც სჩანს, რომ პოლიტბიუროში ადგილი ჰქონდა არა მარტო აზრთა სხვადასხვაობას, არამედ სიტუაცია სწორედ ისეთი იყო, როგორც ზემოთ აღნიშნულ წყაროებშია მითითებული. სტატიაში მოთხრობილია, როგორ შეეცადა სტალინი სომეხი კომუნისტის ნაზარეტიანის რეპრესირებას, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან მის დასაცავად გამოვიდა ორჯონიკიძე. სტალინმა ისიც იცოდა, რომ ნაზარეტიანის „საქმის“ წინააღმდეგ გამოვიდოდნენ აგრეთვე კიროვი და კუიბიშევი. ეს აღიარებაა იმისა, რომ არსებობდა ზომიერი ბლოკი, უპირატესობის მიღწევა რომ შეეძლო პოლიტბიუროში. ამრიგად, სტალინი თავისი მოკავშირეების მხრიდან პირველად დაეჯახა ძლიერ ოპოზიციას.

რიუტინის დასჯა უნდა ქცეულიყო ძველი ბოლშევიკის პირველ დასჯად, (მართალია, 1929 წელს დასაჯეს ყოფილი ესერი ბლიუმკინი, 1918 წელს გერმანიის ელჩს რომ ესროლა, მაგრამ ბლიუმკინი დახვრიტეს იმისათვის, რომ თითქოს იგი ტროცკის საიდუმლო ემისარი იყო და, ამდენად სასჯელს სხვაგვარი შეფერილობა ჰქონდა), განსაკუთრებით მიუღებელი იყო ის, რომ ასეთი მკაცრი ზომები ტარდებოდა პირდაპირ პოლიტიკურ დისპუტზე, (თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ - პოლიტიკურ საქმეთა სამმართველოს უკვე შეთხზული ჰქონდა ვერსია სამხედრო აკადემიის რომელიღაც შეთქმულებაზე, და იგი დაკავშირებული იყო „პლატფორმასთან“) პარტიის ერთგულების ძველი ტრადიცია მხოლოდ უმრავლესობისადმი შიგაპარტიული ოპოზიციის დაქვემდებარებას როდი გულისხმობდა, უკიდურეს შემთხვევაში იგი დამარცხებული პარტიული უმცირესობის ტყავსაც იცავდა. ლენინს შეეძლო მეგობრულად ემუშავა ზინოვიევსა და კამენევთან, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ მომენტში მოღალატეებადაც აცხადებდა მათ — თუნდაც 1917 წელს, როცა ისინი შეიარაღებული აჯანყების გეგმას აკრიტიკებდნენ. მოგვიანებით ბუხარინმა შეძლო ეღიარებინა 1918 წელს მისი საუბრის მცდარობა ლენინის დაპატიმრებისა და ხელისუფლების შეცვლის თაობაზე. გაირკვა, რომ თვით ახალი სტალინური პოლიტბიურო ავტომატურად არ ღებულობდა გადაწყვეტილებებს...

ეჭვი არაა, რომ დამარცხება სტანჯავდა სტალინის პატივმოყვარეობას. ყოველ დიდ პროცესზე 1936, 1937 და 1938 წლებში ბრალდებულნი აღიარებდნენ მონაწილეობას რიუტინის შეთქმულებაში, რომელიც, როგორც ისინი ამბობდნენ, წარმოადგენდა ყველა ოპოზიციონერთა პირველ გაერთიანებას ტერორის საფუძველზე, რიუტინის გამოაშკარავების ზუსტად ოთხი წლის შემდეგ, სტალინმა მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა. რომ „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმეთა სამმართველო — ტროცკისტთა მხილებაში 4 წლით ჩამორჩა“, ოთხი წლის მანძილზე, 1932 წლის სექტემბრიდან 1936 წლის სექტემბრამდე, სტალინი ეძებდა შესაძლებლობას ფიზიკურად გაენადგურებინა თავისი პარტიული მტრები, რისთვისაც საჭირო იყო უმრავლესობის წინააღმდეგობის გატეხვა.

პირველი გაკვეთილი, სტალინმა მომხდარი ამბებიდან რომ გააკეთა, იმაში მდგომარეობდა, რომ მას არც თუ ადვილად შეეძლო მიეღო თანამოაზრეთა თანხმობა, სუფთა პოლიტიკური მიზეზების გამო, პარტიის წევრთა დასჯის თაობაზე. მცდელობა, დაეხასიათებინა „რიუტინის პლატფორმა“ მკვლელობათა პროგრამად ძალზედ არარეალური იყო. ნამდვილი პოლიტიკური მკვლელობა, რა თქმა უნდა, საუკეთესო თემა იქნებოდა კამათისათვის.

ამდენად, სტალინი თავის ახლობლებში ხედავდა ისეთ ხალხს, რომელთა წინააღმდეგობის გატეხვა ძნელი იყო, რთული იყო აგრეთვე მათ ჩამოსაშორებლად რაიმე პოლიტიკური საბაბის შერჩევა. მომდევნო ორ წელიწადში, ნამდვილი პოლიტიკური მკვლელობის მოწყობის იდეამ და ფიქრმა ჯიუტ თანამოაზრეებზე, სტალინი მიიყვანა ერთადერთ ლოგიკურ გადაწყვეტილებამდე — მოეკლა კიროვი.

თუმცა ისევ 1932 წელს დავუბრუნდეთ. 28 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე რიუტინის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, პარტიიდან გარიცხეს მთელი ჯგუფი, როგორც „დეგენერატები, კომუნიზმისა და საბჭოთა სისტემის მტრები, პარტიისა და მუშათა კლასის მოღალატენი, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ შეეცადნენ საბჭოთა კავშირში ბურჟუაზიულ-კულაკური ორგანიზაცია შეექმნათ კაპიტალიზმისა და განსაკუთრებით კი კულაკობის აღდგენის მიზნით“, ბევრმა ძველმა ოპოზიციონერმა, თუმცა მხარი არ დაუჭირა რიუტინს, (პლენუმამდე გაცილებით ადრე ნახეს „პლატფორმის“ ტექსტი), მაგრამ არც ხელისუფლებაში დაუბეზღებიათ იგი. ამიტომ მათ „უდისციპლინობისათვის“ ახალი რეპრესიები ელოდათ. ზინოვიევი და კამენევი „დაუბეზღებლობისთვის“ ხელახლა გაირიცხნენ პარტიიდან და ურალში გადაასახლეს. ივანე სმირნოვი, რომელიც პარტიაში აღდგენის შემდეგ გორკის ავტოქარხნის დირექტორი იყო, 1933 წლის 1 იანვარს ხელახლა დააპატიმრეს და ათი წლის განაჩენით მოათავსეს სუზდალის „იზოლიატორში“. სმილგას ხუთი წელი მიუსაჯეს და მრაჩკოვსკისთან ერთად გადაასახლეს ქალაქ ვერხნეურალსკში.

1933 წლის 12 იანვარს ცკ პლენუმმა პარტიის საყოველთაო „წმენდის“ რეზოლუცია მიიღო. იმავე წელს მოხდა რვაასი ათასი პარტიის წევრის „წმენდა“, მომდევნო 1934 წელს კი კიდევ სამას ორმოცი ათასის.

1933 წლის ზემოთხსენებული იანვრის პლენუმზე „გამოაშკარავებული“ იქნა ახალი ციკლის შეთქმულება, საპატიო ძველი ბოლშევიკი ა. პ. სმირნოვი, პარტიის წევრი 1896 წლიდან და ორგკომიტეტის ყოფილი წევრი, სხვა ორ ძველ ბოლშევიკთან ეისმონტთან და ტოლმაჩევთან (პარტიის წევრები 1907 და 1904 წლიდან) ერთად დაადანაშაულეს ანტიპარტიული ჯგუფის ფორმირებაში.

არის ცნობები, რომ სმირნოვის ჯგუფს ფართო კონტაქტები ჰქონდა ძველ ბოლშევიკ მუშებთან, ძირითადად პროფკავშირულ ორგანიზაციებთან — მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში. ისინი მიხვდნენ, რომ ლეგალური მეთოდებით სტალინის მარწუხებს ვერ დაუძვრებოდნენ და ბრძოლის ორგანიზაციისათვის ძირითადად იატაკქვეშ გადავიდნენ. რამდენადაც ცნობილია, მათი პროგრამა შეიცავდა არაბალანსირებული საწარმოო პროგრამების გადასინჯვას, კოლმეურნეობათა უმრავლესობის დაშლას, განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმეთა სამმართველოს პარტიული კონტროლისადმი დამორჩილებას და პროფკავშირების დამოუკიდებლობას, მაგრამ უპირველესად ისინი სტალინის ჩამოშორებაზე მსჯელობდნენ:

1962 წლის 18-21 დეკემბერს ისტორიულ მეცნიერებათა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების საკავშირო თათბირზე ვ. ს. ზაიცევის გამოსვლიდან ცნობილია, რომ საკითხი განიხილებოდა ცკ-შიც, სადაც ეისმონტმა პირდაპირ განაცხადა: „დიახ, ნამდვილად, ჩვენ გვქონდა ასეთი საუბრები, ისინი ა. პ. სმირნოვიდან მომდინარეობდნენ“ ამ სამი ბრალდებულიდან არცერთი არ იყო დაკავშირებული ტროცკისტებთან და მემარჯვენე ოპოზიციონერებთან. მაგრამ ისტორიკოსთა იმავე თათბირზე ზაიცევმა აღნიშნა — სმირნოვის ჯგუფის მხილებით, 1933 წლის იანვრის პლენუმზე, სათავე დაედო ძველი ლენინური კადრებისადმი ანგარიშსწორებას. აღინიშნა, რომ სტალინმა ზუსტად ამ საკითხის განხილვისას განაცხადა: „მხოლოდ მტრებს შეუძლიათ თქვენ მოვიშოროთ სტალინი და არაფერიც არ იქნებაო“.

როგორც ჩანს, ისევ იყო მცდელობა ოპოზიციონერთა დახვრეტისა, ისევ ბლოკირებული იქნა ეს მცდელო-

---

* იბეჭდება ჟურნალ „ნევაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან, მცირეოდენი შემოკლებით.

# დიდი ტერორი

ბაც. აღმოჩნდა, რომ კიროვი, ორჯონიკიძე და კუიბიშევი კვლავ მთავარ როლს თამაშობდნენ სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ. მათ მხარს უჭერდნენ კალინინი და კოსიორი; ანდრეევმა, ვოროშილოვმა და რამდენამდე მოლოტოვმაც შუალედური პოზიცია დაიკავეს, მხოლოდ კაგანოვიჩი უჭერდა ბოლომდე მხარს სტალინს.

მემარჯვენეთა ლიდერებმა სმირნოვის ჯგუფთან კავშირის დამყარებაზე უარი განაცხადეს. თვით ამ ჯგუფის შესახებ გამოცემულ რეზოლუციაში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ რიკოვი, ტომსკი და შმიდტი „განზე იდგნენ ანტიპარტიული ელემენტების ბრძოლისაგან და მხოლოდ მხარს უჭერდნენ სმირნოვსა და ეისმონტთან კავშირს, რითაც საქმის არსიდან გამომდინარე, ამხნევებდნენ მათ თავიანთ ანტიპარტიულ საქმიანობაში".

ბუხარინი, რომელიც რეზოლუციას სულ მცირედითაც არ დაუდანაშაულებია, პლენუმზე გამოვიდა სიტყვით, რომელიც არაგულწრფელი ტონით, ყოფილი ოპოზიციონერების მაშინდელი გამოსვლების ტიპიური მაგალითი იყო. ბუხარინმა მოითხოვა „მკაცრად გასწორებოდნენ ა. პ. სმირნოვის დაჯგუფებას". საუბრობდა თავის „მემარჯვენე — ოპორტუნისტულ, სრულიად გაუმართლებელ საერთო პოლიტიკურ მიზანდასახულობაზე, საკუთარ „დანაშაულზე პარტიის, მისი ხელმძღვანელობის, ცენტრალური კომიტეტის, მუშათა კლასისა და ქვეყნის წინაშე". ლაპარაკობდა აგრეთვე ტომსკიზე, რიკოვზე, როგორც თავის „ყოფილ თანამოაზრეებზე მემარჯვენე ოპოზიციის ხელმძღვანელობაში".

ეისმონტი და ტოლმაჩევი პარტიიდან გარიცხეს, სმირნოვი კი ცენტრალური კომიტეტიდან (სხვათა შორის, სმირნოვი 1934 წლის დეკემბერში, კიროვის მკვლელობის შემდეგ პარტიიდანაც გარიცხეს, ორპირობისა და პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებისათვის"). მომდევნო ზამთრის განმავლობაში ეისმონტი, ტოლმაჩევი, რიუტინი, უგლანოვი და სხვები სხვადასხვა ვადით აიყვანეს პატიმრობაში.

სმირნოვისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებანი მეტად ყურადსაღებია, ნათელია, რომ მაღალი რანგის პარტიული მუშაკები, მანამდე არასდროს რომ არ ყოფილან გაერთიანებული რაიმე ოპოზიციაში, ახლა გამოვიდნენ არა მხოლოდ პოლიტიკური კურსის შეცვლის, არამედ განსაკუთრებით სტალინის ხელისუფლებისაგან ჩამოშორების მოთხოვნით, ეს ზრდის წყვდიადით მოცული ცნობების ალბათობას იმის შესახებ, რომ ასეთ დისკუსიებს ადგილი ჰქონდათ ერთი წლით ადრეც, პარტიის მე-17 ყრილობის დროს.

რიუტინისა და სმირნოვის ჯგუფს საეჭვოა წარმატების შანსი ჰქონოდათ. მათი დამსახურება უფრო იმაშია, რომ ეს იყო აშკარა წინააღმდეგობა სტალინის მიმართ, პოლიტბიუროში მისი უახლოესი თანამოაზრეებ ი ს მხრიდან, კონსპირატორთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

სიკვდილის დასჯასთან დაკავშირებით კიროვის, ორჯონიკიძისა და სხვათა აღშფოთება უდავოდ გულწრფელი იყო, პარტიული სოლიდარობის იდეა შემდგომ არასოდეს აღარ გამოვლენილა ასეთი განსაკუთრებული ძალით.

მაგრამ აქვე გამოიკვეთა ეგრეთწოდებულ „ზომიერ" პარტიულ მოღვაწეთა გასაკვირველი „გაორება". ისინი უდარდელად და ხალისითაც კი ჰკლავდნენ თეთრებს, განსაკუთრებული მწუხარების გარეშე საშიმშილოდ სწირავდნენ და წყვეტდნენ გლეხობას — მაგრამ იგივე ადამიანები თავგამოდებით უწევდნენ წინააღმდეგობას მაღალი რანგის პარტიულ მოღვაწეთა სიკვდილით დასჯის შესაძლებლობას, რადგან ეს „ბოლშევიკის სისხლის დაღვრას ნიშნავდა, ამ ადამიანების გაორებული მორალი შეიძლება გავუტოლოთ მხოლოდ ძველი სამყაროს განათლებული და მგრძნობიარე წარმომადგენელის მონებისადმი, ან მე-18 საუკუნის ფრანგი არისტოკრატის ღარიბი კლასებისადმი დამოკიდებულებას. ძველ ბოლშევიკთა თვით საუკეთესო ნაწილიც კი უფრო ნაკლებად ზრუნავდა უპარტიოთა ბედზე, ვიდრე პლატონის დროს ზრუნავდნენ. მონათა მდგომარეობაზე. უპარტიონი, ისევე როგორც მონები, უბრალოდ, ადამიანებად არ ითვლებოდნენ.

რა თქმა უნდა, შეიძლება სიმპათიურად განეწყო იმ ერთგული პარტიული მუშაკებისადმი, „წმენდამ" რომ შეიწირა, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ შეგძრას ისეთმა საძაგელმა ადამიანებმა, როგორებიც შახტინის საქმეში იყვნენ ბრალდადებულნი, ალბათ ასეთი ამორჩევითი თანაგრძნობა მხოლოდ ვიწრო და მკაცრი პარტიული თვალთახედვით უნდა იყოს გაპირობებული. ჭეშმარიტება შემდეგშია: პარტიის რეპრესირებული წევრები, რომლებიც წარსულში თვითონ იჩენდნენ სისასტიკეს უპარტიოებისადმი, ადამიანურობის პრინციპებიდან გამომდინარე, მათი მომავალი ტანჯვისათვის მინიმალურ თანაგრძნობას იმსახურებენ.

დათრგუნვის აპარატი, ისინი საკუთარი თავის მსხვერპლად რომ აქცია, ხომ მანამდეც არსებობდა. მომავალი მსხვერპლნი არ გამოთქვამდნენ აღშფოთებას სანამ სხვებს სჯიდნენ — მათ სჯეროდათ, რომ პარტიის მტრებს უსწორდებოდნენ. პოლიტბიუროზე ბუხარინს, რომ შახტინის პროცესთან დაკავშირებით საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა, ტროცკის რომ გადასახლებაში არ გაეკიცხა ეგრეთწოდებულ მენშევიკთა პროცესი, მათ რომ წინააღმდეგობა გაეწიათ არა უსამართლობის, როგორც ასეთის, არამედ მხოლოდ პარტიისა და სახელმწიფოს რეპუტაციაზე არსებული ლაქების წინააღმდეგნი წასულიყვნენ — მაშინ ოპოზიციონერებს გაცილებით მყარი საფუძველი ექნებოდათ...

მთავარი უბედურება ტერორისა მდგომარეობდა არა იმაში, რომ იგი ერთნაირად უსწორდებოდა პარტიის წევრებსა და დანარჩენ მოსახლეობას. არამედ იმაში, რომ ტანჯვა-წვალება მოსახლეობისა ტერორის პერიოდში განუზომლად გაიზარდა. „რიუტინის საქმეში" მთავარი პუნქტი იყო არა ის, შეენარჩუნებინათ პარტიის პრივილეგირებულ წევრთა ხელშეუხებლობა, არამედ ის, რომ იგი წარმოადგენდა სტალინის სასინჯ ქვას: დაამარცხებდა თუ არა თავის თანამოაზრეებს და დაუმორჩილებდა თუ არა რუსეთს თავის ერთპიროვნულ სურვილს. ოლიგარქიის დროს, უკიდურეს შემთხვევაში არის იმის შესაძლებლობა, რომ მმართველი ელიტის წევრებს ზომიერი შეხედულებანი ჰქონდეთ, ან გარკვეულად შეარბილონ თავიანთი განსაკუთრებით მკაცრი კოლეგების ბაქიაობა. ერთპიროვნული დიქტატურის დროს კი ყველაფერი, გამონაკლისის გარეშე, დაკავშირებულია ერთი ადამიანის სურვილზე. რა თქმა უნდა, არსებობდნენ შედარებით რბილი დიქტატორებიც, მაგრამ სტალინი მათ რიცხვს არ ეკუთვნოდა.

# გამოუცხადებელი ომი

**წლეულს, 11 თვის განმავლობაში ქუთაისში მოხდა სისხლის სამართლის 484 დანაშაული, რაც 221-ით მეტია შარშანდელთან შედარებით.**

**33 ერთეულითაა გაზრდილი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რიცხვი.**

**შარშანდელთან შედარებით 93 შემთხვევით მეტია პირადი ქონების ქურდობა.**

**ექვსი ერთეულით გაიზარდა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.**

**საგანგაშოდ გადიდდა ავტოტრანსპორტის გატაცების შემთხვევები.**

ეს ციფრები მკითხველთა შესაშინებლად არ მოგვიტანია. მართალია სტატისტიკა შთამბეჭდავია, მაგრამ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ აქამდე წყნარი, აუმღვრეველი ცხოვრება გვქონდა, ახლა კი გარეთაც ვერ გამოვსულვართ.

სწორი ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ არ ვიცნობდით დანაშაულთა სტატისტიკას, უკეთ ვუწყოდით აშშ-სა და იტალიაში არსებულ მაფიებზე, „კოზა ნოსტრას" დანაშაულებრივ ინდუსტრიაზე (თუ აქ არ აჭარბებდნენ), ვიდრე ჩვენს ქალაქში არსებულ დანაშაულებრივ ჯგუფებზე.

დანაშაულთა რიცხვი ნამდვილად გაიზარდა. დღე არ გავა ხმა არ დაირხეს, რომ ვილაცის ცოლი ან შვილი მოიტაცეს, ლაპარაკია მათ გამოსასყიდად მოთხოვნილ ფანტასტურ თანხებზე. ხალხმა ეს იცის. იციან თუ არა ამ ფაქტების შესახებ შს ორგანოებში?

**— ვიცით, — გვპასუხობს შს ქუთაისის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბატონი დავით შალამბერიძე, — ოღონდ, მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციით. ვიცით კიდეც ვინ არიან ამ დანაშაულებრივ ჯგუფებში გაერთიანებულნი, მაგრამ, სამწუხაროდ, თვითონ დაზარალებული არ მოგვმართავს, იქნებ ეგეთი უნდობლობა დავიმსახურეთ კიდეც, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შეგვიძლია მათი გამოაშკარავება, ვიმეორებ, ვიცით ვინ არიან ისინი.**

— არავის მოუმართავს?

**— მხოლოდ მოქალაქე ლილუაშვილმა მოგვმართა.**

— მაინც რა თანხებზეა ლაპარაკი?

**— ძალიან დიდ თანხებზე.**

— ქალაქში ლაპარაკობენ, რომ მილიონებს ითხოვენ

**— არა, მილიონებს — არა. სამტრედიაში, მაგალითად ბავშვი რომ მოიტაცეს 400 000 მანეთი მოსთხოვეს მშობლებს, იყო 50 000, 100 000 მანეთის მოთხოვნის ფაქტები.**

საუბარში ერთვება შს ქუთაისის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბატონი გივი ლობჟანიძე:

**ჩვენს ისტორიაში არის ასეთი თეთრი ლაქები. ტყვეთა სყიდვის ამაზრზენ ფაქტებს ვგულისხმობ. მერწმუნეთ, ვიცით ეს ხალხი, რომ შეეძლოთ თავისივე მოდგმას უდრტინველად გაჰყიდიან სტამბულის ბაზარზე.**

ამგვარ დანაშაულს რეკეტს უწოდებენ. — სიტყვა რეკეტი სულ ახალი დამკვიდრებულია ჩვენს ლექსიკონში...

**— სისხლის სამართლის კოდექსს თუ მივუსადაგებთ რეკეტი ყაჩაღობაა. რეკეტიორი შეიძლება არც იყოს დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრი. სხვათაშორის რეკეტიორები დაუპირისპირდნენ ქურდულ ტრადიციებს.**

**„კანონიერი ქურდის" სახელის მოსაპოვებლად იერარქიულ კიბეზე სვლა კოლონიაში იწყება, ვთქვათ კოლონიაში 10 000 პატიმარია, აქედან ხუთი ქურდია. ქურდად ყოფნა საპატიოა. მასთან ურთიერთობის პატივს მოპოვება უნდა. ამ უკანასკნელის ნდობის მოპოვებასაც ზრუნვა და თავგამოდება სჭირდება, თუ ამას შეძლებ „ხაროშნაკი" გახდები, ქურდად კოლონიაში უნდა გაკურთხონ. მერე გამოხვალ და „კაცი იქნები", სხვები იქურდებენ და შენ მოგიტანენ, „საქმეებს" გაარჩევენ, არსებობს ქურდული მორალიც. რეკეტი სხვაა. მათი დანაშაული უფრო ვერაგული და წინასწარ ძნელად გამოსაცნობია.**

— ბატონო დავით, დანაშაულის კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, ახალი ფორმა გავრცელდა — მანქანების წართმევა. ქალაქში იციან, რომ გატაცებულია საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნის სერგო კურტანიძის, კომუნალური მეურნეობის განყოფილების ჯამგის შოთა ღირდალაძის სამსახურებრივი დანიშნულების მანქანები. იყო სხვა, განსაკუთრებით უცხოურ მანქანათა გატაცების მცდელობაც.

**— ამ ფაქტებზე, ასე თუ ისე, შეგვიძლია გარკვეული პასუხის გაცემა. ამჟამად დაკარგულია საქალაქო საბჭოს აღმასკომის კუთვნილი გაზ-24-ის მარკის სამი მანქანა და ერთი რაფი. აგრეთვე სამხედრო ნაწილიდან დაკარგულია ორი ვილისი და ერთი გაზ-24.**

**მძღოლების განმარტებით, გამტაცებლებმა უთხრეს, რომ არიან „მხედრიონის" წევრები, მანქანა დროებით სჭირდებათ და უკანვე დააბრუნებენ. ერთერთმა გამტაცებელმა მაგნიტოფონი არ წაიღო — ქურდი კი არა ვარ, მანქანა მჭირდებაო, ჩვენი თხოვნაა, საზოგადოება ამას უტყუარ ინფორმაციად ნუ მიიჩნევს, მხოლოდ ეამოძიება გვეტყვის პროვოკაციაა ეს განცხადება თუ სიმართლე.**

— თქვენ უკეთ ხართ შეიარაღებულნი თუ დამნაშავეთა სამყარო?

**— რა თქმა უნდა, ისინი.**

— საიდან?

**— სამხედრო ნაწილებზე, მილიციის ორგანოებზე თავდასხმით, სხვადასხვა გზებით.**

— მაინც რამდენი შეიარაღებული ფორმირებაა დღეს იარაღასხმული წესრიგის დასაცავად?

**— რამდენიმე.**

— არის იმედი, რომ მილიცია შეძლებს მართლწესრიგის დაცვას?

**— გააჩნია რა მასშტაბებს გულისხმობთ (უკვე ბატონი გივი გვპასუხობს) როა მილიციის ორგანოების უახლესი ტექნიკით აღჭურვა. ამიტომ იგი უცხოეთშია შესაძენი, ესე იგი აუცილებელია ვალუტა. ჯერჯერობით მხოლოდ ვოცნებობთ კავშირგაბმულობის ნორმალურ საშუალებებზე, დინამიური მახასიათებლების სამსახურებრივ ავტომანქანებზე, კომპიუტერულ ტექნიკაზე, დროულად უნდა გადაწყდეს კადრების საკითხიც.**

**— და ბოლოს, — ამბობს ბატონი გივი, — დღეს, როცა ასეთი რთული ვითარებაა, ბოროტად არ უნდა ვისარგებლოთ უზენაესი საბჭოს ჰუმანური, მიმტევებლური პოლიტიკით დიქტატს მიჩვეულებმა. ჩვენს აზროვნებას და შეგნებას უნდა მოვუხმოთ, საქართველოს სამსახურში ჩავდგეთ.**

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულეები თვალსაჩინოა, იგი სცილდება შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენციის ფარგლებს და საერთოდ სახელმწიფოებრივ ხასიათს იძენს.

გვინდა დავარწმუნოთ ხალხი, რომ საზოგადოების ყოველდღიური მხარდაჭერის პირობებში, მთელ ფიზიკურ და ინტელექტუალურ პოტენციალს მოვახმართ მართლწესრიგის განმტკიცებას.

ესაუბრა

**ეთერ ნაცვლიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ გაბაშვილი: რაც მახსოვს

„რაც არ ექნეს მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა“-ო.

ამბობენ, ვისმე „საპოუნიკ“ მელქაძეს უთქვამს: „თუ კი ასე იყო ჩვენი ამბავი, რაღას ვიჭაჭებოდით და რატომ უბრძოლველად არ ჩავბარდითო“.

ამაზე მინდა უპასუხო...

თუ კი პოლონეთმა, ლატვია, ლიტვა, ესტონეთმა, — გაცილებით უარესს პირობებში, — ოც წელიწადზე მეტს გაუძლეს, დამოუკიდებლობა შეინახეს, რატომ ჩვენ სამიც ვერ გაუძლეთ, ათასჯერ უკეთეს პირობებში?

ჩვენ ხუთჯერ მაინც მეტი მანძილით ვიყავით დაშორებულნი მოსკოვიდან, ვიდრე ისინი. იმათსა და რუსებს შორის არავითარი ბუნებრივი დამაბრკოლებელი საზღვრები არაა, — გაშლილი მინდვრების გარდა, ჩვენ კი ათასკილომეტრიანი, ამინის უკუნისამდე სტრატეგიული ზღუდე გვიფარავდა, — კავკასიონის მთაგრეხილი. იმათამდე მისასვლელად რუსებს გადასალახი არ ჰყოლიათ არც ერთი სხვა ერი ან ტერიტორია. ჩვენამდე, უკრაინა, ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი და სომხეთი. პოლონეთ-ლატვია-ლიტვა-ესტონეთს ერთად არასოდეს არა ჰყოლიათ 12000 საუკეთესო ოფიცერი და 150000 კარგი მეომარი ჯარისკაცი, რომელთაგან ნახევარზე მეტი დაგვიბრუნდა რუსის ჯარიდან. და სხვ. და სხვ.

მაშ, რაში იყო საქმე?.. აი, რაში:

პოლონეთს, მაგ. სათავეში მოექცა პატრიოტი პილსუდსკი, თუმცა სოციალისტი, მაგრამ.. რომელმაც თავის „ამხანაგებს“ უთხრა მოსწრებულად: „მე სადგურ „პოლონეთ“-ზე ჩამოვხტი და თქვენ კი სადგურ „ინტერნაციონალზე“ მიიჩქარებით“-ო. ასევე მოიქცნენ ბალტიელი სოციალისტ-პატრიოტები, როგორც თავის დროზე ცნობილი გერმანელი სოციალისტი ბებელი.

ჟორდანია კი თვითონ მიაჭენებდა სადგურ „ინტერნაციონალისაკენ“ და თავისუფალ მშვიდობიანობას მოწყურებულ ქართველ „ხალხსაც“, — სიტყვით, საქმით და სიცრუით „საქართველოს“ სადგურზედ არ აჩერებდა... და ეხლა სწერს: ამხანაგები არ მაჩერებდნენო.

პილსუდსკი, უცხოეთსა თუ პოლონეთში, აგროვებდა ოფიცრობას და ლეგიონებსა ჰქმნიდა სამშობლოს დასაცავად, ჟორდანია, — შინ დაბრუნებულ ლეგიონ ოფიცრობასა და ზემდეგს, „კონტრრევოლუციონერებად“-ა სთვლიდა, გარედ ერეკებოდა და სიკვდილის წინაც, ვანეში, — „ჩემი შენ გითხარიო“, — რუსოფილობასა სწამებს, ავაზაკობას და ათასს თავის უმსგავსოებას.

პილსუდსკის დიდი ოპოზიცია ჰყავდა: ერთხელ იარაღითაც გამოვიდნენ მის წინააღმდეგ, გადააყენეს კიდეც და ჟორდანია საცოდავადა ჩივის: ათიოდე ოპოზიციონერი „ერთსულოვნობას არღვევდა“-ო. მთელი საქართველო ერთსულოვანი იყო ჟორდანიას გარშემო დამოუკიდებლობის საქმეში და იგი შლიდა და ძალით შლიდა (არ-არსებულ) „კლასთა-ბრძოლის“ ლოზუნგებითა და შეიარაღებული ხელით. (ნ. ჟორდანია 60 წლის „იუბილეს“ რომ იხდიდა პარიზში, შალვა ამირეჯიბმა სრული სიმართლე უთხრა: „საქართველო, დავით-აღმაშენებელის დროსაც არ იყო ისე გაერთიანებული (—და ერთსულოვანი. რ. გ.), როგორც თქვენ დროს“-ო: და მენშევიკებმა ეს საყვედური, ქებად გაასაღეს: „დავით აღმაშენებელს შეადარაო“.

მართლაც. დავით აღმაშენებელს სრულიად აწეწილი, დანგრეული საქართველო დახვდა (16 წლის ჭაბუკს) და მძლავრი მტრებით გარსშემორტყმული იყო. მან კი გააერთიანა და „ოქროს ხანა“ მოუმზადა სამშობლოს. ჟორდანიას დახვდა მთლიანი საქართველო და ამავე დროს, დანგრეული რუსეთი, წამხდარი ოსმალეთი, მისანავებული სპარსეთი, მან კი დაშალა ენით, ძალით, მარქსის ძვალით, ყელში რომ ჰქონდა გაჩხირული და სამშობლო გადასცა მტრებს.

ეს თუ ქებაა „საიუბილეო“, მათმა „დიალექტიკამ“ შეიმშვინოს.

როგორ? თუ კი გ. კვინიტაძემ და გ. ჩხეიძემ 700 იუნკერი და ზემდეგი გაწვრთნეს ისე, რომ ვეფხვებივით ებრძოდნენ რუსებს; თუ ბოლშევიკების მეთაურობით, ჩვენმა დამარცხებულმა ჯარმა, ოსმალები გაჰყარა ბათუმიდან, — განა 7.000 იუნკერი და ზემდეგი რომ გვყოლოდა და 67000 განზრახულ და ბიუჯეტ-გაფლანგულ ჯარიდან მესამედი მაინც — იმ დროს, — რუსები შემოგვივიდოდნენ?! და რა უშლიდა ხელს? განა გვარდიის წევრები იგივე ქართული სისხლისა და ხორცისანი არ იყვნენ, რომ ჟორდანია მუდამ უპირდაპირებდა თავისი ინტერნაციონალური ბოდვით? განა ბოლშევიკი ჯულელი არ იყო, მოსკოვზე ლოცულობდა, „ნეტა როდის მოუახლოვდებიან ჩვენი ძმები საზღვრებს, რომ ხელი გაუწოდოთ“?-ო, განა პეტრე გელეიშვილი არ უწყრებოდა „ამხანაგებს“: „რა გაეჭირეთ საქმე, ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის“-ო?

განა ჩრდილო-კავკასიელებს თავის დროზე მივშველებოდით, ან აზერბაიჯანს, ან სომხეთს, რუსები შემოვიდოდნენ? განა 1920 წლის 7 მაისის „გრიშკას ზავით“ ჩვენი ულელტეხილების გადმოსასვლელები არ განგვეიარაღებინა და საიდუმლო, „დაჩოქილი მუხლების“ ძალით, ინგლისისათვის ომი არ ჰამოგვეცხადებინა, რუსებს ვინმე შემოუშვებდა? გრიშკამ და ჟორდანიამ არჩიეს მორიგება ბოლშევიკებთან, — გაყოფილ ძმა-რუსებთან (იხ. „საიდუმლო მასალები“), — ინგლისის წინააღმდეგ, ვიდრე შეთანხმება დემოკრატიულ ინგლისთან, რომლისთვისაც კავკასიასთან ვაჭრობა, ნავთი და მარგანეცი, და აგრეთვე სტრატეგიული ფარი, — ბაქო—სპარსეთი —მოსულის სამკუთხედისა (ნავთის არე) — კავკასია იყო, არის და იქნება მუდამ. ვინც კავკასიასა ფლობს, ხელში უჭირავს „დამოკლეს ლახვარიც“ ამ სამკუთხედზედა და საკუთარ სამშობლოს გეოგრაფიის. უვიც მეთაურ „ს. დ“-სამ რა იცოდა, რომ ქალაქი მოსული როსტოვზეც კი უფრო ახლოა თბილისიდან, არამც თუ მოსკოვი.

მაგრამ ყველა ამის მაგიერ, რაც სახელმწიფოსათვისაა საჭირო პარტიის კაცმა ჟორდანიამ პარტიული საქმე აკეთა მხოლოდ და ამით ქვეყანაც დაღუპა და პარტიაც თავისი სიმჩატით. მარქსის „ნოეს კიდობანი“ უფრო აამჩატა და ზღვაში შეცურდა, დანარჩენ სამ ნოესთან ერთად.

სხვა არა იყოს რა, აბა თუ მთელი მსოფლიოს ისტორიაში იპოვით შემთხვევას, ერთ დროს, ერთ ადგილას, ერთ „მთავრობაში“, — ოთხი ნოე ყოფილიყოს? ან გინდ სხვა ერთ-სახელიანი ოთხი? „ერთსულოვნობა არ იყოო!? იმაზე მეტი ერთსულ, ერთხორც, ერთ პარტია და ერთსახელობა კიდევღა შეიძლება? საქართველო, ნოესი კი არა, „ნოეების კიდობნად“ გადააქციეს. ალბად წმ. „თამარ მეფის მიბაძვით“, „ზედ ალმასებიც დაჰკიდის“ ...ეკლესიებისა, მუზეუმებისა და კერძო სახლებიდანაც გამოტანილი, ხონთქარსაც გვერდით ჩაუარეს და, არარატის მაგიერ, პარიზის რაზეზედ გაჩერდნენ.

აი, ჩემო მელქაძევ, რატომ ვიჭაჭებოდით, შეგვეძლო მაშინ გაგვეძლო, მაგრამ საქართველომ მენშევიკებს ვერ გაუძლო, თორემ ბოლშევიკებს კი გაუძლებდა მაშინ, როგორმე.

მით უფრო, რომ, ჩვენი უკანასკნელი ომის დროს, ძლივს გათავებულიყო — და მარცხით, რუსების ომი პოლონეთთან, საშინელი სისხლიანი აჯანყება კრონშტადტისა ძლივს ჩაქრობილი და თვით ჩვენი ომის განმავლობაში, — აჯანყება მოხდა აზერბაიჯანში და სომხებმაც დაიჭირეს ყაზახი. ამიტომ იყო, ბოლშევიკები გაბმით კი არ მოდიოდნენ, ხამუშ-ხამუშად გვიტევდნენ ორი-სამი დღის ხარვეზებით.

ეს იცოდა მთავრობამ (და სარდლობამაც?) და არა მარტო არაფრით დაეხმარა აჯანყებულთ (რითაც ვითომ ემუქრებოდა და „აშინებდა“ ჟორდანია ლებედინსკებსა და ტოლსტოებს), არამედ არც გამოიყენა არაფრით. მეკკერს, სრულადაც რომ ჰყოლოდა დივიზიები, ე. ი. მთლად 29.000, ერთთავად თვალი ზურგისაკენა ჰქონდა და ნაწილი ჯარისა იქ დაბანდებული.

და თქმა იმისა, რომ „დიდი რუსეთი პატარა საქართველოს მაინც მოერეოდა, მეტ ჯარს მოიყვანდა-ო, შემდეგ“ (?) — საწყალობელი თავის მართლებაა უვიცებისა. იმ დროს რომ გაგვემარჯვნა, პოლონეთ-ბალტიელებივით 20-ს წელიწადს მაინც გაგრძელდებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა, სამის მაგიერ და, იქნება, არც მთელი კავკასიის პლაცდარმი დაეთმოთ დღემდის ევროპელებსა და ამერიკას — რუსებისათვის.

მაგრამ მართალი გამოდგა ის ურია, რომელმაც დამოუკიდებლობის დროსვე გვითხრა: ჩვენ ერთი ნოე გვყავდა და ღმერთმა წარღვნა მოიყვანაო. თქვენ ოთხი ნოე გყავდათ და კარგი რა დაგემართებათ“-ო.

## 1922 წლის კონფერენცია.

უშნოდ და სირცხვილეულად გათავდა ჩვენი დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მენშევიკების წყალობით, რომელთაც ვერასოდეს გაიგეს. ერთის მხრით, ეროვნულ-სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულ-სოციალური წყობის შეთავსების აუცილებლობა (როგორიც უნდა იყოს რეჟიმი: სამეფო, რესპუბლიკა, დიქტატურა, ფართე დემოკრატია, გინდ ფეოდალიზმი თუ სხვა): მეორე მხრით, გინდაც რევოლუცია ჩაითვალოს ბუნებრივ მოვლენად. დაგროვილ უკმაყოფილებათა ამოხეთქვად. ან განვითარებულ ეკონომიურ ძალთაგან, — მოძველებულ დამაბრკოლებელ არტახების გარღვევად“ (რომელთაგან არცერთს ადგილი არა ჰქონია ჩვენში), — საქართველოსათვის მხოლოდ უცხო და შეუფერებელი პარტიის მოვლენა იყო მომაკვდინებელი.

რადგან საქართველოში კლასები არ არსებობდა, ბურჟუაზია და პროლეტარიატი ძლივსა ჰჩანდა, მარქსის ცრუ თეორია, მსოფლიო ისტორიულ კლასთა ბრძოლისა, სრულიად გაუმართლებელი რომ გამოდგა იმ ქვეყნებისათვისაც, რომლებზედაც ვითომ ზედგამოჭრილი იყო (ინდუსტრიალური ინგლისი, ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.). საქართველოს უფრო ნაკლებ მოადგა. ვიდრე „ვირს კურტანი“, ჩვენში რომ იტყოდნენ. ამიტომ, აგრარულ ქვეყანაში, ის მცირეოდენი სისწორისა, სიმართლისა და სამართლიანობის დადებითი ნატამალიც თუ იყო პროგნოზებში, — სახელმწიფოს ნაწილებისა და ერთმანეთის შემავსებელ სოციალურ ფენების უმგავს შეჯახებად სცადეს გადაექციათ, ჩვენმა, რუსულად განათლებულმა მარქსისტებმა.

ათასი მაგალითი აქ მოყვანილი (და რამდენი მოუყვანელი) ამის დამამტკიცებელია. თვით „აგრარული რეფორმა“, თავისი მომდევნო „დეკრეტით“ და წინასწარი თუ თანამდევარი „აგრარული ტერორი“-თ, საუკეთესო მაჩვენებელია. ქართველი ხალხის ისტორიულ გამოცდილებასა და დარბაისლობას უნდა უმადლოდეთ, რომ არ აჰყვა ყაჩაღანა „თეორიკოსებს“ და უარესში არ მოხდა როგორც რუსეთში; თორემ მაგალითითა და სიტყვით წამქეზებელნი კი არ აკლდა.

რადა ღირს, თუნდ ბატონ კოწია გვარჯალაძეს „გამოსვლა“ ჯერ კიდევ „ეროვნულ საბჭოში“, დორბლით პირზე: „თავად-აზნაურობა სულ უნდა ამოიულიტოს“-ო,* ან ვალიკო ჯუღელის მინაწერი პარიზიდან თბილისში: „...სხვას თუ ვერაფერს მივალწიეთ, თავად-აზნაურობა ხომ გავანადგურეთ...“-ო: ან თვით ბ-ნ ნოე ჟორდანიას ქებათა ქება აგრარული ტერორისა, პარიზის რუსულ გაზეთში?! (შენიშვნა). მაშინ ხომ თვითმკვლელობით უნდა დაეწყოთ და საკუთარი პარტიის ერთი მესამედი მაინც ამოეწყვიტათ, რადგან თავად-აზნაურობის ტიტრი ხომ არ იცვლება იმისაგან, თუ რომელ პარტიაში ხარ ჩაწერილი და ანდრონიკაშვილებისა, ჯავახიშვილებისა, წერეთლებისა, ჯაბადრებისა, გეგეჭკორებისა, დადიანებისა და ათასი სხვა მეტი ვინ იყო „სოც.-დემოკრატიულ პარტიაში? (იხ თუნდ გ. გიორგაძის წიგნი).

სხვადასხვა სახელწოდებისა და „ფასონის“ ცარცვა-გლეჯაზედ ხომ გაჩერებაც არა ღირს, რადგან შეუჩერებელი იყო და „დამთავრდა“(?) საეკლესიო, სამუზეუმო, სახელმწიფო, თუ კერძო ქონების გატაცებით... სტამბოლსა და პარიზში გასაბაზრებლად (შენიშვნა): ჩემი ცნობების გარდა, იხ. ამაზე ალიხანაშვილისა, ურუხაძისა, ფარნიევისა, ლაშქარაშვილისა და სხვა „სოც.-დემოკრატების“ ნაწერები).

აი, რა პირობებსა და ატმოსფეროში, შეიკრიბა, ე. წ. „პარიზის კონფერენცია“ 1922 წ..

სამწუხაროდ, არ მახსოვს დაწვრილებით მისი ყველაფერი („არქივი“) კი ხომ ცხრაკლიტულში ისახება მზეთუნახავისავით, რადგან მისი გამომზეურება, მართლა მზისაგან უნახავ „რამეებს“ გამოამჟღავნებდა), მაგრამ მთავარი და დამახასიათებელი, — კარგად.

შეიკრიბა* 30-მდე „ყოფილი“ „პასუხისმგებელი“ მთავრობის წევრი (ერთი კოწია და სამი ნოე). დამფუძნებელი კრების, პარლამენტის და სხვა დაწესებულებათა ყ. წევრნი, ელჩები და სხვა, შემადგენლობით სხვა და სხვა პარტიისა. როგორც ახალი მკვდარის ქირისუფალთ, ფსიქოლოგიურად ჯერ შეურიგებელთ ამ ფაქტთან, ყველასა აჭირა საქართველოს, აი აი აღდგენა, — სულ ერთი წელიწადია მხოლოდ წასული ხომა... და იმართება სჯელობა.

მე ნაციონალ-დემოკრატიის მანდატით საქართველოდან და ბ-ნი ბენია ჩხიკვიშვილი სოციალ-დემოკრატიისაგან, არჩეულნი ვართ მდივნებად. თავმჯდომარეობს ნ. ჟორდანია, მთავარი მომხსენებელი, სხდომების.. და, ასე ვსთქვათ, იმედებით სავსე მებრძოლი არის ნ. რამიშვილი.

წარსულის „ყველაფრის „ვასინჯვითა და მომავლის (სულ ხელო რომ ჯიგლანდებოდა). გათვალისწინებით, მივედით იმ დასკვნამდი და შეთანხმებას ხელი მოვაწერეთ. რომ „საქართველო უნდა აღსდგეს. როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა“. მაგრამ. ვინაიდან... და სხვა და სხვა, სახელმწიფოს საზღვრების დაცვა (ე. ი. ჯარი უგვარდიოდ... მთავარსარდალი* და სამხედრო მინისტრი), საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტრო, უნდა იყოს ეროვნული ელემენტების ხელში. რაც შეეხება შინაურ მოსწყობილებას, ე. ი. მუშათა და გლეხთა უფლება-მოვალეობასა და კანონმდებლობას: განათლებისა, იუსტიციისა და ეკონომიური ურთიერთობის სამინისტროები სოციალისტებისაში. ყველაზე ცხარე კამათი გამოიწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს საკითხმა და გათავდა კომპრომისით: მინისტრად დარჩა (?) ნ. რამიშვილი და* მის თანაშემწედ გ. ვეშაპელი... გახდა (?).

როგორც ყველაფერს ქართულს, რაღა თქმა უნდა, ამ კონფერენციასაც დაჰყვა თავისი კურიოზებიც: მე და ბენია ერთად ვისხედით, რომ ერთმანეთთან შევეთანხმებინა ოქმების სისწორე და ერთნაირად გაგება: ერთხელ როგორღაც ვეუბნები: აი, ხომ ხედავთ, როგორ ადვილად და კარგად ვთანხმდებით, როცა ერთად ვსხედვართ, ვმსჯელობთ და იქ, საქართველოში რა ღმერთი გიწყრებოდათ, რომ არავინ გაიკარეთ, არაფერი გაიგონეთ და თავშეუდებელი სოციალიზმით ქვეყანა დაღუპეთ? და ასე მიპასუხა:

— კაცო, მე რა სოციალისტი ვიყავი: მოგეცათ ჩემთვისაც პატარა მამული და მეც თქვენთან ვიქნებოდი-ო.

მერე, ვინ დაუჯერდა განა?

მეორე კურიოზი უფრო რთული გამოდგა, ბ-მა გრიგოლ ალშიბაიამ მოითხოვა „მთელი ევროპისათვის წარმომადგენლობის მანდატი“... თავისათვის, მთავრობისაგან (ალბათ აკაკი ჩხენკელის მაგიერ) და ამის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ნ. რამიშვილმა (და, ცოტა უფრო მორიდებით გრიგოლ ვეშაპელმაც, თუმცა ერთი პარტიისანი იყვნენ ორთავ გრიგოლნი).

გ. ალშიბაია საშინლად აღელდა, ხმა აუწია და უკმეხად შეეხო მის „მინისტრობას“.

— შენ გაჩუმდი! — წამოუხტა მაგიდის მეორე მხრიდან ნ. რამიშვილი, თორემ წარმომადგენლობა კი არა, აქაც შენი ყოფნა ზედმეტი იქნება-ო.

ჩვენ და მაგიდამ „გაჰყარეს მებრძოლნი“... „ქართლის ცხოვრების“ ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, და ალშიბაია გავარდა კრებიდან მუქარითა და ლანძღვით; მაგრამ ნოე რამიშვილი გამოუდგა და კიბეზე მიმარბენელს ჩაჰყვიროდა: „დამაცა, შენი ბაქოს ამბები და სხვა ყაჩაღობა რომელ წარმომადგენლობამდე მიგიყვანს, დაინახავ“-ო.

მაგრამ ამით არ გათავებულა გრიგოლთა ძიძგილაობა და ნამდვილ გრიგალსაც შევესწარით. თურმე სადღაც შეხვედრიან ერთმანეთს და „ჩხუბი“ (?) მოსვლიათ პოლიტიკურ ნიადაგზე. „პარტიამ“ დაგვავალა მე და უპატიოსნესსა და უკეთილშობილესს ნიკოლოზ ჯაყელს (ბაქოელ „მენავეთსა“ და ერთ-ერთ „ელჩს“), „მათი შერიგება წინასწარ მოლაპარაკებით და ორივე მხრიდან დასტურის მიღებით. რომ ერთმანეთთან ბოდიშს მოიხდიან, ბ-მა ნიკოლოზმა მიგვიწვია თავის დიდს საუცხოვო ბინაზედ.

შუა ოთახში ვისხედით და, პირობისამებრ, ერთი მხრიდან მე გაუღე კარი ალშიბაიას და მოწინააღმდეგე კარი გაუღო ვეშაპელს მასპინძელმა, მაგარამ, ბოდიშის მაგიერ, ალშიბაიამ: „შე ჰარამზადავ, შენთან უნდა მოვიხადო ბოდიში? წიწილივით გაგგლეჯავ!“-ო, ებდღვნა ვეშაპელს და ყელში ხელები წაუჭირა. ყვირილით, შერცხვენით, შუაში ჩავარდნით ძლივს გამოვგლიჯე ერთმანეთს, კენტავრივით მაღალი, ლამაზი და ღონიერი ალშიბაია და გაფითრებულ-გაშმაგებული ვეშაპელი, ასე, ლანძღვითა და ყვირილით შეურიგებელნი... გავაპარეთ ცალცალკე. სხვა და სხვა კარით.

მარტო პირადი პიშპობით ძნელი ასახსნელი იქნებოდა ესეთი გაფითრებული „ჩხუბები“. პოლიტიკური სარჩულიც არა სდებოდა;

ჯერ კიდევ სტამბოლში, „პარიზის კონფერენციამდე“, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას კომიტეტის სხდომის წინასწარზედ. ...გრ. ალშიბაიამ შემოიტანა პროექტი: „რადგან გურიამ (?) დაღუპა საქართველო, ეხლა სამეგრელომ უნდა გადაარჩინოს იგი, განსაკუთრებით შექმნილ სამინისტროთი“-ო.

როგორ?!

...აი, ბატონო, სპირიდონ კედია უნდა გამოვიწეროთ (შენიშვნა): ა. ხოშტარია მაშინ წასული იყო მოსკოვში და თავის სპარსულ „კონცესიას“ იძებდა) და პრემიერ მინისტრად ავირჩიოთ: ევგენი გეგეჭკორი და აკაკი ხოშტარია (შენიშვნა): იმ დროს, სპირიდონი ჯერ კიდევ მეტეხის

(დასასრული მე-11 გვ.)

---

იბეჭდება რ. გაბაშვილის წიგნის მიხედვით. ჩვენ მხოლოდ შენიშვნები შევიტანეთ ტექსტში და მცირე სტილისტური ჩასწორება გავაკეთეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არავინ იცის, რა განუზრახავს გორბაჩოვს...

დასავლეთში გორბაჩოვს გენიალურ პოლიტიკოსად თვლიან. ბუნებრივია ,გიკვირს ეს განწყობა ,როცა ხედავ როგორ აწყუდება კედლებს მეექვსე მუხლის შესანარჩუნებლად ,როცა ელცინს ებრძვის. კალუგინის შესახებ უკანონო გადაწყვეტილებას აწერს ხელს, სანქციები გამოაქვს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წინაალმდეგ, წლობით არ იშორებს გვერდიდან ლიგაჩოვს, მედვედევსა და უძრაობის სხვა მამამთავრებს, ებრძვის გლდიანს და ა. შ.

მაგრამ ეთანხმები დასავლეთს, როცა ხედავ, როგორ თანმიმდევრობით ქრებიან პოლიტიკური არენიდან კომპრომეტირებული პარტიული ფუნქციონერები, იარაღის გარეშეა ლიკვიდირებული პოლიტბიურო და მისი განუზომელი ხელისუფლება, გორბაჩოვი და ელცინი ხელს ართმევენ ერთმანეთს, გუშინდელი აშკარა მოწინაალმდეგენი თანამოაზრეებად იქცევიან იმ იმედით, რომ თანახელისუფალნი გახდებიან არა სკკპ-ს ხაზით, არამედ პრეზიდენტის მმართველობის ქვეშ.

რა დაემართებოდა გორბაჩოვს პირდაპირ რომ წასულიყო აპარატის, სუკის წინაალმდეგ, შეემცირებინა არმია და მისი მილიონები, უარი ეთქვა გენერალურ მდივნობაზე და ზურგს უკან დაეტოვებინა უძლიერესი გაბოროტებული ძალები...

გაფიქრებაც კი შემზარავია...

რას ნიშნავს მისი ასეთი მოქმედება? დღეობით კი არა, საათობით ბრძენდება ჩვენი პრეზიდენტი, ჭიუტად ართმევს სკკპ-ს ხელისუფლებას და კვალის ასარევად დგამს „ბრიყვულ" ნაბიჯებს?

იქნებ ტელეკამერის წინ თამაშობს ელცინისადმი სიძულვილს, სურს ავტორიტეტი მოუხვეჭოს ხალხში და მერე ამ ავტორიტეტით ისარგებლოს? იქნებ სუკთან ბრძოლის პირველ რაუნდში სჭირდებოდა კალუგინი?

იქნებ იმიტომ მიუჩინა იაზოვს ადგილი „საპრეზიდენტო მანქანაში", რომ არმია ხალხისათვის და „პარტიის წინაალმდეგ" გამოეყენებინა თუ პირიქით? ასე სვამენ ახლა საკითხს საღად მოაზროვნე ადამიანები.

ყველაზე მთავარი, რაც მან უნდა გააკეთოს, ისაა, რომ ომი გამოუცხადოს უკვე დაუძლურებულ პარტიას ,რომელიც შემთხვევის წყალობით მოექცა ხელისუფლების სათავეში. აი, მაშინ გაჰყვება მას დიდი და პატარა. მაშინ გადაცვივდება მილიონობით წითელი წიგნაკი სანაგვე ყუთში.

ამით დაიხსომებს მას ისტორია.

არასდროს ასე ახლოს არ ყოფილა 1917 წელი.

მაშინაც სველი შემოდგომა იყო. ასევე ხმაურობდნენ გაზეთები, ასევე კილავდნენ ნიკოლოზ მეორეს, როგორც ჩვენ ახლა იოსებს და გვძულს უძრაობის წლები. ასევე ბობოქრობდნენ მიტინგები და გაფიცვები. თებერვლის მონაბერი თავისუფლება ათრობდა ინტელიგენციას, მაშინაც ერთნი ყოყმანობდნენ, მეორენი კი ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ერთიანდებოდნენ, ახლოვდებოდა ოქტომბერი.

ბნელი მოსახვევებით უახლოვდებოდა სმოლნს კეპიანი ვლადიმერი.

ჯავშნიანი მანქანით ჩაატარეს კრემლთან მიხაილი.

„ნაჩალო"
№ 6

# სისხლისღვრამდე მიგვიყვანს მგელტაციობა



სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში შექმნილი არცთუ მშვიდი ატმოსფეროთი არაერთი საქმოსანი სარგებლობს. ვინ წლობით ნაზარდ ხეებსა და ბუჩქებს ღაერია, ვინ ბავშვების სათამაშო პრიმიტიულ მოედნებს— აქაოდა ჩვენთვის ახლა ალარ[illegible]ის სცალიაო, მეზობლების „ჭინაზე" მავანი ავტოსადგომს აწყობს, სხვა კიდევ ქორწილებისა და ქელეხების გასამართ „სეჟას" ჰიმავს. არაერთი ოჯახის სიმშვიდე და კეთილმეზობლური დამოკიდებულება იმსხვერპლა „ლოჯიების" მიშენების ბუმმა.

ამავე მიზეზით აიმღვრა წყალი ჯავახიშვილის ქუჩის № 1 და გორის ქუჩის № 2 სახლებში მცხოვრებთა შორისაც. თავის დროზე ეს ორი სახლი ისე აშენდა, მათ შორის ხელის გასაწვდენი მანძილიღა იყო დარჩენილი. მიშენების შემდეგ კი, რის ნებართვაც ჯერ ჩვენთვის გაურკვეველ გარემოებაში [illegible]ცათ გორის ქ. № 2 სახლის მცხოვრებლებ, მთლიანად ბნელდება ჯავახიშვილის № 1 სახლის მობინადრის ობოლაძის ბინა.

— თუ ეს ასე მოხდა იძულებული გავხდები ჩემი სამი მცირეწლოვანი შვილითა და მეულლით, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდია, ქუჩაში გამოვიდე და იქ დავცე კარავი — გვწერს მერი ობოლაძე.

— ჩვენ არავის სიკეთე არ გვშურს, მაგრამ ჩვენი ინტერესები რატომ დაივიწყეს. „ლოჯიების" მშენებლობას ეწირება ისედაც მცირე ეზო, იჩეხება ხეები, ბავშვების ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარ რჩებათ — თავის გულისტკივილს გვიზიარებენ ჯავახიშვილის ქ. № 1 სახლში მცხოვრებნი.

ასეთი დავის მოსაწესრიგებლად სათანადო ორგანოები არსებობენ, მაგრამ მათი გულგრილობის გამო, შეიძლება საქმე სისხლის სამართლის დანაშაულამდე მივიდეს. ამიტომ გავამახვილეთ ამ ფაქტზე ყურადღება.

მართლაც დავფიქრდეთ —ერთი დღეც იქნება და დაცხრება ეს არეული ყოფა. დადგება დრო, როცა მგელტაციობა თავის დროს მოჭამს და ჩადენილი დანაშაულისათვის დაუსჯელი არავინ დარჩება.

# „კრისჩენ საიენს მონიტორი" საქართველოს შესახებ

ნიკ უორელი

დაწერილია 13 ნოემბრამდე

დღეს საქართველოს კომუნისტები ახალ სიძნელეებს ეხლებიან. ლენინის ყველა ძეგლი აღებულია ,ნაციონალისტმა ზვიად გამსახურდიამ კი ხელისუფლება წაართვა მათ. 28 ოქტომბრის არჩევნებში მან ხმათა 54 პროცენტი მიიღო.

ჯერ კიდევ მეორე ტურამდე შვიდი პოლიტიკური დაჯგუფების კავშირმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო", კომუნისტებზე ორჯერ მეტი ხმა მიიღო და უმაღლეს საბჭოში ადგილების 70 პროცენტი დაიჭირა.

ვინ იქნება ახალი ხელმძღვანელი, ჯერ კიდევ უცნობია. გამსახურდია—ფილოლოგი, შექსპირისა და ელიოტის ქართულად მთარგმნელი — ამბობს, რომ იგი „საპრეზიდენტო თამაშებში არ მონაწილეობს" — დაიცდის არჩევნების მეორე ტურამდე და მერე მიიღებს გადაწყვეტილებას.

გამსახურდია მაღალი, ჭაღარა, იმპოზანტური მამაკაცია, თეთრი პიჯაკებით დადის, ყოველთვის გამოარჩევა ეროვნულ მოძრაობაში 1956 წლიდან მონაწილეობს. მაშინ 17 წლისა იყო. ნაპატიმრებია. მამამისი მდიდარი კაცი იყო და შვილი შეიარაღებული მცველებით გარშემორტყმული დადის. როგორც ამბობენ, ხანდაზმული ქალები აღმერთებენ მას. ინტელიგენცია კი პოპულისტად თვლის, რომელიც მუდამ წყალს ამღვრევს.

გამსახურდია მართლაც პოპულარულია ,მან სცადა გაებათილებინა ბრალდება, რომ შულლს აგდებს, როცა განაცხადა, რომ მეორე ტურში „მრგვალი მაგიდიდან" წარდგენილები მოხსნიან თავიანთ კანდიდატურებს ნაციონალისტების ცნობილი ლიდერების სასარგებლოდ. ამით ისინი ადგილს დაიკავებენ პარლამენტში და ეროვნული ძალები გაერთიანდებიან კომუნისტების წინაალმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ერთი გართულებაცაა, საქართველოში შექმნილია ალტერნატიული პარლამენტი ეროვნული კონგრესის სახელწოდებით. მას ხმა მისცა ყოველმა მესამე კაცმა. კონგრესი ბოიკოტს უცხადებს ნებისმიერ არჩევნებს საბჭოთა მმართველობის დროს.

ნაციონალისტები თვლიან, რომ ეს ხელისუფლება უკანონოა. 1921 წელს ბოლშევიკურმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ნაციონალისტებს სურდათ შეექმნათ საკუთარი „მაკონტროლებელი" პარლამენტი კომუნისტების მმართველობისათვის თვალყურის სადევნებლად და დამოუკიდებლობის მისაღწევად ზომების მისაღებად.

ახლა, ეროვნული მმართველობის დროს, კონგრესის როლი გაურკვეველია. პირიქით, განხეთქილებას ქმნის, რომლის გადალახვაც რთული იქნება გამსახურდიასათვის.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს „მრგვალი მაგიდის" მომხრენი და ისინიც, ვინც ბოიკოტს აცხადებდნენ ახალგაზრდა ნაციონალისტის გია ჭანტურიას მეთაურობით, თავს ესხმოდნენ, შეურაცხყოფდნენ ერთმანეთს.

მდგომარეობა იმანაც გაამძაფრა, რომ არჩევნებამდე ორი დღით ადრე, კონგრესის შეკრების შემდეგ ჭანტურიას თავს დაესხნენ და მსუბუქად დასჭრეს იგი.

ამ თავდასხმაში ტელევიზიით აშკარად გამსახურდიას დასდეს ბრალი, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველები ფიქრობენ, რომ ეს თავდასხმა სუკმა მოაწყო ხალხის დასაშინებლად .მიზანი ერთი იყო — ხმა მიეცათ კომუნისტების, ერთადერთი ძალისათვის, რომელიც შეძლებდა კანონიერების დაცვას, წესრიგის დამყარებას.

კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხელისუფლების შესანარჩუნებლად. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ისინი პირდებოდნენ 5 მილიონიან მოსახლეობას, რომ შექმნიდნენ დამოუკიდებელ ეკონომიკას და საბოლოოდ, საბჭოთა კავშირს გამოეყოფოდნენ.

პროპაგანდისტული კამპანია საშინლად გამძაფრდა. აშკარად გადაჭარბებულად ხატავდნენ რესპუბლიკის გარშემო ძალადობის ფაქტებს. ამით იმის თქმა სურდათ, რომ ორად გახლეჩილი ეროვნული მოძრაობა მეტ უწესრიგობას შექმნიდა. აბა, ვის შეეძლო სერიოზულად შეეხედა მოძრაობისათვის, რომელმაც 120 თუ მეტი პარტია წარმოშვა და ახლა 11 კავშირად ჩამოყალიბდა?

არჩევნების დღეს ქართველებმა ხელები დაიკაპიწეს , გამოეწყვნენ, ხმის მისაცემად გამოვიდნენ.

გამსახურდიას გამარჯვებისათვის ნიადაგი ზაფხულში მომზადდა. იცოდნენ რომ სოფლის მოსახლეობა კომუნისტების კოზირი იქნებოდა პარლამენტში, ნაციონალისტებმა კამპანია გააჩაღეს, რომ პროპორციული წარმომადგენლობით ხმების ნახევარი მაინც მიეღოთ.

ამ კამპანიაში მათ გამოიყენეს კომუნისტების შელახული რეპუტაცია. გამსახურდიას მომხრეების მიერ მოწყობილმა ზაფხულის გაფიცვებმა, რკინიგზის ბლოკადამ აიძულა ყოფილი პარლამენტი მიეღო აუცილებელი კანონი.

მრავალპარტიული არჩევნების შედეგად 250 ადგილიანი პარლამენტს აირჩევენ. აქედან ნახევარს პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.

გაზეთი მინაწერში ბეჭდავს არჩევნების 11 ნოემბრის შედეგებს.

# მოჭიდავის მამიდა

გზას ვიტყვი, თორემ რა გზაა, ხუთი თუ ექვსი გაჩერება სახლიდან სამსახურამდე. არადა, ახლა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ამ უბენზინობისას, ძალიან დაგრძელდა ეს გზა. ერთი პატიოსანი საათი უნდა მის გავლას. ლანძღვისა და გინების, წიხლებისა და მუჯლუგუნების ერთი საათი, იმ დღეს არც წიხლი გამიგია და არც მუჯლუგუნს აუწვავს გვერდი. ის დღე სულ სხვამ, კერძოდ, ავტობუსში გამართულმა წინასაარჩევნო შეხლა-შემოხლამ დამამახსოვრა.

შავმა ვოლგამ გადაგვისწრო. სალონში რეპროდუქტორის ხმამ — ხმა მიეცით ბლოკს „მრგვალი მაგიდა, თავისუფალი საქართველო" — შემოაღწია.

— ვინაა ეს, რო გვარიგებს ნეტაი...

— აქვს უფლება პატივცემულო!

— ისე, კაია მრგვალი მაგიდა, რას იტყვი შენ!

— ხარჯს თუ მაგენი გადაიხდიან, მივცეთ ხმა ბატონო...

— კომუნისტი ვარ მე, 84 წელია, კომუნისტი...

— ა, კაცი..., სულო და გულო...

— მე ციგნებს მივცემ ხმას, სიგარეტი აქვთ მაგენს — თქვა სახენაყვავილარმა, პირში მოუკიდებელსიგარეტგარჭობილმა, კისერწაგრძელებულმა ბიჭმა.

— ადექი გოგო, შენ, ზევით!..

— რატო, დეიდა?

— იმიტო, რო ორი შვილი გავზარდე მე, ორივე კომუნისტი, სამ სმენას ვმუშაობ, შვილიშვილებიც მყავს, მენდალი მომცეს, მენდალი, მოჭიდავის მამიდა ვარ კიდო...

ვინც მიხვდა, რო უნდა გაეცინა, გაიცინა კიდეც, სხვებს არ გაუცინიათ.

— თუ მეტყვი, ის შვილიშვილები პიონერებია თუ ოქტომბრელები, აუცილებლად ავდგები, ქალბატონო — თქვა გოგომ და მართლა ადგა.

— ორი პიონერია, ორიც ოქტომბრელი, მოჭიდავე პარტიის წევრობის კანდიდატია, მამიდა ენაცვალოს — თქვა უკვე დამჯდარმა მოჭიდავის მამიდამ.

— მრგვალი მაგიდა თუ გაქვთ ოჯახში.

— ნუ ციგნობ შენ, სიგარეტი გამოიღე პირიდან, ნუ ციგნობ, მე შენ გეუბნები! — კივილს არაფერი უკლდა მამიდას.

— საარჩევნო ხმა აქვს პირდაპირ ამ ოჯახკომუნისტებულს.

— გამიშვით, ხალხო, ვინ არის ეს, ორი შვილი გავზარდე მე, სამოთახიანს მპირდებიან სამხრეთ დასახლებაში, მენდალი მომცეს მე — მენდალი...

აქ ძლიერად დაამუხრუჭა ავტობუსმა, ცოტა ხნით დაეკარგათ ამომრჩევლებს ამომრჩევლობის სურვილი.

— გაწიე, ბიძია, ხელი იქით...

— სად წევილო მერე, თუ იცი...

— ჩაუყავი მაგერ მა ბიჭს ჯიბეში, ბევრი ფული აქვს ეტყობა, 4 მანეთი ღირს კოლოფი სიგარეტი.

— კომუნისტი ვარ მე, 84 წელია კომუნისტი...

— თქვენ ვის აძლევთ ხმას?— საიდუმლოდ მკითხა ჩემს გვერდით მდგომმა მანდილოსანმა.

— მე მრგვალ მაგიდას — კიდევ უფრო საიდუმლოდ ვუპასუხე მე.

— ხო...

— მოჭიდავე ვარ მეც, დეიდა, ჩოქბჯენში მყავს აგირ კომუნისტი. უცებ წამოიყვირა ზედმეტი სივიწროვის გამო ჩვენ ნაცნობ სტაჟიან კომუნისტზე ზევიდან გადაფარებულმა ახალგაზრდამ.

— მამიდა თუ გყავს, ბიძია, შენ... მამიდა?..

— მაგერაა მამიდაჩემი, ისე კი შენ...

— რაი ვითომ...

კვლავ დაამუხრუჭა ავტობუსმა.

— მეტს აღარ მივდივარ, დაცალეთ ავტობუსი — ეს უკვე მძღოლმა თქვა რეპროდუქტორში.

— რას ქვია, არ მიდიხარ!

— ვინ ხარ შენ!

— მომკლავენ სამსახურში!

— გაათავისუფლეთ ავტობუსი!

—გაუმარჯოს თავისუფლებას!— ვთქვი მე და ჩამოვედი.

იმ დღის მერე არ მინახავს ის ქალი, ან სად უნდა მენახა, მისი ხმა კი ახლაც მახსოვს:

„ორი შვილი გავზარდე მე, ორივე კომუნისტი, სამ სმენას ვმუშაობ, მოჭიდავის მამიდა ვარ კიდო"...

სხვებიც მახსოვს, მაგრამ ნაკლებად, არც ის ვიცი, ვის მისცეს ხმა, არცაა საჭირო, რას არ იტყვის ხალხი, ავტობუსში, ისიც გადაჭედილში. გული კი სხვაა, გულმა იცის.

შედეგიც სახეზეა. საკმაოდ კარგი შედეგი.

გილოცავთ!

თ. ე.

# მედლის ორი მხარე

ნამქერი, ქარტეხილი, ქარბუქი, ქარაშოტი, გრიგალი, არმური — უცხო არასოდეს ყოფილა აქაურობისათვის, მაგრამ ყოველივე ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ. აქ დაფუძნებულები, მკვდრიან — ცოცხლიანად ამ მიწას შეზრდილები, მისი ერთგული ქირისუფლები იყვნენ და არასდროს იმედი არ დაუკარგავთ, ლიბო სხვაგან არ უძებნიათ.

დღეს კი დაიძრა ხალხი სვანეთიდან.

ვფიქრობ, ჩვენმა პრესამ, ტელევიზიამ ცოტა გადააჭარბა. ცალმხრივი პროპაგანდა, რა გინდა კეთილი მიზნებითაც იყოს ნაკარნახევი, მავნეა. აუცილებელია, ყველამ იცოდეს რა დიდი საქმეც გაკეთდა, როგორი ზრუნვა გამოვიჩინეთ დაზარალებულებისადმი — რაღაც ორ წელიწადში პოტიომკინის კი არა, ნამდვილი სოფლები აშენდა. დიახაც რომ საამაყოა ყოველივე ეს, მაგრამ მეორე უკიდურესობაში ხომ არ ვარდებით?

ზოგიერთი ჟურნალისტი ისე ვარდისფრად ხატავდა ყოველივე ამას. ძალაუნებურად, მთაში დარჩენილთა გალიზიანებას იწვევდა. უმეზობლოდ, უნათესაოდ დარჩენილმა საკუთარი შეხედულებისა და რწმენის გადაფასება დაიწყო.

თვალი ვუსწოროთ სიმართლეს: მთაში დარჩენილნი, ისინი, ვისაც არ მოუწია სახელმწიფო „წყალობამ". თავიანთი ინიციატივით, საკუთარი ფულით ყიდულობენ სახლებს და მკვიდრდებიან ბარად. მიგრაციამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მაგალითად, ლენტეხის რაიონის ყოფნა არყოფნის საკითხი უკვე დგას. ისედაც მცირერიცხოვან რეგიონში, მთელ რიგ, მანამდე ხალხით გამოჭედილ და სავსე სოფლებში, თითზე ჩამოსათვლელია დარჩენილი ოჯახები, ზოგიერთი დასახლება კი მთლიანად დაიცალა.

უკვე დროა, დაგვიანებულიც თუ არაა, ზემდგომმა ორგანოებმა იფიქრონ არა მარტო იმაზე, თუ როგორ ჩავასახლოთ და დავამკვიდროთ სვანი მოსახლეობა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში, არამედ იმაზეც, როგორ გადავარჩინოთ სვანეთი!

ეს სიმართლეა და სჯობია პირდაპირ ითქვას, თორემ მერე გვიან იქნება. დღესვე, ახლავე უნდა განხორციელდეს ისეთი ნაშტაბური ღონისძიებები, როგორიც ჩასახლებულთათვის გაკეთდა დღესვე უნდა ვაგრძნობინოთ მთაში დარჩენილებს, რომ იქ ცხოვრებასაც აქვს პარსპექტივა.

ორიოდე წლის წინათ ყოველდღიურად იზრდებოდა სვანური სოფლები, ხალხში ხუმრობდნენ კიდეც — ლენტეხის რაიონის ლაშხეთის თემსა და ჩინეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთნაირიაო. რა სასიამოვნო ხუმრობაა! მართლაც და რამდენიმე წელიწადში ჩვენს თვალწინ დაიბადა რამდენიმე ახალი სოფელი.

რაიკომისა და აღმასკომის მისაღებები სავსე იყო საკარმიდამო მიწის მთხოვნელებით. აქაური მკვიდრი ხუთას მეტრამდე მიწას თუ მოიხელთებდა, უმალ ორსართულიან სახლს წამოჭიმავდა. ბოლო ათეულ წლებში ლენტეხი აივსო ახალგაზრდობით. მანამდე ექიმი თუ სანთლით საძებარი იყო, ახლა ახალგაზრდა ექიმების, იურისტების, პედაგოგების დასაქმების პრობლემაც კი წარმოიშვა. მაგრამ... ავადმოსაგონარმა 1987 წელმა ყველაფერი ყირაზე დააყენა.

ამ ერთი წლის წინათ რესპუბლიკურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ" ლენტეხის რაიონზე წერილი დაბეჭდა. კორესპონდენტი სრულიად სამართლიანად, დამაფიქრებელ კითხვებს სვამდა რაიონის მომავლის შესახებ. რაც მთავარია რაიონის პერსპექტივა რეალურად იყო დანახული.

წერილს ოპერატიულად გამოეხმაურა რაიონის ხელმძღვანელობა — დამაიმედებელი არგუმენტებითა და პროგნოზებით. არ ვიცი, „ზარია ვოსტოკას" მკითხველებმა დაუჯერეს თუ არა ლენტეხის ხელმძღვანელს, მაგრამ მოსახლეობას ამ პასუხით დიდი იმედი და რწმენა რომ არ გასჩენიათ, ამის თავდებად. ყველ •

ბარში ჩასახლებული სვანი გამოდგება.

რაიონში იმდენი პრობლემა, საფიქრალ-სადარდებელი დაგროვდა, რომ თუ დროზე არ დავუწყეთ მკურნალობა, შეიძლება რამდენიმე წელიწადში ლენტეხიც დაცარიელდეს.

მაგალითისათვის ხევსურეთიც გამოდგება. საყოველთაოდ ცნობილია რაჭის საგანგაშო მდგომარეობაც. ისტორია თუ მასწავლებელია, მისი გაკვეთილები გონივრულად უნდა გამოვიყენოთ, რათა ახალი შეცდომები არ დავუშვათ.

ლენტეხზე საუბარი კი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

რესპუბლიკაში ალბათ არ ყოფილა და არც არის რაიონი, რომლის ეკონომიკური პოტენციალი ისე ღარიბი და უმწეო იყოს, როგორც ლენტეხისაა. ოდითგანვე რაიონისათვის მეცხოველეობა იყო წამყვანი სამეურნეო დარგი. რამდენიმე წლის წინათ წვრილი კოლმეურნეობები, რომელთა ეკონომიკური სიძლიერე დღევანდელობასთან შედარებით გვარიანი იყო, გააერთიანეს და რაიონში შეიქმნა მეცხოველეობის ხუთი საბჭოთა მეურნეობა. შედარებით მოძლიერდა მეცხოველეობის ფერმები, დასაქმდა მოსახლეობა. მეცხოველეობის ფერმების მომსახურე პერსონალის თვიური გამომუშავება 300-350 მანეთს აღწევდა. გაიზარდა რძისა და ხორცის წარმოება, მოღონიერდა რაიონის სამეურნეო ინტელიგენცია, — თუ მანამდე ერთი-ორი უმაღლესი განათლების აგრონომი, ვეტექიმი იყო ამ ბოლო წლებში ახალგაზრდა სპეციალისტების მთელი არმია წამოვიდა.

მაგრამ მიუხედავად ამ აღორძინებისა ერთსა და იმავე ადგილას გაიყინა სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, კერძოდ, მრეწველობა. რომელიც ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობის იყო და რჩება.

დაბა ლენტეხში არის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი და სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი, სოფ. ცანაში კი — დარიშხანის ქიმიური ქარხანა, რომელიც არსებობის რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. აი, სულ ეს არის რაიონის სამრეწველო ინდუსტრია. მათ არც რაიმე მომატებია და არც გაკლებია.

1975 წელს დაიწყო მარმარილოს დამამუშავებელი კარიერის მშენებლობა, მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერა და ვერ აშენდა, მერე კი სტიქიამ ყველაფერი მიწასთან გაასწორა.

რაზედაც არ უნდა ვისაუბროთ, ისევ სტიქიას ვუბრუნდებით.

სტიქიამ გაანადგურა მეურნეობები, დაანგრია ფერმები, სათავსოები, დიდი რაოდენობით დაიხოცა საქონელი, გაზაფხულზე კი ნაზამთრალი ხალხი თვითდინებაზე მიუშვეს. არ შემოიღება სათიბები და ყანები. საერთოდ არ დახნულა მიწა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ხელმძღვანელობას რაღაც გამოსავალი უნდა ეძებნა, მაგრამ თითიც არავის გაუნძრევია.

მეურნეობის დაშლა და საოჯახო იჯარაზე გადასვლა კი დაიწყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ საოჯახო იჯარისთვის რაიონის მოსახლეობა მზად არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ზოგიერთ ასპექტში მან მახინჯი სახეც მიიღო. არ გამოჩნდა კაცი, რომელიც ამ პროცესს სწორ მიმართულებას მისცემდა. აქაური იჯარის ლოგიკა ძირითადად ასეთია: მოიჯარე ოჯახს მეურნეობიდან დაახლოებით შეხვდა ერთი ან, იშვიათად, ორი მეწველი ძროხა. თანაც ხელშეკრულებით დაევალათ, სახელმწიფოს წელიწადში ჩააბარონ 60-კგ. ყველი და 250 კგ. ხორცი. მეურნეობა კი უხდის ჩასაბარებელი პროდუქტის ღირებულებას 1 კგ ყველში 3 მანეთს და ხორცში 2 მანეთამდე. მარტივ მათემატიკას რომ მოვუხმოთ, წელიწადში ეს 518, დიდი-დიდი 600 მანეთს შეადგენს. ფაქტიურად ესაა ოჯახის მთლიანი წლიური შემოსავალი.

კომენტარი ზედმეტია!

საჭირო იყო მოსახლეობის წაქეზება, წათამამება და რჩევა, რომ აღედგინათ დანგრეული შენობები, ბევრს ხომ მარტო სახურავის შეკეთება სჭირდებოდა, და ოთხ-ხუთ ოჯახს მოსავლელად აეყვანათ 40-50 მეწველი ძროხა, მეურნეობას გამოეყო კომბინირებული საკვების შესყიდვის ფონდი, დახმარებოდნენ მექანიზაციით და ნახეთ, კმაყოფილი თუ არ დარჩებოდნენ. სახელმწიფოსაც სერიოზული შემოსავალი ექნებოდა და ოჯახებიც გვარიან თანხას მიიღებდნენ. ფერმერული ტიპის მეურნეობებს აქ დღემდე კაპიტალიზმის გადმონაშთად თვლიდნენ და შედეგიც სახეზეა.

ხალხის ბედისადმი ზერელე დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ლენტეხში დღეს-დღეობით არცერთი კოოპერატივი არაა აღრიცხული და, რაც უფრო სამწუხაროა, არ ჩანს ამ საქმით დაინტერესება. არ ჩანს იმიტომ, რომ არავითარი მხარდაჭერის იმედი მოსახლეობას არა აქვს.

ძნელია ჭეშმარიტებასთან კამათი. მდგომარეობის შესამსუბუქებლად რაღაც სხვა გზები უნდა გამოინახოს... შექმნილი სიტუაციიდან ნებისმიერი გამოიტანს დასკვნას — ლენტეხი რომ გადარჩეს მთლიანად არ დაიცალოს, მართლაც და ყველა ბილიკი ნაბილიკარს არ დაემსგავსოს, ხალხი უნდა დასაქმდეს, ხალხს სამუშაო უნდა მოეძებნოს!..

ლენტეხის რაიონში საოჯახო იჯარაზე გადასვლით 300-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, აპარატის მუშაკი განთავისუფლდა სამუშაოდან. არ დაგავიწყდეთ, მხოლოდ ხუთ მეურნეობაზეა ლაპარაკი!

ვინ არიან ესენი? უმეტესად უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები - აგრონომები, ეკონომისტები, ინჟინრები, ზოოტექნიკოსები და სხვა. გარეშე თვალისთვის ეს ციფრი შეიძლება მოწონების მიზეზად გადაიქცეს და თქვას, უძრაობის წლებში უმიზეზოდ გაბერილ ათასნაირი შტატებისა და განაკვეთებისათვის ლენტეხის რაიონში კარგად მოუვლიათო.

ლენტეხის რაიონში კი ერთფეროვანი, მცირე ეკონომიკური პოტენციალის რეგიონში, ეს ტრაგედიად შეიძლება იქცეს. თორემ სხვაგან, დიდ ქალაქებსა და დაბებში ასეთი ნაბიჯი სწორიცაა. თვით იჯარაც გონივრული და სწორი ფორმაა, მაგრამ გულახდილად თუ ვიტყვით, არ აღმოჩნდა ლენტეხი ასეთი ნაბიჯისათვის მზად.

აბა, სად წავიდეს ეს სამასი კაცი! რაიონში ხომ ფაქტიურად ერთი წარმოებაა (ცანის დარიშხანის ქარხანა), რომელიც ათეული მუშითაც იოლად გადის ფონს. ამაზე რატომ არავინ იფიქრა?! იჯარა მარტო ის არაა, მისცე მეწველი ძროხა ოჯახს და უთხრა, როგორც გინდა ისე მოუარე, ამდენი და ამდენი ყველი და ხორცი ჩააბარე, და დანარჩენი შენი იყოს!

არა ბატონო, ეს არ არის ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა! სახელმწიფო სექტორს, ნამატ პროდუქციას, ასეთი რეფორმის გარეშეც კარგად აბარებდნენ ლენტეხელები, განსაკუთრებით ინტელიგენცია, ის ხალხი, რომლებიც ახლა უმუშევარი დარჩა.

როგორც ჩანს, შტატების შემცირების სწორ ეკონომიკურ პოლიტიკასაც დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ. ქალაქში განთავისუფლებული კაცი სხვა წარმოებაში გადაინაცვლებს, სხვა სამუშაოს მოჰკიდებს ხელს, სადაც თვის ბოლოს ხმელი პურის ფასს მაინც მიიღებს, მაგრამ, ვიმეორებ, რა ქნას ლაშხელმა, ჩოლურელმა კაცმა. სად წავიდეს? ამიტომ იყრებიან. მიდიან ან ჯგუფურ ჩასახლებაში. ანდა პირადი ინიციატივით, რაიონის გარეთ ეძებენ სახლსაც და სამსახურსაც. მიდიან ყოველდღე, სხვაგან მკვიდრდებიან, სამუშაოსაც შოულობენ, შოულობენ ისეთს, დილას გასული 6 საათზე დაბანილ-დავარცხნილი რომ მივა შინ, და თვის ბოლოს 300 მანეთს ხელფასსაც მიიღებს. მიდიან გარე სამუშაოზე, შორს, ძალიან შორსაც...

თუ ასე გაგრძელდა, ერთ-ორ წელიწადში ლენტეხს არ ეყოლება უმაღლესი განათლების არც ერთი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, რადგანაც მეურნეობის დღევანდელ ვითარებაში ისინი საჭირონი არ არიან!

გადაუდებელ საქმედ გვესახება მცირე სიმძლავრის საწარმოების მშენებლობა. მთლიანად უნდა ამოქმედდეს ყველა რეზერვი: შეიძლება გაიხსნას ხის დამამუშავებელი საწარმოები. მეტი გასაქანი უნდა მიეცეს ხილისა და წვენების წარმოებას. აქაური ხილი საყოველთაოდ ცნობილია მაღალი შაქრიანობით, ბაზრის სიშორის გამო მისი რეალიზაცია აბსოლუტურად არ ხდება, არც სახელმწიფო იბარებს და უქმად იყრება, და კიდევ რამდენი... ერთი სიტყვით, რადიკალური ღონისძიებებია გასატარებელი, რათა რაიონში დარჩენილი, ისედაც მცირერიცხოვანი მოსახლეობა დასაქმდეს და სხვაგან არ გაექცეს თვალი.

მთავარია, ადამიანმა მესაკუთრედ, მეპატრონედ იგრძნოს თავი და ყველაფერს ეშველება, მიწაც მოიხვნება. სიუხვეც იქნება და კერაც არ ჩაქრება.

ჯაბა აბალიანი

●

ეს ხე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გალმოლმა, თამარ მეფის ქუჩის მესამე ჩიხში, ზედ უნივერსიტეტის ღობესთან დგას. როგორც ბატონი გრიგოლ მლებროვი ამბობს, ადრე ამ ადგილას ბახტაძეების ხის სახლი ყოფილა. აკაკი მეგობრობდა თურმე მათთან.

ერთ დღეს ჭადრის ხის ნერგი მოუტანია და სამახსოვროდ დაურგავს.

ცივილიზებულ ქვეყნებში დიდ მწერალთა დანატოვარს სათუთად უფრთხილდებიან. ჩვენც უნდა მოვუაროთ. ვუპატრონოთ, ღმერთმა ნუ ქნას აკაკის დარგული ჭადრის ხე გახმეს ქუთაისში, არადა, ამის საშიშროება არსებობს. ამით აკაკის უკვდავი სულის რაღაც ნაწილი ჩაქრება. საჭიროა ყველამ გაიგოს ეს ანბანური ჭეშმარიტება.

თორნიკე ერისთავის
ტექსტი და ფოტო

●



# გლადიატორი საჭურველს იხსნის

## ფეხბურთი — ბურთით და... უბურთოდ!

საოცრებათა ქვეყანა რომ არის დიდი რუსი ხალხის მიერ მარად შეკრული — „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური!“ — ამის მტკიცებას ახალ-ახალი საბუთები რად ჭირდება, მაგრამ იმდენად დაუშრეტელი ყოფილა, საბჭოურ ინკუბატორში გამოჩეკილ ჩინოვნიკთა ფანტაზია, ეტყობა, აწიც ბარეორჯერ გაგვაკვირვებს მათი ოინები...

ისე, მართლაც რა უცნაური დამთხვევაა — ერთ მშვენიერ, და ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ბედნიერ დღეს, ჩვენ რომ კომუნისტური რეჟიმის დამხობას, ჯოჯოხეთური უღლის გადაგდებას ვზეიმობდით, როცა ის წყეული „საბჭოური ატრიბუტები“ მოუსავლეთის გზას გავუყენეთ, ამდგარა ეს ჩვენი მოკეთე, „სსრკ“-ს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და პლენუმობანა გაუმართავს...

არა, ნამდვილად შემთხვევითი ამბავია — ალბათ საქმეებით დაკავებულ ამხ. ვიაჩესლავ კოლესკოვს წინა სალამოს „ვრემია“ არ უნახავს და ამიტომ დაუშვა ასეთი აბსურდი — სად გაგონილა არასაბჭოთა ქვეყნის გუნდების მიპატიჟება საბჭოთა ვითომკავშირის ჩემპიონატში, ისიც მეორე ლიგაში?!

— თანაც ხომ წარმოგიდგენიათ — 15 ნოემბერს, იმ „ცხელ გულზე“!

სწორედ ამაზეა ნათქვამი — „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!“ ჩვენ, ეს გულუბრყვილო ქართველები, დღე-დღეზე „ფიფა“-დან ველით მიპატიჟებას და აგერ, „სსრკ“-ს ჩემპიონატის მეორე ლიგაში არ გვეპატიჟებიან?!

ღმერთმანი, ახია ჩვენზე — აფსუს, რა „მუქთად“ დავთმეთ სიმწრით „ნაშოვნი“ ორი ადგილი უმაღლეს ლიგაში!

მოკლედ, ნამეტანს თუ არ ვიყოჩაღებთ, „კავშირგარეშე“ ნამდვილად ვერ დავრჩებით, იმდენ ახალ „სამოკავშირეო ხელშეკრულებებს“ გვთავაზობენ „კავშირიდან“...

როგორც ჩანს, საბჭოთა ფეხბურთი სერიოზულად დაავადდა „კოლესკოვშჩინით“, თორემ უზარმაზარმა ქვეყანამ, ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 13 გუნდს ძლივს რომ მოუყარა თავი, მასთან მიერთებაზე ლაპარაკი ვერც უნდა აკადროს პატარა ქვეყანას, სადაც პირველობისათვის 18 საფეხბურთო კლუბი იბრძოდა!

რასაკვირველია, ამხ. კოლესკოვი, ან მისი რომელიმე თანამოაზრე ამ წერილის წამკითხველი არაა, მაგრამ „ციხის შიგნიდან გამტეხი“ ჯერაც გამოიძებნება ჩვენში, აქით შემოგვედავებიან ცხინვალის „ლიახვის“ თაობაზე და ბარემ ვთქვათ მათ გასაგონად: — ერთხელაც იქნება, სამაჩაბლოს ოსებიც ისწავლიან მტერ-მოყვრის გარჩევას და სოხუმის „დინამოც“ (საბჭოთა ჰიბრიდის ეს რუსულ-აფხაზური ვარიანტი!) მოაგნებს საკუთარ სახლს!

ცენტრის დიქტატიდან ქართული ფეხბურთის განთავისუფლებას მძაფრი რეაქცია მოჰყვა იმთავითვე — სპორტული თუ არასპორტული ჟურნალ-გაზეთები, მანდარინის მოსავლიანობას რომ მიიჩნევდნენ საქართველოს გუნდების წარმატებათა ბარომეტრად, ერთბაშად იქცნენ ქართული ფეხბურთის თავგადაკლულ დამცველებად... თანაც ვისგან — ისევ და ისევ „გაჯიუტებული“ ქართველებისგან! მკაცრად იქნა დაგმობილი „თვითიზოლაციის ცდა“, ანუ „ფეხბურთით პოლიტიკის თამაში“!

ყოველდღიურად ჩვენ იმდენი რამ გვიკვირს, უკვე არაფერიც აღარ გვიკვირს, მაგრამ მაინც საკვირველია: — „ფეხბურთით პოლიტიკის თამაში“ რატომ უნდა იყოს შენს სამშობლოში (შენი ბურთით და შენი მოედნით!) რუსი მოხელის დაუკითხავად ფეხბურთის თამაში და „სპორტული გმირობა“ რატომ ჰქვია იმას, რომ 1973 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გასამართავად ჩილეში არ ჩაბრძანდა „სსრკ“-ს ნაკრები?!

დავიჯეროთ, პინოჩეტის სამხედრო რეჟიმს რამეთი ჯობდა ლენინ-სტალინური საბჭოთა რეჟიმი?!

და კიდევ ერთი: — ქართველთა „უხიაკობის“ და „უმადურობის“ ამბავი ამხ. კოლესკოვზე ცოტათი უკეთ რომ ვიცი, სულ ადვილად ვხვდები, რომ ამიერიდან იბერიული ფეხბურთი არასოდეს შეერწყმება იმპერიულ ფეხბურთს თუ მართლა ბურთის ნაცვლად მანდარინი გვიგორებია წლების მანძილზე, კაი დახლი დადგომია ვეებერთელა, დამშეულ რუსეთს: — დაჩემდება პირის გლახად წკლაპუნი და სირცხვილს სად მიუდიხარ „უმცროსი ძმაო?!

მას შემდეგ, რაც ფოთის მინდვრებზე ქართველმა ბიჭებმა პირველად გამართეს „ბურთის ფეხით თამაში“, ჭეშმარიტი გულშემატკივარი არასოდეს მოკლებია ქართულ ფეხბურთს და შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ იყო მარტოდენ „სპორტის სახეობა“, ფეხბურთი ასრულებდა მნიშვნელოვან ფუნქციას იმ საერთო პოლიტიკაში, რასაც ქართული ეროვნული თვითშეგნება უნდა გადაერჩინა!

— ეს თუა ბრალდება, ანუ „ფეხბურთით პოლიტიკის თამაში“! — რაღა გვეთქმის?!

„სსრკ“-ს ჩემპიონატების ისტორიას თუ ჩავუღრმავდებით, უფრო ობიექტურად, საღად თუ შევაფასებთ ფაქტებს და მოვლენებს, არ უნდა გაგვიჭირდეს იმის ამოცნობა, რაც თავიდანვე ჩაიფიქრეს „საბჭოური ფეხბურთის მამებმა“ და სხვათა შორის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით! ესაა არცთუ რთული სისტემა: — „მოსკოვური ფეხბურთი“ + „სპარინგ-პარტნიორები“! დიახ, ყველაფერი ნათელი და მარტივია, თუმცა ამ სიმარტივეშია მისი გენიალურობა!

საბედნიეროდ, ბურთი მრგვალია და წინასწარ ჩანაფიქრებს სულაც არ ემორჩილება, თორემ სხვა, ჩემპიონატში მოგვიანებით შემომატებულ გუნდებზე რომ არაფერი ვთქვათ, ვერც თბილისის და წარმოიდგინეთ, ვერც კიევის „დინამოს“ ვერასოდეს ვერ უნდა მიეღწიათ „მოსკოვური დონისათვის!“.

არა და, საბჭოთა საკლუბო ფეხბურთს ყველაზე დიდი გამარჯვებები სწორედ ამ გუნდებმა მოუტანეს!

ამ რამდენიმე წლის წინათ, რომელიღაც ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ ოლეგ ბლოხინთან და თურმე ნუ იტყვით — მსოფლიოში ცნობილი კიეველი ფორვარდიც. კი, „შენატრის“ მოსკოველთა პრივილეგირებულ მდგომარეობას!

მესმის და ძალიან კარგად ვიცი, რომ ამხელა ბრალდებას, სათანადო არგუმენტების გარეშე არავინ დაგიჯერებს, მაგრამ მოდით, ვცადოთ, იქნებ ერთად მოვიძიოთ ასეთი არგუმენტები!

1936 წლის პირველი საკავშირო ჩემპიონატიდან მოყოლებული 60-იანი წლების დასაწყისამდე „დიდი მოსკოვური ხუთეულის“ საჩემპიონო თუ სათასო დავაში პრაქტიკულად არავინ ჩარეულა ამ ხნის მანძილზე „სსრკ“-ს თასმა სულ ორჯერ დატოვა მოსკოვი და ამ ორადორი გამონაკლისიდან, ერთი, ფაქტიურად, ჯილდოდ იქნა „დაშვებული“ გმირი ლენინგრადელების მიმართ (1944 წელს „სსრკ-ს თასი „ზენიტმა“ მოიპოვა!) თუ ეს განცხადება ვინმეს ცინიკურად ეჩვენება, კეთილი ინებოს და განმარტოს: — ბლოკირი რომ ადინა ფაშიზმს, იმ „სახელოვანი“ წითელი არმიის გუნდს, კარგად მოვლილ-ნაპატიებ ფეხბურთელებს, როგორ ადინეს ბლოკირი ბლოკადიდან ახლადთავდაღწეულმა, შიმშილისაგან დაოსებულმა ლენინგრადელებმა?!

პირდაპირ სასწაულია! — მთელი 21 წლის მანძილზე, (დიდი სამამულო ომის დროს—1941-დან—1945-წლამდე ჩემპიონატები არ ტარდებოდა) ვიდრე 1961 წელს კიეველებმა არ გაარღვიეს „მოსკოვური ჯებირი“, ამხელა ქვეყანაში არ გამოჩნდა ისეთი გუნდი რომელიც შესძლებდა ერთი წლით მაინც შეესვენებინა „ჩემპიონობით დაღლილი“ —„დინამო“, „სპარტაკი“, „ცდკა“ და „ტორპედო“ (ოთხივე მოსკოვიდან).

სასწაულების ქმნა უფალს ძალუძს მხოლოდ და არა ჩვეულებრივ მოკვდავთ, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ ღვთის მგობელ საბჭოთა ქვეყანაში?! ამიტომ შეუძლებელი ღვთის წყრომას და ფატალურ უიღბლობას მიეწეროს ის ფაქტი, რომ ჩემპიონის გვირგვინი ვერაფრით ვერ დაიდგეს ბორის პაიჭაძის და ბასა ღოღობერიძის თაობებმა!

არც მეტი, არც ნაკლები — ამ „სასწაულში“ ფეხბურთით მოთამაშე „პოლიტიკოსების“ ხელი ურევია!

ქართული ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრები უთუოდ შემახსენებენ ერთ არანაკლებ „სასწაულს“: — 1960 წელს, თბილისის „დინამოს“ მიერ მოპოვებული „სსრკ“-ს თასი მოსკოვის „ტორპედოს“ რომ ჩაახუტეს, იმაზე მოგახსენებთ!

ალბათ კმარა! — რაც უკვე ითქვა, იმასთან შედარებით სახსენებლადაც არ ღირს ისეთი „წვრილმანი“, როგორიცაა საბჭოთა ფეხბურთის მსაჯთა კორპუსის მართვა... რატომაც არა, სავსებით შესაძლებელია, რომ მოსკოვის გუნდების შეხვედრები იმსაჯოს მოსკოველმა არბიტრმა, მაგრამ ე. წ.. „ნაცმენის“ კომპეტენცია იმდენად საეჭვოა, რომ ქართველ მსაჯს (თუნდაც საერთაშორისო კატეგორიისას!) ვერაფრით ვერ „ანდობ“ საქართველოს გუნდების ოფიციალური შეხვედრის არბიტრობას!

სახსენებლადაც არ ღირს ისეთი წვრილმანი, როგორიცაა ყოველწლიურად „უნებლიე“ ლაფსუსები გათამაშების კალენდარში, რის შედეგადაც, პაპანაქება ზაფხულში, როცა მიწას ბული ასდის, სამხრეთის ქალაქებში გახურებული საფეხბურთო სეზონია, ხოლო გვიან შემოდგომაზე, პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩემპიონატის ფინიშზე, ბურთაობისათვის ზედგამოჭრილი ადგილია „სოიუზის ცენტრის“ და ჩრდილოეთის სხვა ქალაქების გაყინული სტადიონები, სადაც წესით და რიგით, სწორედ სამხრეთელი უნდა „მოსრიალდეს!“ ბოლო წლებში მოსკოვური ფეხბურთი იმდენად „გაკულტურდა“, სურდო რომ არ შეეყაროთ სამხრეთელ სტუმრებს, გადამწყვეტი მატჩები ოთახის სიმყუდროვეში — ხელოვნურ საფარიან მანეჟში იმართება!

მთლად ბრიყვი თუ არ არის კაცი, როგორ ვერ მიხვდება, რა პრინციპით ხელმძღვანელობენ გათამაშების კალენდრის ავტორები, მაგრამ მარტო ბრიყვი კი არა, მოთავებული ავაზაკიც უნდა იყო, რომ ოქრო-ვერცხლისთვის, მით უმეტეს მედლებისთვის, გაწირო ადამიანის, სპორტსმენის ჯანმრთელობა!

ანტიქართულად განწყობილი „ზემლიაკები“, იცოცხლეთ, საკმაოზე მეტიც გვყავს საქართველოში, გვინდა-არ გვინდა ამასაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. ისინი ყველგან, ყოველთვის ჩასაფრებულები მეგულებიან და ვიდრე ყოველგვარი ცუდი „ისტი“ არ მოუკერებიათ, სრულიად გულწრფელად ვაღიარებ — არავიზე ნაკლებად არ მხიბლავდა იაშინის, სტრელცოვის, ივანოვის, ვორონინის, ბუბუკინის, შესტერნიოვის (ბობროვის, სიმონიანის, ნეტოს თამაში სამწუხაროდ, არ მახსოვს) და სხვა გამოჩენილ მოსკოველთა მაღალი ოსტატობა, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ საბჭოური ფეხბურთის უზარმაზარმა, მახინჯმა მანქანამ, შექმნა მართვის ასეთივე მახინჯი სისტემა, სადაც პიროვნების, სპორტსმენის როლი უარყოფილია, სადაც მაიაკოვსკის თქმისა არ იყოს, ადამიანზე ბევრად უფრო მთავარია — შაიბები, ბოლტები, ვინტები, ქანჩები... ასეთ სისტემაში პიროვნების ღირსება დაყვანილია „მორგებამდე“ — სადაც ხელისუფლებას და თვით რიგით ხელმძღვანელს ჭირდება — იქ!

აი, რას ჰქვია „ფეხბურთით პოლიტიკის თამაში“, რას ჰქვია — „ჩაწყობა“!

! „მანდარინით ფეხბურთის თამაში“, რომელიც ქართველებს გამოუგონებიათ, თურმე, უკბილო ანეკდოტია ასეთ ჩაწყობებთან შედარებით!

თუმცა რა — ამ თახსირი იმპერიიდან, მანქურთების გამოყვანაში ბადალი რომ არ მოეპოვება დედამიწის ზურგზე, უკბილო ანეკდოტის და ნიჩბიანი სალდათის გარდა, რას უნდა მოელოდე?!

საბჭოურმა იდეოლოგიამ წლების მანძილზე ყურები გამოჭედა თანასწორობის იდეის ქადაგებით, წამდაუწუმ გვიჩიჩინებდნენ — ჩვენს „უნიკალურ“ სახელმწიფოში არავითარი საფუძვლები არ არსებობს ეროვნული დისკრიმინაციისათვისო, მაგრამ ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც სხვადასხვა დროს „სსრკ-ს ნაკრებში გამოდიოდნენ. ძნელად თუ დაიჯერებენ, რომ დისკრიმინაცია „ხრწნადი კაპიტალიზმის“ მავნე გადმონაშთია!

ვინმე „ზემლიაკთაგან“ თუ შემომედავება — რომელ დისკრიმინაციაზეა ლაპარაკი, ქართველი ფეხბურთელები ნაკრების კაპიტნებადაც კი აირჩიესო, მხოლოდ ერთ ფაქტს გავახსენებ: — 1982 წელს, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩზე, ნაკრების კაპიტანს ალექსანდრე ჩივაძეს მოულოდნელად ფეხი დაუცდა და მეტოქემ კარგად ისარგებლა ამით, დაიწყო მაგრამ რა დაიწყო, ლამის სული ამოგვხადა რუსი კომენტატორის წუწუნმა — „დასადნაია აშიბკა ნაშევო კაპიტანა!“ არადა ჩივაძემ თავისი „დასადნაია აშიბკა“ თავგანწირული თამაშით და გატანილი საპასუხო გოლითაც გამოასწორა!

ეს ერთადერთი შემთხვევა არაა — ნაკრების ყოველი წარუმატებლობა, ე. წ. „ნაცმენს“, ყველაზე ხშირად კი სწორედ ქართველს ბრალდებოდა — სულ ერთია, მსოფლიოში აღიარებული მიხეილ მესხი იქნებოდა იგი, კაპიტნის სამკლაურიანი ალექსანდრე ჩივაძე, თუ სათადარიგოთა სკამზე მიჯაჭვული ავთანდილ ჭკუასელი, რომელიც ერთხელ, თურმე მოედანზე იმისათვის გამოიყვანეს, წაგებული მატჩი რომ — „შეეწირათ“!

ახლა, როცა საბჭოთა „ბაბილონის გოდოლი“ მოქმედ ვულკანს უფრო წააგავს, ვიდრე მოქმედ სახელმწიფოს, როცა ბნელი ძალების დიდი სურვილის მიუხედავად, ლენინ-სტალინიზმის უსაშინლესი მარწუხები ძველებურად ველარ უჭერენ, არ გვაქვს უფლება, არ გავითვალისწინოთ უახლოესი წარსულის რეალობანი და სათანადოდ არ დავაფასოთ ისედაც გაწამებული, ულმერთოდ მოტყუებული თაობების ნაღვაწი — მაშინ ხომ ისეთი დრო იყო, ფეხბურთსაც ვერ ითამაშებდი შენს ნებაზე!

დიახ, პოლიტიკურ სიტუაციებს თუ გავითვალისწინებთ (უამისოდ თურმე ფეხბურთის თამაშიც შეუძლებელია!) ენა როგორ მოგვიბრუნდება იმის სათქმელად, რომ „სსრკ“-ს ჩემპიონატებში მონაწილეობის თითქმის ხუთი ათეული წელიწადი წყალში გადაყრილად ჩავთვალოთ, არ დავინახოთ ის სიკეთე, რაც ასეთი დამოკიდებულების პირობებშიც კი გაკეთდა, მაგრამ რადგან დამოუკიდებლობისა და სრულყოფისაკენ სწრაფვა ბუნებრივი მოთხოვნილებაა, სრული უფლებით შეგვიძლია პრეტენზია განვაცხადოთ უკეთეს მომავალზე.

პირველმა ეროვნულმა ჩემპიონატმა, რომელიც ამ არეული ქვეყნის პირობაზე, არც თუ ურიგოდ ჩატარდა, უთუოდ დაგვანახა, რომ ფეხბურთის თამაშთან ერთად ცოტათი უკეთესი ქართველობა ნამდვილად მოგვეთხოვება გულშემატკივრებსაც და ფეხბურთელებსაც — სხვაგვარად, თუ საკუთარი ეროვნული ღირსება არად გვიღირს, სტადიონებზე ხელკეტობანა და ცემა-ტყეპის გამართვა სულაც არაა ძნელი საქმე!

ბრძნული ნათქვამია: — „მეფე შორსაა და ვერ განსჯის!“ თორემ ქართული ფეხბურთის არც წარსული დამსახურებები და დღევანდელი თავისუფლების წყურვილი არ იმსახურებდა „ფიფას“ წითელ ბარათს... მართალია „სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს, მაგრამ მთავარი უკვე მოხდა — მონა-გლადიატორი, რომლის ღირსებაზე მაღლა „სსრკ“-ში ფეხბურთელის ღირსება არასოდეს მდგარა, იხსნის საჭურველს, ამას ვერასოდეს შეეგუება რუსი ბიუროკრატი, თუმცა ისტორიულ კანონზომიერებას სად წაუხვალ?!

გენო შარაბიძე.

# რა მახსოვს

(დასასრული)

ციშეხი იჯდა და ალშიბაიამ ილიკო მამულიას ხელით გაუგზავნა ფული: უსათუოდ აქეთ უნდა გამოგზავნოთ“-ო; ალბათ თითონ მამულია სტოვებდა, როგორც იყო, — „კომზრავ“-ად). ბუნებრივად საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები... ხომ მე უნდა მქონდეს მანდატი სრულიად ევროპისათვის წარმომადგენლობისა...

ამ დროს შემობრძანდა ჩვენი პატივცემული თავმჯდომარე ბ-ნი იოსებ დადიანი და მორიგ საკითხებს შეუდექით, ისე რომ ბ-ნ გრიგოლს კომიტეტის 15 წევრის ოფიციალურად გახსნილ სხდომისათვის ეს... პროექტი“. დამთავრებულად აღარ წარმოუდგენია. მაგრამ...

მე ვფიქრობ. აი, ამ გამჟღავნებულმა პოლიტიკურმა „გეგმა“ — მან შეუკეთა ცეცხლი რამიშვილსა და ვეშაპელს, ბატონ გ. ალშიბაიას სხვა „ქეელობებთან“ ერთად.

შეიძლება, მკითხველმა იფიქროს, რა მოსატანია ასეთი „ჰაერში ჩამოკიდებული“ გეგმებიო. მაგრამ, რადგან ჰაერში ტრიალებდა ასეთი კუთხური სულისკვეთება, გინდ იქიდან სჩანს რომ, ათიოდე წლის შემდეგ რომ გაუქმდა ჩვენიო ფიციალური საელჩო და ფრანგის მთავრობამ შემოგვთავაზა „ოფიციოზური კომიტეტის შექმნა საქართველოსა და ქართველობის ინტერესების დასაცავად“, ქ. სათვისტომოს მრავალრიცხოვან კრებაზედ ბ-ნმა აკაკი ჩხენკელმა შემოიტანა ანალოგიური პროექტი: „უნდა შეიქმნეს „კომიტეტი“ 11 პირისაგანო (ამდენი პარტია და ჯგუფი იყო უკვე)..

# კიევი — 1990 წლის ოქტომბერი




არც დიდი ფილოსოფოსობა და არც ვანგას ზებუნებრივი ნიჭი ჭირდება იმის მიხვედრას, რომ ეს ჩვენი ნაღოლიავები და უნიკალური „ველიკაია დერჟავა" საცაა ზღართანს მოადენს ძირს... „ალსდგხენ „კრუულვითა დალდასმული მონები" და ყოველის მხრიდან შეუტიეს „პატრონს"...

ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ ამ „ბოროტების იმპერიაში" მარტო ქართველ ხალხს არ ეხუთება სული და ვერც როდიონოვისთანა რუსის ღენერლების „ვალშებნოე სლოვო" უშველის საქმეს!

ბობოქრობს უკრაინა — უზარმაზარი ქვეყანა მოითხოვს ისტორიული სამართლიანობის აღდგენას!

მე ადრეც ვყოფილვარ აქ, მაგრამ ასეთი კიევი არასოდეს მინახავს, თბილისი მომაგონდა. მომაგონდა 1989 წლის 9 აპრილი — ჩვენი დიდი ეროვნული ტკივილი...

კიევის ცენტრში, ცნობილ კრეშჩატიკზე კარვების ქალაქი გაშლილა, სტუდენტები პროტესტის უკიდურესი ფორმით — შიმშილობით გამოხატავენ უკმაყოფილებას და მოითხოვენ:

უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებას!

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — ვ. მასიიოის დაუყოვნებლივ გადადგომას!

უკრაინელი ახალგაზრდების მიერ სამხედრო სამსახურის მხოლოდ უკრაინაში გავლას!

ღმერთო ჩემო, მართლაც საქართველოში მგონია თავი — აქაც და იქაც მოთხოვნები ერთი და იგივეა!

მოშიმშილეთა რაოდენობა 400 კაცს აღწევსო — მითხრეს, ფოტოაპარატი რომ მოვიმარჯვე, დაინტერესდნენ—ვინ ვიყავი, ოთმელი გაზეთის კორესპონდენტი და როცა საქართველო ვახსენე, ზედიზედ დამაყარეს კითხვები...

რა უნდა მეთქვა ისეთი, იქ თითქმის ყველაფერი იციან ჩვენს შესახებ, თანაუგრძნობენ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას: — „საქართველომ ყველა გამოგვაღვიძაო!"

28 ოქტომბერი არც ისე შორს იყო და რასაკვირველია, საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებზე, კაიმართა მსჯელობა, აინტერესებდათ, როგორია ქართველი ხალხის განწყობილება, ვის უჭერდნენ მხარს.

— თქვენ თუ ეს შანსი ხელიდან გაუშვით, მერე უკვე... ბოლომდე აღარ დაამთავრა მალალმა, სათვალებიანმა ბიჭმა.

— თქვენთან სტალინის პარტია შეიქმნაო, მართალია?!

დავიბენი, ძლივს ამოვილუღლუღე — არა მეთქი და უნებლიედ გავაპარე თვალი პლაკატისკენ, რომელზეც „ხალხთა მამა" და ჩვენი მაოხრებელი გზირი" იყო გამოსახული... „რეპრესიას ნა უკრაინი!" — ამოვიკითხე.

კრეშჩატიკზე კი უკრაინის ეროვნული დროშები ფრიალებდნენ. მოშიმშილეთათვის თანაგრძნობის გამოსახატავად მოდიოდნენ უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, საწარმოთა და დაწესებულებათა მშრომელები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სახალხო დეპუტატები...

„მი ზ ვამი!" — უკრაინული და რუსული დამწერლობა ერთი და იგივეა, უკრაინული ენაც ძალიან ჰგავს რუსულს და ეს მიადვილებს ჩავწვდე ხალხის განწყობილებას...

და უცებ!

„დაამსხვრიეთ ბორკილები!"

შორს ხალხის თავებს ზემოთ ამოიზიდა ქართული წარწერა...

თვალებზე ცრემლი მომადგა, არა, იქ მისვლა, მიახლოება შეუძლებელია, კრეშჩატიკზე ნემსიც კი არსად ჩავარდება!

ფოტოაპარატი მოვიმარჯვე...

— ბევრი ქართველი სწავლობს ჩვენთან, ისინი აქ ყოველდღე მოდიან, საოცრად გულწრფელი მეგობრობა იცის თქვენმა ხალხმა...

მე კი ცოტა მიკლია ატირებას...

დავპირდი და უთუოდ შევასრულებ: — გაზეთ „მოწამეთას" რამდენიმე ეგზემპლარს გავგზავნი კიევში, ეს იქნება ჩვენგან მხარდაჭერა და თანადგომა. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ერთი მიზნისთვის ვიბრძვით — თავისუფლებისათვის!

ღმერთი იყოს ამ ბრძოლაში ჩვენი და მათი მფარველი.

**სოსო ბასილაძე,**
(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი)








## განცხადება

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ქუთაისის განყოფილების ანგარიშის ნომერია 270019, ბინსოცბანკის ქუთაისის განყოფილებაში.

ქალაქის საწარმოო-დაწესებულებებს, კოოპერატივებს და კერძო პირებს გთხოვთ ნუ მიგვატოვებთ გაჭირვებაში ინვალიდ თანაქალაქელებს. დაგვეხმარეთ. ამით დიდ ეროვნულ და საშვილიშვილო საქმეს გააკეთებთ.

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის
(ინვალიდთა ასოციაცია) ქუთაისის განყოფილება


## რედაქციისაგან:

ჩვენი გაზეთის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ბოროტების კარუსელი ანუ წითელ წიგნში შესატანი ისტორია", სადაც ოცდაათიანი წლების კომკავშირელთაგან მოწყობილი ვანდალურ აქციებზე იყო ლაპარაკი. წერილში მოთხრობილი ფაქტების შესახებ გვესაუბრა ქუთაისის მკვიდრი, კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ერთ-ერთი დამაარსებელი ბატონი სერაპიონ უგლავა, რომელმაც ამასწინათ გამოგვიგზავნა წერილი იმის შესახებ, რომ დასახელებულ სტატიაში დამახინჯებული იყო ზოგიერთი ფაქტი მის პიროვნებასთან დაკავშირებით.

ს. უგლავას წერილის გამოქვეყნება სტილისტური, გრამატიკული გაუმართაობის გამო (ფაქტობრივად ხელახლაა დასაწერი) აბსოლუტურად შეუძლებელია. ფაქტების შესახებაც არაფერი არსებითი არაა ნათქვამი. ჩვენ ვიცნობთ ს. უგლავას და ვაფასებთ მის ღვაწლსა და დამსახურებას. თუ რაღაც ლაფსუსი მაინცაა გაპარული ზემოთდასახელებულ წერილში, რედაქცია ბოდიშს იხდის.


მოწამეთა
ფასი 50 კაპ.

მხატვარი ოთარ ჭანდარია

რედაქტორი ელგუჯა თავბერიძე

სარედაქციო კოლეგია: თემურ ამყოლაძე, ოტია იოსელიანი, ეთერ ნაცვლიშვილი, ზურაბ ნემსაძე, ავთანდილ ყურაშვილი, ზენო შარაბიძე, რეზო ჭეიშვილი, გონერი, ჭეიშვილი, ქრისტან ჯანხოთელი. პასუხისმგებელი მდივანი თორნიკე ერისთავი

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გ. ტაბიძის სახელობის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ტ. 12000 შეკვ. 7344